მასწავლებელი

მომავალი საკლასო ოთახიდან იწყება

მასწავლებელი და პროფესიული ეთიკის კოდექსი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

N3, 2010

ISSN 1987-6149

ჟურნალი

მასწავლებელი

აცხადებს კონკურსს საუკეთესო პროექტზე

„მასწავლებლის სახლი ჩემს ქალაქში“

ჩაერთეთ კონკურსში! გაგვიზიარეთ თქვენი გამოცდილება!

გამოგვიგზავნეთ პროექტის გეგმა

საუკეთესო პროექტის ავტორები საჩუქრად მიიღებენ
ჟურნალ „მასწავლებლის“ ერთწლიან ხელმოწერას და **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის გამოცემების სრულ კომპლექტს!**

კონკურსის დასკვნით ეტაპზე სამი საუკეთესო პროექტი გამოვლინდება.
პროექტის გეგმები ჟურნალ „მასწავლებლის“ მომდევნო ნომრებში დაიბეჭდება!

საკონკურსო მასალა მოგვაწოდეთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე ან გამოაგზავნეთ ელ.ფოსტის საშუალებით:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი
თბილისი 0102, დიმიტრი უზნაძის 52, ტელ: (+995 32) 95 13 95, ფაქსი: (+995 32) 95 58 36
ელ. ფოსტით: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

რედაქტორისგან

მასწავლებლებს წინ ცხელი, საინტერესო და მნიშვნელოვანი ზაფხული გელით. პედაგოგები სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის ემზადებთ. საგულისხმოა, რომ თანამედროვე გამოწვევების ეს აუცილებელი პირობა მიიღეთ და მზად ხართ, საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას გამოცდა მოუწყოთ.

ჟურნალი „მასწავლებელი“ მთელი წლის განმავლობაში ცდილობდა, სერტიფიცირებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი და საჭირო ინფორმაცია მოეწოდებინა თქვენთვის. ჩვენც ვღელავთ შედეგების მოლოდინში.

სერტიფიცირება მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის პირველი ეტაპია.

სერტიფიცირებული მასწავლებელები უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის პროცესში ჩაერთვებიან. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი აქტიურად მუშაობს პროფესიული განვითარების სქემაზე. ამ სქემით გათვალისწინებული საქმიანობების დანერგვის მიზანია, ხელი შეუწყოს მასწავლებლის პროფესიულ განვითარებას, მის კარიერულ ზრდასა და სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას. გარდა ამისა, სქემის მიხედვით, მასწავლებელს საშუალება ეძლევა, საკუთარი წვლილი შეიტანოს განათლების სფეროს განვითარებაში.

სქემის ამოქმედება ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოებას, გამოავლინოს და წაახალისოს ის პედაგოგები, რომელთა საქმიანობა საკლასო მუშაობით არ შემოიფარგლება და ისეთ სფეროებზეც ვრცელდება, როგორიცაა: სკოლის საჭიროებათა ანალიზი, სტრატეგიული მიზნების ჩამოყალიბება, სწავლა-სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა, პერსონალის პროფესიული განვითარება და სხვა.

ინტეგრირებულ სქემაში შედის ის საქმიანობები, რომლებსაც წვლილი შეაქვს საგანმანათლებლო სფეროს განვითარებაში და, აგრეთვე, ისინი, რომლებიც სკოლის ბაზაზე ხორციელდება და ხელს უწყობს მის განვითარებას. როგორი იქნება თითოეული კომპონენტის წილი? რომელია დღეისათვის ყველაზე პრიორიტეტული? ამ საკითხებზე მასწავლებელთა და განათლების სპეციალისტთა მოსაზრებები ძალიან მნიშვნელოვანია. სქემის განხილვის მიზნით, დაგეგმილია სამუშაო შეხვედრები მასწავლებლებისა და განათლების სპეციალისტების მონაწილეობით.

მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარება ახალი ტერმინია. როდესაც მასწავლებლებთან შეხვედრებისას, უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ვსაუბრობთ, ისინი იხსენებენ პროფესიული განვითარების ტრენინგებს, საუბრობენ მასწავლებლის არსებულ სტატუსზე და თვლიან, რომ განვითარება გაუმჯობესებას ნიშნავს. ეს კი ახალი იდეების განხილვას, გააზრებას, დანერგვასა და შეფასებას გულისხმობს.

ჟურნალი „მასწავლებელი“ მოგაწვდით ინფორმაციას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის შესახებ. ველით თქვენს გამოხმაურებას, რადგან გვსურს, მასწავლებელი თავად იყოს რეფორმის მონაწილეც და გამტარებელიც.

ნატო ინგოროყვა
მთავარი რედაქტორი

ჩვენი მიზანია მასწავლებლის პროფესიული ზრდის ხელშეწყობა ინფორმირების, დისკუსიის წახალისებისა და გამოცდილების გაზიარების გზით. ჟურნალი ხელს უწყობს მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციას.

მასწავლებელი

N3(9), 2010

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისთვის!

მოიკითხეთ ჟურნალი თქვენს სკოლაში.

რედკოლეგია:
გია მამულაშვილი, ნინო რევიშვილი, თეა კვინტრაძე, პაატა პაპავა, ნათია ნაცვლიშვილი

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორი: ირაკლი კაკაბაძე
სტილისტი: ირმა ტაველიძე
დიზაინი: ბესიკ დანელია
ფოტო: გელა გედიანაშვილი
მხატვარი: მამუკა ტყეშელაშვილი
კორექტორი: მაია მენაგდე

ჟურნალისტები:
გელა ჩეკურიშვილი, ირმა კახურაშვილი, მაია რაზმაძე, თამარ კაციტაძე, თამარ შველიძე

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
მისამართი: თბილისი, 0102
დიმიტრი უზნაძის 52
ტელ: (+995 32) 95 13 95
ფაქსი: (+995 32) 95 58 36
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

ISSN 1987-6149 UDC 371.1 / მ-374

გამოიწერეთ პროფესიული ჟურნალი
მასწავლებელი

დარეკეთ:
შპს „წიგნის სამყარო“: 45 33 79
სს. „მაცნე“: 37 47 49, 22 64 58
„ელვა-სერვისი“: 38 26 73, 28 26 74

შინაარსი

სტატიები

ინტერვიუ

ნატო ინგოროყვა
4 **ქვეყნის მომავალი საკლასო ოთახიდან იწყება**
ინტერვიუ გია მამულაშვილთან, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორთან.

ექსპერტი

ლელა ჩახაია
6 **სკოლამდელი განათლება**
6 წლამდე ასაკი პიროვნების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანესი ეტაპია და ამ დროს მიღებული გამოცდილება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ადამიანის მომავალს.

პაატა პაპავა
9 **როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს ინფორმაციულ ტექსტთან მუშაობაში**
როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს ინფორმაციულ ტექსტთან მუშაობაში, რა სურათი გვაქვს დღევანდელ სკოლებში, როგორ შეიძლება პრობლემის გადაჭრა, რა შეუძლია სკოლას?

ირინა სამსონია
29 **ეროვნული შეფასება ქართულ ენასა და ლიტერატურაში**
ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა, საქართველოს მასშტაბით, ეროვნული შეფასება განახორციელა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, კერძოდ, კითხვის მიმართულებაში – იმ მოსწავლეებთან, რომლებმაც საბაზო საფეხურზე სწავლა დაასრულეს.

მერაბ ლაბაძე
35 **საგანმანათლებლო ელექტრონული პორტალი**
რა დანიშნულება აქვს სასკოლო საგანმანათლებლო პორტალს და რა მოლოდინი შეიძლება ჰქონდეს მასწავლებელს მისი გამოყენებისას.

გამოცდილება

ირაკლი კაკაბაძე
12 **განათლება ფინეთში**
ფინელი მოსწავლეების აკადემიურმა წარმატებამ მრავალი ქვეყნის მასწავლებელთა და განათლების სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო. როგორ მოახერხა სახელმწიფომ, ჰქონდეს ასეთი განათლების სისტემა, ჰყავდეს ამდენი მაღალკვალიფიციური მასწავლებელი და სისტემატურად ზრუნავდეს მათ პროფესიულ განვითარებაზე.

რევიუ

იან თურგილი
20 **კითხვის ფილოსოფიისა და პედაგოგიკის ოთხი ეპოქა**
რა უნდა ვასწავლოთ ბავშვებს იმისათვის, რომ თანამედროვე ტექსტების პროფესიონალურ დონეზე კითხვა შეძლონ და მნიშვნელობის გამოსახატად მრავალფეროვანი სემიოტიკური სისტემები გამოიყენონ? ყველა ეს შეკითხვა თანამედროვე კვლევებისთვის პრიორიტეტული საკითხებია.

პროგლემა

ნინო გოლქვაძე
48 **ოჯახური პროგლემები და მასწავლებელი**
როდესაც ბავშვის აკადემიური მოსწრება და საქციელი უარესდება, შესაძლოა ამის მიზეზი მშობლებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტი იყოს. ასეთ სიტუაციაში მასწავლებლის სიფრთხილეზე ბევრი რამ არის დამოკიდებული

მერი გირკელიძე
46 **რას წარმოადგენს გარდამავალი ასაკი**
თუ ბავშვებს პატარაობიდანვე დავაკისრებთ მათი უნარების შესაბამის მოვალეობებს, საკუთარი თავის მიმართ პატივისცემას განვუმტკიცებთ, ეს კი მომავალში წარმატებული პიროვნების ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

რუბრიკები

მრგვალი მაგიდა

ირმა კახურაშვილი

14 **მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი**

სად გადის ზღვარი მასწავლებლის მოვალეობებსა და უფლებებს შორის? რა როლი შეიძლება ითამაშოს ეთიკის კოდექსმა სასკოლო ცხოვრებაში? – ამ და სხვა საკითხების შესახებ განათლების სისტემაში მომუშავე პროფესიონალებმა ჩვენი ჟურნალის მკითხველისთვის „მრგვალ მაგიდასთან“ იმსჯელეს.

უსაფრთხო სკოლა

ირმა კახურაშვილი

18 **მანდატური და სკოლა**

რამდენად წარმატებულად მიმდინარეობს სკოლის სივრცეში მანდატურების ინტეგრაცია და როგორი დამოკიდებულება აქვთ მათ მიმართ პედაგოგებს, დირექტორებს, მშობლებსა და ბავშვებს.

რჩევა

თამარ კაციტაძე

32 **პროფესიონალიზმი თუ დიპლომი?**

სახელმწიფო ბოლო დროს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პროფესიულ განათლებას. სახელმწიფო პროგრამის „პროფესიული განათლება დასაქმებისათვის“ ერთ-ერთი მიზანი პროფესიული განათლების სფეროში კერძო სექტორის როლის გაზრდაა, რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილებას ადეკვატურად მომზადებული კადრებით.

ინტერვიუ

ნატო ინგოროყვა

38 **ჩემი პროფესიის არჩევანი მათი დამსახურებაა**

ჟურნალ „მასწავლებლის“ სტუმარია მუსიკოსი ნინო ქათამაძე.

რესურსი

რევაზ აფხაზავა

40 **წინანდლის საგანმანათლებლო ცენტრისა და სამუზეუმო პედაგოგიკის შესახებ**

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და წინანდლის საგანმანათლებლო ცენტრი თანხმდება, რომ ექსკურსია არ უნდა იყოს საგანმანათლებლო კონტექსტიდან ამოვარდნილი ღონისძიება.

ნოვაცია

თამარ შველიძე

42 **ევროპული კუთხეები ქართულ სკოლებში**

საგანმანათლებლო დაწესებულებებში ევროპის კუთხეების მოწყობა იმისთვის გადავწყვიტეთ, რომ სტუდენტებსა და მოსწავლეებს ევროპის, ევროკავშირის შესახებ მეტი წარმოდგენა ჰქონოდათ.

კლასი

პრაქტიკული დანართი მასწავლებლებისათვის

1. ტესტები ქართულ ენაში
2. ფიზიკის გაკვეთილი ინტელექტუალური განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის

23-28

ერთი სკოლის ისტორია

ირაკლი კაკაბაძე

44 **წარმატებული სკოლის საიდუმლო**

სამტრედიის მე-11 საჯარო სკოლის წარმატების საიდუმლო და ჟურნალ „მასწავლებლის“ სტუმრობა სკოლაში.

პროფესია – მასწავლებელი

მაია რაზმაძე

50 **ბედნიერებაა, თუ ხვდები, რომ შენი ადგილი იპოვე**

„სკოლაში რომ შემოვდივარ, ყველაფერს, რაც ჩემს ცხოვრებაში ხდება, ზღურბლთან ვტოვებ. ამას ყოველგვარი გაზვიადების გარეშე ვამბობ. მაგრამ როცა აქედან გავდივარ, აქაური ყველაფერი თან მიმაქვს. ყველაზე მეტად იცით რა მეხმარება? – ძალიან გულწრფელი ვარ ბავშვებთან...“

ეკოლოგია

თამარ შველიძე

52 **დედამიწა და მოსწავლეები**

მხოლოდ ერთი დღე წელიწადში ვერ გახდის დედამიწას უკეთესს, ყოველი დღე დედამიწის დღედ უნდა ვაქციოთ. ჩვენი მიზანი მოსწავლეებში განათლების დონის ამაღლებაა, რათა მათ უკეთ განსაზღვრონ, თუ რა პრობლემის წინაშე ვართ და თავად დასახონ გადარჩენის გზები.

სკოლა

ბელა ჩეკურიშვილი

54 **ერთი სკოლის ორი ისტორია**

როცა სკოლა ერთიანი ორგანიზმია, ეს პროცესი საინტერესო თანამშრომლობად იქცევა ხოლმე მოსწავლესა და მასწავლებელს შორის. მიღებული შედეგი კი ხშირად სკოლის ფარგლებს სცილდება და საზოგადოების ყურადღებას იპყრობს. დღეს გვინდა თბილისის 120-ე სკოლის მოსწავლეებზე და მათ ინტერესებზე მოგიყვეთ.

ქვეყნის მომავალი საკლასო ოთახიდან იწყება

ჟურნალ „მასწავლებლის“ კითხვებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი, გია მამულაშვილი პასუხობს.

ნატო ინგოროყვა

> ქვეყნის წარმატებას განათლების ხარისხი განაპირობებს, ქვეყნის მომავალი საკლასო ოთახიდან იწყება. მასწავლებლებმა ეს კარგად იციან. უნდა ვეცადოთ, რომ მომავალი უკეთესი გვქონდეს. მე მინდა, მასწავლებელი ჩვენი საზოგადოების ყველაზე თანამედროვე ნაწილი იყოს. მჯერა, ჩვენ ერთად ამას შევძლებთ.

ბატონო გია, როგორ გესახებათ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ჩართულობა განათლების მიმდინარე რეფორმის პროცესში?

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა ზოგადი განათლების რეფორმების სტრატეგია 2010-2015 წლებისთვის, რომელშიც აისახა განათლების პოლიტიკის ყველა ძირითადი ასპექტი. ამ სტრატეგიის მიხედვით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრს უმნიშვნელოვანესი მისია აკისრია, რაც თავისთავად გულისხმობს მასწავლებლების მნიშვნელოვან როლს განათლების სფეროში.

რა თქმა უნდა, ძირითადი ყურადღება გამახვილებულია მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლებასა და სერტიფიცირებაზე, მასწავლებლის კვალიფიციურ და კარიერულ ზრდაზე, მენტორ-მასწავლებლის ინსტიტუტის განვითარებაზე, მასწავლებლების უზრუნველყოფაზე ტრენინგებით, სემინარებით, კონფერენციებით და გადამზადების პროგრამების ხელმისაწვდომობაზე.

ასევე, ჩვენს ცენტრში მომზადდა – და მალე მათ ჩვენი საზოგადოებაც გაეცნობა – მასწავლებლის, მოსწავლისა და სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსებს, რომლებიც, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია სკოლის ცხოვრების განვითარებაში.

როგორ ხედავთ პროფესიულ განვითარებაზე მომუშავე ცენტრის მნიშვნელობას ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეში?

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიზანი და დანიშულება სკოლაში სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა და მასწავლებლის პროფესიული ცოდნისა და საქმიანობის მაღალი სტანდარტის დამკვიდრებაა. მასწავლებლის პროფესიის სტატუსის ამაღლების გზით, ცენტრი ზრუნავს როგორც მოქმედი მასწავლებლების პროფესიულ განვითარებზე, ასევე კვალიფიციური კადრების მოზიდვაზე, მათი მომზადებისა და პროფესიაში შენარჩუნების ხელშეწყობაზე.

ამ მიზნით, მასწავლებელთა სახლები გაიხსნება, პირველ ეტაპზე, თბილის-

სა და ბათუმში. როგორც მოგეხსენებათ, ქუთაისში მასწავლებელთა სახლი უკვე გაიხსნა.

ცენტრი ასევე ითვალისწინებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის დამხმარე მასალების შექმნას, მოძიებას, თარგმნას, მომზადებას და შემდეგ მათ დისტრიბუციას სკოლებსა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში. დამხმარე მასალებში მოიაზრება როგორც ლიტერატურა, ასევე სასწავლო ფილმები და სხვა აუდიო-ვიზუალური მასალა.

მთელი საქართველოს მასშტაბით იგეგმება მასწავლებელთა ტრენინგები ახალ სასწავლო დიციპლინებში. როგორც იცით, ახალი სასწავლო წლიდან შემოდის სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების კურსი. მოხდება ფიზკულტურის გაკვეთილების ჩანაცვლება სპორტით და სხვა. პირველკლასელებს, სექტემბერში, წიგნებთან ერთად ნოუთბუქები დაურიგდებათ. პარალელურად, ისინი შეისწავლიან ინგლისურ ენასაც. ამ პედაგოგთა მომზადებაც ჩვენი ცენტრის მიერ განხორციელდება.

ასევე, ჩვენი ცენტრი გადაამზადებს პედაგოგებს სკოლების კომპიუტერიზაციისა და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვის პროგრამის ფარგლებში.

2010-2011 სასწავლო წლიდან ამოქმედდება მასწავლებლობის მაძიებლობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამაც, რომელიც პირველ წელს თბილისის, ახალციხის, თელავის, გორის, ქუთაისის, ბათუმისა და ზუგდიდის 100-მდე სკოლაში განხორციელდება.

რა პრიორიტეტები და მიზნები აქვს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროექტებს?

განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების სრულყოფის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო იწყებს ახალი პროექტის – „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ (“Teach and Learn with Georgia”) განხორციელებას, რომელიც საქართველოში ინგლისური ენის სწავლების განვითარებასა და ხელშეწყობას ითვალისწინებს. პროექტის წარმატებით განხორციელება ძალიან მნიშვნელოვანია მომავალი თაობებისათვის, რადგან ისინი ინგლისური ენის უკეთ დაუფლების კვალდაკვალ, დასავლურ ღირებულებებსა და კულტურას ეზიარებიან.

ცენტრი კვლავ აგრძელებს პროექტს „ასწავლე საქართველოსთვის“. პროექტის მთავარი მიზანი საქართველოს რეგიონების სკოლებში სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაა, სკოლებში არსებული ვაკანსიების კვალიფიციური კადრებით შევსების გზით.

ასევე, ჩვენი ცენტრის ფარგლებში ხორციელდება სახელმწიფო პროგრამა „კვალიფიციური მასწავლებლები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სკოლებში“. ის საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიცირებული პროგრამაა და გულისხმობს ქართული ენისა და ლიტერატურის კვალიფიციური მასწავლებლების მივლინებას სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული სოფლების იმ არაქართულენოვან სკოლებში, სადაც განსაკუთრებით მწვავედ დგას ქართული ენის ცოდნისა და სწავლების საკითხი.

მუშაობას ვაგრძელებთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა განათლების საკითხებში მასწავლებელთა პროფესიული ცოდნისა და უნარების განვი-

თარების ხელშესაწყობად, რაც, ჩვენი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი და მწვავე პრობლემაა საზოგადოებაში.

ჟურნალი „მასწავლებელი“, როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ყველა სკოლაში მიდის. რა იქნება თქვენი, როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის, მთავარი გზავნილი მასწავლებლებისთვის?

ქვეყნის წარმატებას განათლების ხარისხი განაპირობებს, ქვეყნის მომავალი საკლასო ოთახიდან იწყება. მასწავლებლებმა ეს კარგად იციან. უნდა ვეცადოთ, რომ მომავალი უკეთესი გვქონდეს. მე მინდა, მასწავლებელი ჩვენი საზოგადოების ყველაზე თანამედროვე ნაწილი იყოს. მჯერა, ჩვენ ერთად ამას შევძლებთ.

ლელა ჩახაია

სკოლამდელი განათლება

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი მიმდინარე წელს სასკოლო მზაობის ეროვნულ კვლევას ატარებს. კვლევის მიზანია, გამოავლინოს, რამდენად მზად არიან სასკოლო ასაკის ბავშვები სასკოლო გარემოში სასწავლებლად და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროგრამის დასაძლევად.

რატომ სკოლამდელი განათლება?

დაბადებისას ჩვილის ტვინი, დაახლოებით, 100 მილიარდი უჯრედისაგან შედგება, რომლებს შორისაც კავშირები ბავშვის განვითარების პროცესში მყარდება. სწორედ ამ კავშირების რაოდენობა განაპირობებს ბავშვის გონებრივი, სოციალური და ემოციური განვითარების დონეს. რვა თვის ასაკში ჩვილის ტვინის უჯრედებს შორის, დაახლოებით, 1000 ტრილიონი კავშირია დამყარებული. დროთა განმავლობაში კავშირების რაოდენობა იცვლება და მათი საბოლოო რიცხვი იმაზეა დამოკიდებული, თუ ადრეულ ასაკში რამდენად სტიმულირდება და გამოიყენება. მხოლოდ იმ კავშირების შენარჩუნება ხდება შესაძლებელი, რომლებსაც რეგულარულად იყენებენ 6 წლამდე ასაკში, დანარჩენები კი ქრება. ამ მოსაზრებას ბავშვთა ფსიქოლოგების, ნეიროფსიქოლოგების, განვითარების სპეციალისტების მიერ ჩატარებული არაერთი კვლევის შედეგები ამყარებს. სწორედ ამიტომ თვლიან დარგის ექსპერტები, რომ 6 წლამდე ასაკი პიროვნების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანესი ეტაპია და ამ დროს მიღებული გამოცდილება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ადამიანის მომავალს.

არაერთი კვლევა ადასტურებს სკოლამდელი განათლების დადებით გავლენას როგორც ადამიანის პირად ცხოვრებაზე, ასევე საზოგადოების კეთილდღეობაზე. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებულმა მრავალწლიანმა კვლევებმა აჩვენა, რომ ის ბავშვები, რომლებიც ადრეულ ასაკში არიან ჩართული სკოლამდელი განათლების პროგრამაში, სკოლაში უკეთესი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევიან, ვიდრე მათი თანატოლები (როცა მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა არ განსხვავდება). ეს განსაკუთრებით შესამჩნევია იმ ბავშვებში, რომელთა მშობლებს არ აქვთ განათლების მაღალი დონე და რომლებიც სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ოჯახებში იზრდებიან. კვლევები ასევე ადასტურებს, რომ განათლების ყველა სხვა ეტაპთან შედარებით, სწორედ სკოლამდელ განათლებაში ინვესტირება იძლევა ყველაზე დიდ ეკონომიკურ ამონაგებს საზოგადოებისათვის. სკოლამდელ განათლებაში ჩადებული თანხა მეტ სარგებელს აძლევს ქვეყანას, ვიდრე ზოგად და საუნივერსიტეტო განათლებაში ჩადებული იმავე რაოდენობის თანხა.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 6 წლის ასაკში (როდესაც ბავშვები სკოლაში მიდიან), შესაძლოა ძალიან დაგვიანე-

ბული იყოს მათ განვითარებასა და მომავალზე ზრუნვა. არასათანადო წინასასკოლო მომზადება პირდაპირ აისახება სკოლაში ბავშვების აკადემიურ მიღწევებზე, მათ შესაძლებლობებზე, დაძლიონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნები.

სკოლამდელი განათლება საქართველოში

საქართველოში დაწყებითი კლასის მასწავლებლები ხშირად გამოთქვამენ წუხილს იმის გამო, რომ სკოლაში მოსული ბავშვები მზად არ არიან პირველი კლასის სასწავლო პროგრამის ასათვისებლად. ამის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს როგორც სკოლამდელი განათლების დაბალი დონე, ასევე, სკოლამდელი განათლების მომსახურებაზე დაბალი ხელმისაწვდომობა საზოგადოების ზოგიერთ ფენაში.

ხელმისაწვდომობა

სხვადასხვა წყაროს მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში სკოლამდელი ასაკის ბავშვების 60%-ზე მეტი საბავშვო ბაღებში არ დადის. ამ მაჩვენებლით საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება პოსტკომუნისტური სივრცის სხვა ქვეყნებს.

მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობის მიერ მომზადებულ სიღარიბის შეფასების დოკუმენტში შედარებულია სხვადასხვა ეთნიკური თუ სოციალური ჯგუფის წარმომადგენელთა ჩართულობა სკოლამდელ განათლებაში. აღმოჩნდა, რომ ძალიან დიდი განსხვავებაა იმ ბავშვების ჩართულობას შორის, რომლებიც ყველაზე ღარიბ და ყველაზე მდიდარ ოჯახებში იზრდებიან (20%-დან 30%-მდე). ამავე ანალიზიდან ჩანს, რომ მსგავსი განსხვავებაა, ერთი მხრივ, ეთნიკურ ქართველებსა და, მეორე მხრივ, ეთნიკურ სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის. ასევე, განსაკუთრებით დაბალია ჩართულობა სოფლად მცხოვრებ მოსახლეობაში.

ამ დოკუმენტში სკოლამდელ განათლებაში ჩართულობის დაბალი მაჩვენებლის მიზეზებიც არის გაანალიზებული. ყველაზე ხშირად სახელდება ისეთი მიზეზები, როგორიც არის: ფიზიკური ხელმისაწვდომობის ნაკლებობა (ოჯახები ცხოვრობენ ისეთ სოფლებში/დასახლებულ პუნქტებში, სადაც არ არის საბავშვო ბაღები); ფინანსური პრობლემები (მშობლებს, ხშირ შემთხვევაში, არ აქვთ შესაძლებლობა, გადაიხადონ ადგილობრივი თვითთმმართველობის ორგანოების მიერ დაწესებული მინიმალური გადასახადი); უნდობლობა საბავშვო ბაღებისადმი (მშობლები ფიქრობენ, რომ საბავშვო ბაღები ვერ სთავაზობენ მათ შვილებს დაცულ და ჰიგიენურად უსაფრთხო გარემოს).

ხარისხი

მეორე დიდ პრობლემას სკოლამდელი განათლებისა და აღზრდის ხარისხი წარმოადგენს. პრობლემა, ამ შემთხვევაშიც, რამდენიმე კომპონენტად შეიძლება დაიყოს: სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგიური მასალებისა და რესურსების ნაკლებობა; სკოლამდელი განათლების სპეციალისტთა მომზადებისა და აღმზრდელთა გადამზადების ნაკლები შესაძლებლობა; ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი დონე. მეთოდოლოგიები და სახელმძღვანელოები, რომლებიც საქართველოს საბავშვო ბაღების უმრავლესობაში გამოიყენება, მოძველებულია და დაწყებითი კლასების სასკოლო პროგრამას არ შეესაბამება. საბავშვო ბაღების აღმზრდელებს არა აქვთ გადამზადების კურსების გავლის შესაძლებლობა. ეს ნიშნავს, რომ ის ბავშვებიც კი, რომლებიც საბავშვო ბაღში დადიან, სავარაუდოდ, მზად არ არიან სკოლისათვის.

მიმდინარე ინიციატივები

2008 წლის ნოემბერში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით, დამტკიცდა „სკოლამდელი განათლების ეროვნული მიზნები“, სადაც აღწერილია, თუ რა თვისებების და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და განვითარებას უნდა ემსახურებოდეს სკოლამდელი განათლება. ეს დოკუმენტი წარმოადგენს საფუძველს სკოლამდელი განათლების სფეროში სხვადასხვა ტიპის პროგრამების შესამუშავებლად. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც ეროვნულ მიზნებზე დაყრდნობით შეიქმნა, ადრეულ ასაკში ბავშვის სწავლისა და განვითარების სტანდარტია.

ადრეულ ასაკში ბავშვის სწავლისა და განვითარების სტანდარტი

სტანდარტი შეიქმნა გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, ბავშვთა ფსიქოლოგების, ადრეული განვითარების სპეციალისტების, სკოლამდელი განათლების ექსპერტების მიერ. დოკუმენტში აღწერილია განვითარების 5 სხვადასხვა სფეროში მისაღწევი შედეგები 0-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის. ეს სფეროებია: ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება, შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა, სწავლისადმი მიდგომა, მეტყველების განვითარება და სოციალურ-ემოციური განვითარება.



თითოეული სფერო ქვესფეროებისგან შედგება, რომლებშიც, თავის მხრივ, მიმართულებებია გაერთიანებული. თითოეულ მათგანში მისაღწევი შედეგია განსაზღვრული. მიზნის მიღწევაზე ზრუნვა ზოგადი განათლების ბოლო ეტაპამდე გრძელდება, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია, რომ უნარ-ჩვევების, დამოკიდებულებებისა და ღირებულებების განვითარებისათვის საფუძვლის ჩაყრა ადრეული ასაკიდანვე დაიწყოს. სტანდარტებში განსაზღვრული შედეგები დაბადებიდან 6 წლამდე არ იცვლება. იმისათვის, რომ ვიცოდეთ, რა უნდა კეთდებოდეს თითოეული შედეგის მისაღწევად, ნებისმიერი მათგანისთვის განსაზღვრულია ინდიკატორები. სწორედ ინდიკატორია შედეგის მიღწევის მაჩვენებელი. ის, ასაკის მიხედვით, განვითარების დონის შესაბამისად იცვლება. ინდიკატორი ნათლად აღწერს ბავშვის ქცევას, რომელიც აღმზრდელმა ან მშობელმა ადვილად უნდა გააცნობიეროს.

მაგალითი

შედეგი: მოვლენათა მიმდინარეობისას, ბავშვი განასხვავებს წარსულს, აწმყოსა და მომავალს.

ინდიკატორი 3-დან 5 წლამდე: იყენებს დროსთან დაკავშირებულ სიტყვებს (დღე/ღამე, გუშინ/დღეს).

ინდიკატორი 5-დან 6 წლამდე: ადეკვატურად იყენებს დროის აღმნიშვნელ სიტყვებს (გუშინ, დღეს, ხვალ); სწორად პასუხობს კითხვაზე: „როგორი ამინდი იყო გუშინ?“

თითოეულ შედეგს, ინდიკატორების გარდა, თან ახლავს რჩევები მეურვეთათვის. ეს რჩევები ზოგადი ხასიათისაა, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, კონკრეტული მაგალითებიცაა მოყვანილი. „მეურვეში“ ის ადამიანი იგულისხმება, რომელიც ბავშვის აღზრდა-განვითარებაზე ზრუნავს (მშობელი, ოჯახის სხვა წევრი, საბავშვო ბაღის მასწავლებელი, აღმზრდელი).

რჩევის მაგალითი: ესაუბრეთ ბავშვს იმის შესახებ, თუ რა მოხდება მომავალში, რა მოხდა წარსულში (მაგ., „ამ დილით საუზმეზე რა ჭამე?“ „ხვალ სადილისთვის რა მოგიმზადო?“).

სტანდარტს სარეკომენდაციო ხასიათი აქვს და მისი გამოყენება შეუძლიათ როგორც საბავშვო ბაღის აღმზრდელებს, ასევე მშობლებს, მეურვეებს და ა.შ. ამჟამად ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრში, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, აღმზრდელთა მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოსა და ორწლიან სააღმზრდელო პროგრამაზე მუშაობა მიმდინარეობს. დოკუმენტი გამოსაცემად მზადაა და გამოცემისთანავე იგი უფასოდ დაურიგდება საქართველოს ყველა საჯარო საბავშვო ბაღს, ასევე დაინტერესებულ ორგანიზაციებს.

გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი მიმდინარე წელს სასკოლო მზაობის ეროვნულ კვლევას ატარებს. კვლევის მიზანია, გამოავლინოს, რამდენად მზად არიან სასკოლო ასაკის ბავშვები სასკოლო გარემოში სასწავლებლად და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროგრამის დასაძლევად. კვლევა ორ ძირითად კომპონენტად იქნება დაყოფილი: ბავშვზე დაკვირვება და მშობლის ინტერვიუ. ბავშვზე დაკვირვების გზით შეფასდება მისი განვითარების დონე სტანდარტში გამოყოფილი სფეროების მიხედვით. მშობლის ინტერვიუს შედეგად კი დადგინდება ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მშობლების განათლების დონე და ა.შ. ამ მონაცემების ანალიზი საშუალებას მოგვცემს, გავიგოთ, რა ფაქტორები ახდენს გავლენას ბავშვების სასკოლო მზაობის დონეზე. კვლევა იმის განსაზღვრაშიც დაგვეხმარება, თუ რა გავლენას ახდენს სასკოლო მზაობის დონე ბავშვის აკადემიურ მიღწევებზე.

როგორც სტატიის დასაწყისში აღვნიშნეთ, ადრეულ ასაკში ბავშვების გონებრივი შესაძლებლობები ძალიან სწრაფად ვითარდება. განვითარების ეს ტემპი 6 წლის შემდეგ იკლებს და პირვანდელ დონეს აღარ უბრუნდება. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი ადრეულ ეტაპზე ბავშვის განვითარებაზე ზრუნვა. სკოლამდელი ასაკი იდეალურია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების სასწავლო პროცესში ჩასართავად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მიერ სახელმწიფო ენის შესასწავლად (ადრეულ ასაკში ბავშვები ენებს გაცილებით სწრაფად სწავლობენ). სკოლამდელ განათლებასა და ადრეულ ასაკში განვითარებაზე ორიენტირებული პროექტებისა და პროგრამების განხორციელების გზით, ბევრი ისეთი პრობლემის პრევენციაა შესაძლებელი, რომელთა გადაჭრა შემდგომში გაცილებით რთული და მტკივნეული იქნება.

როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს ინფორმაციულ ტექსტთან მუშაობაში

საქართველოში 2006 წელს ჩატარებულმა ტესტირებამ გამოავლინა, რომ მოსწავლეებს ინფორმაციულ ტექსტთან მუშაობა უჭირთ. სტატიაში ინფორმაციული ტექსტების წაკითხვასა და გააზრებასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებს მიმოვიხილავთ. ასევე, გავეცნობით ერთ პრაქტიკულ სტრატეგიას, რომლის გამოყენებაც საგრძნობლად აუმჯობესებს მოსწავლის მიერ ინფორმაციული ტექსტის გააზრებას.

პაატა პაპავა

მნიშვნელოვანია, გვესმოდეს, რომ კითხვის სწავლება მხოლოდ მშობლიური ენის მასწავლებლის ამოცანა არ არის. კითხვის სტრატეგიები სხვა საგნებშიც უნდა ისწავლებოდეს. ამ პრობლემაზე მსჯელობის დროს, როგორც წესი, მასწავლებლები შემდეგ შეკითხვებს სვამენ: რა საჭიროა ინფორმაციული ტექსტის დამუშავების გამოყოფა დამოუკიდებელ პედაგოგიურ ამოცანად? პირველ და მეორე კლასებში ბავშვი ხომ ეუფლება კითხვის უნარს? რატომ დავკარგოთ ისედაც არასაკმარისი დრო იმაზე, რაც მშობლიური ენის მასწავლებელმა უნდა აკეთოს?

გააზრებაზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესში მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ კითხვა კომპლექსური მოვლენაა და ტექსტის დეკოდირებით არ შემოიფარგლება. ტექსტის გაგება და გაცნობიერება არა მხოლოდ ძალისხმევას, არამედ მთელი რიგი სპეციალური უნარების ფლობასაც მოითხოვს. მასწავლებლებსა და მშობლებს ჰგონიათ, რომ კითხვის ეფექტურ უნარებს ბავშვი თავისთავად ეუფლება მშობლიური ენის გაკვეთილებზე. დაკვირვებამ და კვლევამ კი სხვა სურათი გამოავლინა. აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა ტიპის ტექსტებთან მუშაობისას, ბავშვების უმრავლესობას დახმარება სჭირდება. ეს ნიშნავს, რომ სკოლამ და ყველა საგნის მასწავლებელმა გარკვეული დრო უნდა დაუთმონ ინფორმაციულ, მოცემული საგნისათვის ტიპურ ტექსტთან მუშაობის ტექნიკის გამომუშავებას.

რა არის ტექსტის გაგება?

ტექსტის გაგებაზე რამდენიმე ძირითადი ფაქტორი ზემოქმედებს: მკითხველი, ტექსტი და კონტექსტი. თითოეული ფაქტორი, თავის მხრივ, რამდენიმე ასპექტს მოიცავს.

მკითხველთან დაკავშირებული ძირითადი ასპექტებია: საბაზისო (უკვე არსებული) ცოდნა, ტექსტთან დაკავშირებული თემატური ცოდნა, ზოგადი და თემატური ლექსიკური მარაგი, კითხვის ტექნიკა (გამართული კითხვის უნარი), კითხვის მოტივაცია, გაგების სტრატეგიები.

ტექსტთან დაკავშირებული ძირითადი ასპექტებია: ტიპი, სტრუქტურა, კითხვადობა, დამხმარე ელემენტები, ავტორის მოტივები და დამოკიდებულებები.

კონტექსტთან დაკავშირებული ძირითადი ასპექტებია: კითხვითი ამოცანა (თუ ასეთი რამ გარედან არის ნაკარნახევი), ფიზიკური გარემო, ფსიქო-სოციალური ატმოსფერო, დამხმარე საშუალებები.

გააზრებაზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესში მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ კითხვა კომპლექსური მოვლენაა და ტექსტის დეკოდირებით არ შემოიფარგლება. ტექსტის გაგება და გაცნობიერება არა მხოლოდ ძალისხმევას, არამედ მთელი რიგი სპეციალური უნარების ფლობასაც მოითხოვს.

როგორ ვიგებთ ტექსტს კითხვის პროცესში?

წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი:

„არსებობს უამრავი ტექნიკა თუ მეთოდიკა პიროვნული ზრდის და პიროვნების გაძლიერების. ეს მიმართულება ერთადერთია, რომელიც უნდა იქცეს თქვენი ცხოვრების სტილად. ამის მიზეზი მილიარდი ტრანსული და სუგესტიური სიტუაციაა, რომლებსაც პირისპირ დაეჯახებით თქვენი სიცოცხლის მანძილზე. ერთადერთი თვისება, რომელიც დაგეხმარებათ თქვენი სიძლიერის ჩამოყალიბებაში, ეს არის ქცევა – ქმედების, აზროვნების მოქნილობა, ანუ ფლექსიბილურობა. ჩინელებს აქვთ კარგი გამონათქვამი ამასთან დაკავშირებით: „თქვენ უნდა იყოთ, როგორც წყალი: სამკუთხედ მდგომარეობაში ის სამკუთხედია, ოთხკუთხედში კი ოთხკუთხაა, წრიულში წრიულია, ცივში თბილია, თბილში კი ცივია. დაემსგავსეთ წყალს და ირბინეთ ისე, რომ იჩქაროთ ნელა.“ (ზურაბ ქარჩავა, „პროფესიული ფსიქოფიზიკური გადაწვის პროფილაქტიკის ფსიქოთერაპიული პრინციპი“. ელექტრონული ბიბლიოთეკა: http://lib.ge/body_text.php?4918)

გაიგეთ თუ ვერ გაიგეთ წაკითხული ტექსტი? როგორ შეგიძლიათ იმის ჩვენება და დასაბუთება, რომ ეს ტექსტი გაიგეთ? ტექსტის ხმამაღლა გამეორებით? ტექსტში მოცემული აზრის სხვა სიტყვებით ჩამოყალიბებით? ტექსტის შინაარსთან დაკავშირებულ შეკითხვებზე პასუხის გაცემით ან ასეთივე შეკითხვების დასმით? მონაკვეთის შემაჯამებელი წინადადების ჩამოყალიბებით? რამემ ხომ არ შეგიშალათ ხელი ტექსტის გაგებაში? რა გზას შეგიძლიათ მიმართოთ არსებული ხარვეზის აღმოსაფხვრელად?

რა სპეციფიკა აქვს ინფორმაციული ტექსტის გაგებას?

ბავშვებს ბუნებრივად უჩნდებათ უამრავი შეკითხვა საკუთარი თავისა და გარემომცველი სამყაროს შესახებ. ინფორმაციული ტექსტების წაკითხვა მათი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საშუალებაა. ადამიანის ზრდასთან ერთად კი, იმ ინფორმაციის მარაგიც მატულობს, რომელიც მას არა მხოლოდ აინტერესებს, არამედ სჭირდება კიდეც. ჩვენ მუდმივად ვიღებთ ინფორმაციას სხვადასხვა წყაროდან: სახელმძღვანელოებიდან, გზამკვლევებიდან, ბროშურებიდან, ჟურნალ-გაზეთებიდან, კატალოგებიდან, ანგარიშებიდან და ა. შ. შესაბამისად, წიგნიერ საზოგადოებაში კითხვა მხოლოდ სიამოვნების მიღებისა და ერუდიციის მაღალი დონის მიღწევის საშუალებას კი არ წარმოადგენს, არამედ ის სწავლისა და საქმიანობის ეფექტური ინსტრუმენტიცაა.

რა სურათი გვაქვს დღევანდელ სკოლებში?

მოსწავლეებს სახელმძღვანელოებსა და დამხმარე მასალას ისე აწვდიან, რომ მათ ინფორმაციულ ტექსტებთან მუშაობის სტრატეგიებს არ უვითარებენ. რადგან ინფორმაციულ ტექსტთან მუშაობა ყველასთვის ადვილი არ არის, მოსწავლეები, გაგების ნაცვლად, დამახსოვრებაზე ორიენტირებულები ხდებიან. კლასიდან კლასში, საფეხურიდან საფეხურზე გადასვლასთან ერთად, გროვდება გაუგებარი, ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცნებები, რასაც, საბოლოო ჯამში, ფრაგმენტულ, ზედაპირულ, გაუმთლიანებელ ფსევდოცოდნამდე მივყავართ.

როგორ შეიძლება პრობლემის გადაჭრა? რა შეუძლია სკოლას?

თავად მასწავლებელმა უნდა გააცნობიეროს ინფორმაციული ტექსტის ძირითადი მახასიათებლები და მის გააზრებასთან დაკავშირებული სირთულეები. ამის შემდეგ ის შეძლებს, დაეხმაროს მოსწავლეებს ინფორმაციულ მასალასთან მუშაობისას ბარიერების გადალახვაში, რაც, პირველ რიგში, რამდენიმე ეფექტური სტრატეგიის დაუფლება-გამოყენებას გულისხმობს.

ტექსტის გააზრება, როგორც პროცესი

ტექსტის გაგება (გააზრება) არ არის ერთჯერადი აქტი. გააზრება დროში განვრცობილი, ეტაპობრივი პროცესია. იგი სამ ძირითად საფეხურად იყოფა: ტექსტის წაკითხვამდელ, უშუალოდ კითხვის და წაკითხვის შემდგომ საფეხურებად.

ტექსტის გაგებაზე ორიენტირებული, სტრატეგიული მკითხველი ტექსტის წაკითხვამდე:

- აცნობიერებს მოცემული ტექსტის წაკითხვის მიზანსა და საჭიროებას;
- ყურადღებას ამახვილებს ტექსტის თემაზე და ცდილობს, გაიხსენოს, რა იცის მის გარშემო;
- ფიქრობს ტექსტის ტიპისა და სტრუქტურის შესახებ;
- აყალიბებს ვარაუდებს ტექსტის შინაარსთან დაკავშირებით.

კარგი მკითხველი: ტექსტის წაკითხვის პროცესში

- ამოწმებს პირველადი ვარაუდების ადეკვატურობას და აყალიბებს მიმდინარე ვარაუდებს;
- ვიზუალურად წარმოიდგენს წაკითხულს;
- აკავშირებს წაკითხულ ინფორმაციას არსებულ ცოდნასთან;
- ცალკეული აბზაცისა თუ დასრულებული მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ აკეთებს შეჯამებას;
- ამოწმებს გაგებას, ანუ სვამს შეკითხვას: რამდენად კარგად გავიგე წაკითხული?

ტექსტის წაკითხვის შემდეგ:

- აკეთებს საბოლოო შეჯამებას;
- ფიქრობს იმის შესახებ, თუ რამდენად ამომწურავი და სასარგებლოა ტექსტიდან მიღებული ინფორმაცია;
- ითვალისწინებს ავტორის დამოკიდებულებებს მოცემული საკითხის მიმართ.

სტრატეგიების უმრავლესობა ერთ უმნიშვნელოვანეს უნარს ეფუძნება – ეფექტური შეკითხვების დასმის უნარს. შესაბამისად, კარგი მკითხველი სვამს ბევრ შეკითხვას ტექსტის წაკითხვამდე, კითხვის პროცესში და კითხვის დასრულების შემდეგ. ამგვარად, თუ მოსწავლეებს დავეხმარებით, რომ მათ შეკითხვები დასვან როგორც საკუთარი თავის, ასევე ტექსტის ირგვლივ მის წაკითხვამდე, წაკითხვის დროს და წაკითხვის შემდეგ, ისინი სტრატეგიულ მკითხველებად ჩამოყალიბდებიან.

ქვემოთ განხილულია სტრატეგია, რომელიც ნამდვილად დაეხმარება მოსწავლეებს. იგი საუკეთესოდ ერგება სხვადასხვა ზომის ტექსტებს (მთელი წიგნი, წიგნის თავი, ქვეთავი, კვლევითი სტატია და სხვა) და ორ მნიშვნელოვან სტრატეგიას ეფუძნება: კითხვების დასმას და წაკითხული მონაკვეთის შეჯამებას.

ინფორმაციული ტექსტის გაგების ეფექტური სტრატეგია

კითხვა და გაგება წყვილებში

სტრატეგიის ავტორი: ვონი, 1986

მოკლე აღწერა: მოსწავლეები წყვილებში კითხულობენ ტექსტს მონაკვეთებად. თითოეული მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ ერთი მოსწავლე აკეთებს წაკითხულის შეჯამებას, ხოლო მეორე სვამს შეკითხვებს. თითოეული მონაკვეთის შემდეგ როლები იცვლება.

დანიშნულება: მოსწავლეების მიერ წაკითხული ტექსტის სიღრმისეულად გააზრება. მოცემული სტრატეგია საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, ერთი მხრივ, დამოუკიდებლად იმუშაონ ტექსტზე, ხოლო, მეორე მხრივ, დაეხმარონ ერთმანეთს მისი გააზრების პროცესში. მეთოდი გამიზნულია ტექსტთან მუშაობის სხვადასხვა ფორმის გააქტიურებისა და გამოყენებისათვის, რასაც მკითხველი რთული ტექსტის გაგებამდე მიჰყავს.

ჯგუფის ზომა: ორიდან რამდენიმე ათეულ წევრამდე.

საჭირო დრო: მას მიმართავენ სამჯერ ან ოთხჯერ, იმის მიხედვით, თუ რა ზომისაა ტექსტი.

მსვლელობა:

პირველი ეტაპი: მასწავლებელი შეარჩევს შესაფერისი ზომის ინფორმაციულ ტექსტს (სასკოლო სახელმძღვანელოდან ან სხვა წყაროდან). სასურველია, ტექსტი შედგებოდეს მცირე ზომის აბზაცებისაგან.

მეორე ეტაპი: თუ მოსწავლეები მოცემულ სტრატეგიას არ იცნობენ, საჭიროა, მასწავლებელმა მათ აჩვენოს, როგორ უნდა გამოიყენონ იგი.

ა) მასწავლებელი ხმამაღლა წაიკითხავს ტექსტის მონაკვეთს (ვთქვათ, წასაკითხი ტექსტის პირველ აბზაცს), შემდეგ კი შეაჯამებს წაკითხულ ტექსტს.



მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ შეჯამება მოცემული სტრატეგიის პირველი ნაბიჯია. ამის შემდეგ საჭიროა შეჯამების არსის ახსნა – იმის, რომ იგი მოცემულ ტექსტზე მცირე ზომისაა და ტექსტის ძირითად იდეებს შეიცავს.

ბ) მასწავლებელი სვამს ამავე მონაკვეთთან დაკავშირებულ ორ შეკითხვას. როცა მოსწავლეები პასუხს გასცემენ, მათ უხსნის, რომ შეკითხვების დასმა მოცემული სტრატეგიის მეორე ნაბიჯია.

მესამე ეტაპი: მოსწავლეები წყვილდებიან. მასწავლებელი მუშაობის პროცედურას ხსნის: ერთი მოსწავლე ხმამაღლა წაიკითხავს აბზაცს/მონაკვეთს და შეჯამებას ისე ჩამოაყალიბებს, როგორც ეს მასწავლებელმა გააკეთა. სასურველია, მოსწავლეებს საკმარისი დრო ჰქონდეთ კითხვისა და შეჯამებისათვის. როცა ისინი მუშაობას ასრულებენ, რამდენიმე მოსწავლე მთელ კლასს უზიარებს საკუთარ ვარიანტებს. ამ გზით ვიგებთ, რამდენად გაიგეს მოსწავლეებმა წაკითხული. მასწავლებელი მათ შენიშვნებსა და რეკომენდაციებს აძლევს აღნიშნული სტრატეგიის გამოყენების გასაუმჯობესებლად.

ახლა წყვილების სხვა წევრები სვამენ შეკითხვებს წაკითხული აბზაცის/მონაკვეთის გარშემო. შემდეგ რამდენიმე მოსწავლე საკუთარ შეკითხვებს აცნობს მთელ კლასს. ისინი ამ შემთხვევაშიც იღებენ მასწავლებლის რჩევებს შეკითხვების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

მეოთხე ეტაპი: მას შემდეგ, რაც მოსწავლეები აღნიშნულ პროცედურას აითვისებენ, მასწავლებელი მათ სთხოვს, დამოუკიდებლად გააგრძელონ ტექსტის მომდევნო მონაკვეთებზე მუშაობა. საჭიროა იმის შეხსენებაც, რომ მათ აუცილებლად უნდა გაცვალონ როლები თითოეული მონაკვეთის წაკითხვისა და განხილვის შემდეგ.

ირაკლი კაკაბაძე

განათლება ფინეთში

რა განაპირობებს ფინელი მოზარდების მაღალ შეფასებას საერთაშორისო გამოცდებზე

აქ უფროსკლასელები იშვიათად ათენებენ ღამეებს მეცადინეობაში, საშინაო დავალების შესრულებაზე კი ერთ საათზე მეტს არ ხარჯავენ. ისინი თითქმის ყველაფერს ასწრებენ და სასკოლო ფორმებით არ დადიან. სკოლებში არ ირეკება ზარი, შესვენებისა და გაკვეთილის დაწყების დროს მასწავლებლები მოსწავლეებთან ერთად განსაზღვრავენ. საკლასო ოთახებსა და დერეფნებში უჩვეულო სიმშვიდეა. იშვიათად ტარდება გამოცდები და ტესტირებები. არ არის ცალკე კლასები აკადემიურად ჩამორჩენილი თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის. სკოლაში სიარულს ბავშვები 7 წლის ასაკში იწყებენ.

> ფინელების წარმატებების ერთ-ერთი მიზეზი, სავარაუდოდ, ისიც არის, რომ მათ ძალიან უყვართ წიგნები. ყველა სავაჭრო ცენტრსა თუ საოფისე შენობაში შეხვდებით წიგნის მაღაზიას, რომელიც, ამავდროულად, ბიბლიოთეკაა. სახელმწიფო თითოეულ ახალშობილს ჩუქნის პაკეტს, რომელშიც ილუსტრირებული წიგნებიც შედის.

საერთაშორისო გამოკვლევებით, ფინელი მოზარდები მსოფლიოს ყველაზე ჭკვიანთა რეიტინგში ლიდერობენ. 15 წლის მოსწავლეებში მათ უმაღლესი შეფასება დაიმსახურეს 57 ქვეყნის მონაწილეთა შორის. ქართველი თანატოლების მსგავსად, ისინი ბევრ დროს უთმობენ კომპიუტერსა და ინტერნეტს, უსმენენ რეპსაც და მძიმე როკსაც, თუმცა საშუალო სკოლაში (მე-9 კლასიდან) სერიოზულად ეკიდებიან მათემატიკის, საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებების შესწავლას, რომლებსაც ურთულესი პროგრამებით გადიან. ალბათ საშუალო სკოლაში რთული პროგრამების დაძლევით და განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით აიხსნება ის, რომ ფინელები მსოფლიოში ყველაზე კარგ მუშაკებად და მოხელეებად არიან მიჩნეული.

ფინეთი პირველ ადგილს არავის უთმობს პროგრამების საერთაშორისო შეფასებისას, როცა კომბინირებული შეფასებებით მოსწავლეთა საგანმანათლებო მიღწევები ფასდება. ბოლო გამოცდის დროს, რომელიც მსოფლიოს მაშტაბით ჩატარდა და მეცნიერების შესწავლის ხარისხს აფასებდა, ფინელმა სტუდენტებმა ზოგად მეცნიერებებსა და უმაღლეს მათემატიკაში საუკეთესო შედეგი აჩვენეს.

ფინელი მოსწავლეების აკადემიურმა წარმატებამ მრავალი ქვეყნის მასწავლებელთა და განათლების სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო. ისინი ყოველწლიურად აკვირდებიან და იკვლევენ, თუ როგორ მოახერხა სახელმწიფომ, ჰქონდეს ასეთი განათლების სისტემა, ჰყავდეს ამდენი მაღალკვალიფიციური მასწავლებელი და სისტემატურად ზრუნავდეს მათ პროფესიულ განვითარებაზე.

ბავშვები, უკვე დაწყებით ეტაპზე, ბევრ რამეს უფროსების დახმარების და ჩარევის გარეშე აკეთებენ. ყველა საფეხურზე მასწავლებლები გაკვეთილის გეგმებსა და სტრატეგიებს მათთან შეთანხმებით და მათი მონაწილეობით ადგენენ. მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სკოლის ცხოვრებაში, მოსწავლეთა თვითმმართველობები კი – სკოლის მართვაში. აქ არ არსებობს ელიტური სკოლები, კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებები კი სისტემის უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს.

„ჩვენ არ გვაქვს ნავთობი და სხვა ბუნებრივი რესურსები ან სიმდიდრეები. ცოდნა და განათლება – ეს არის ის, რაც ფინეთს და ფინელ ხალხს კონკურენტუნარიანს ხდის მთელ მსოფლიოში“, – ამბობს ერთ-ერთი სკოლის დირექტორი ელენ ფრანცი.

ფანი სალო 15 წლის ფინელი მოსწავლეა. მას მძივებისა და სამკაულების გაკეთება, მაღაზიებში მეგობრებთან ერთად სიარული და პოპ-მუსიკა უყვარს. ის ყოველ დღე, გაკვეთილების შემდეგ, სკოლაში რჩება, რათა მეცადინეობაში დაეხმაროს იმ თანაკლასელებს, რომლებიც აკადემიურ ჩამორჩენას ავლენენ ან რომლებსაც ახალი მასალის ათვისება უჭირთ. მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ მათ აქცენტი კარგი მოსწრების მქონე მოსწავლეებზე უნდა გააკეთონ. ამ დროს წარმატებული მოსწავლეები თანატოლებს უნდა ეხმარებოდნენ, რაც მათ პირად პროგრესსაც შეუწყობს ხელს და, ამავდროულად, მოზარდებს მეგობრობის, თანამშრომლობის, ურთიერთპატივისცემისა და თანადგომის უნარებს განუვითარებს.

მიუხედავად იმისა, რომ ფინელი მასწავლებლები აქტიურად იყენებენ თანამდროვე ტექნიკურ შესაძლებლობებს, მოსწავლეებს სკოლაში მკაცრად ეკრძალებათ მობილური ტელეფონით სარგებლობა. პედაგოგები გაკვეთილზე სისტემატურად იყენებენ ინტერნეტ-რესურსებს, ასევე, ინტერნეტის საშუალებით, ხშირად ურთიერთობენ მოსწავლეებთან.

ფინელ მოსწავლეებს გაკვეთილზე პრაქტიკული სავარჯიშოების კეთება უყვართ. მასწავლებლები ნაკლებ დროს უთმობენ კითხვის უნარის განვითრებას და თეორიული მასალის ათვისებას. მათი მიზანია, მოსწავლემ გაკვეთილზევე აითვისოს ახალი მასალა და შინ ძალიან მცირე ქონდეს გასაკეთებელი. ამიტომ ისინი ყველა გაკვეთილზე იყენებენ ტესტური გამოკითხვის ფორმას, ჯგუფური მუშაობის სხვადასხვა მეთოდს, მცირე კონკურსებს და გაკვეთილის შემდგომ ინდივიდუალურ მეცადინეობას – მათთვის, ვისაც ახალი მასალის ათვისება უჭირს.

კვება სკოლაში უფასოა. მოსწავლეები თვითონ ირჩევენ სასურველ საკვებს და თავადვე ასუფთავებენ სასადილოს. დიდ შესვენებაზე მათ სკოლის ეზოში თამაში და სეირნობა შეუძლიათ, ასევე ბიბლიოთეკაში ყოფნა, სადაც ინტერნეტზეც მიუწვდებათ ხელი. მოზარდებს არ უშლიან საკლასო ოთახებში წინდებით ან ფეხშიშველა სიარულს, საკუთარი საკლასო ინვენტარის განსხვავებულად დალაგებას, იატაკზე ჯდომას და დავალების ამგვარად შესრულებას. „უნდა ვაღიაროთ ის ფაქტი, რომ ისინი ბავშვები არიან და ახლა სწავლობენ ცხოვრებას. ტრაგედია სულაც არ არის, მათემატიკის გაკვეთილზე მერხზე თუ ჩაეძინება მოსწავლეს. ჩვენ უფროსები ვართ და შეგვიძლია მეტად დავეხმაროთ მათ, გაკვეთილების შემდეგაც და სკოლის გარეთაც“, — გვითხრა ელენ ფრანცმა.

სკოლებში თვალშისაცემია თანამშრომელთა სიმრავლე. მომსახურე პერსონალის და მასწავლებელთა გარდა, ბევრი სტაჟიორია დასაქმებული, რომლებიც აუცილებელ პრაქტიკას გადიან. მასწავლებლობის უფლება მხოლოდ მაგისტრებს აქვთ. მუშაობის დასაწყებად ისინი სპეციალურ გამოცდას აბარებენ. მიუხედავად ამ სიძნელეებისა, მასწავლებლობა ფინეთში სასურველი პროფესიაა: ერთ ვაკანსიაზე 40 მსურველმა შეიძლება გააკეთოს განაცხადი.

ფინელი მასწავლებლები შემოქმედებითი მიდგომით გამოირჩევიან. ხშირად შეხვდებით იმ პედაგოგებს, რომლებიც სახელმძღვანელოების ან დამხმარე მასალების ავტორები არიან. ყველას აქვს საკუთარი პორტფოლიო, სადაც საგაკვეთილო რესურსები, ტესტები, ჟურნალები და პროექტებია მოქცეული. მასწავლებლები მათ თავად ქმნიან და აქტიურად იყენებენ პრაქტიკაში.

ფინელების წარმატებების ერთ-ერთი მიზეზი, სავარაუდოდ, ისიც არის, რომ მათ ძალიან უყვართ წიგნები. ყველა სავაჭრო ცენტრსა თუ საოფისე შენობაში შეხვდებით წიგნის მაღაზიას, რომელიც, ამავდროულად, ბიბლიოთეკაა. სახელმწიფო თითოეულ ახალშობილს ჩუქნის პაკეტს, რომელშიც ილუსტრირებული წიგნებიც შედის. მოზარდები ხშირად არ ელოდებიან, როდის განახორციელებენ ფინური გამომცემლობები მსოფლიო ბესტსელერების თარგმნას და გამოცემას. ისინი ინგლისურ ენაზე კითხულობენ მათ. გასულ წელს ამერიკის განათლების დეპარტამენტისა და განათლების ეროვნული ასოციაციის დასკვნაში ფინეთი, ინგლისური ენის ცოდნითა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, სკანდინავიისა და ევროპის არაინგლისურენოვან ქვეყნებს შორის პირველ ადგილზე აღმოჩნდა. ინგლისური ენის სასკოლო პროგრამები კი ყველამ სამაგალითოდ მიიჩნია.

გამოყენებული მასალა: Ellen Gamerman, "finnish kids" The Wall Street Jurnal

მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი

ირმა კახურაშვილი

დღეს ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, თუ რამდენად აუცილებელია სასწავლო პროცესის სრულყოფისთვის, რომ სკოლამ ამ პროცესში მონაწილე მხარეებს შორის ეთიკურად მიზანშეწონილი ურთიერთობის დამყარება უზრუნველყოს. განათლების ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი ამ საქმეში დიდ წვლილს შეიტანს. ეს დოკუმენტი, რომლის დამტკიცებულ ვარიანტსაც მასწავლებლები ახლო მომავალში გაეცნობიან, პროფესიულ წრეებში უკვე საინტერესო დისკუსიებს იწვევს. ეთიკის კოდექსი პედაგოგის დამხმარე ინსტრუმენტს წარმოადგენს – მისი მიზანია, ხელი შეუწყოს მასწავლებელს ეთიკური ქმედებების განხორციელებაში, მოსწავლისთვის ტოლერანტობის, დემოკრატიული აზროვნებისა და ადამიანის უფლებებათა დაცვის მაგალითის მიცემაში. პედაგოგმა პირადი მაგალითით უნდა აჩვენოს მოსწავლეს, თუ რას ნიშნავს კორექტული ქცევა ნებისმიერ სიტუაციაში.

სად გადის ზღვარი მასწავლებლის მოვალეობებსა და უფლებებს შორის? რა როლი შეიძლება ითამაშოს ეთიკის კოდექსმა სასკოლო ცხოვრებაში? – ამ და სხვა საკითხების შესახებ განათლების სისტემაში მომუშავე პროფესიონალებმა ჩვენი ჟურნალის მკითხველისთვის „მრგვალ მაგიდასთან“ იმსჯელეს.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

გია მამულაშვილი
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი

თამარ ტალიაშვილი
ილიას უნივერსიტეტის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

ლალი ბერიშვილი
195-ე საჯარო სკოლის დირექტორი

ნანა გიგნაძე
99-ე საჯარო სკოლის ქიმიის პედაგოგი

თეა წიკლაური
დამოუკიდებელი საერო გიმნაზია „შავნაბადას“ დაწყებითი კლასების პედაგოგი

ვახუშტი მენაბდე
იურისტი, ადამიანის უფლებათა დამცველი

ქეთევან მეხუზლა
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის იურისტი

ნინო ელბაქიძე
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სტანდარტების კოორდინატორი

შეხვედრას უძღვებოდა ჟურნალ „მასწავლებლის“ მთავარი რედაქტორი **ნატო ინგოროყვა**

ნინო ელბაქიძე: სანამ მასწავლებელთა ეთიკის კოდექსზე მუშაობას დავიწყებდით, ამ სფეროში არსებული საერთაშორისო გამოცდილება გამოვიკვლიეთ. ჩატარდა რიგი სამუშაო შეხვედრები მასწავლებლებთან, ბავშვებთან და მშობლებთან. გვინდოდა, უშუალოდ მათგან მოგვესმინა სასკოლო ცხოვრებაში არსებული ეთიკური დილემების შესახებ. შემდგომში ეს შემთხვევები აღიწერა მასწავლებლის ეთიკის სახელმძღვანელოში „სიტუაციები სასკოლო ცხოვრებიდან“, რომელიც ყველა სკოლას დაურიგდა. ასევე, შეიქმნა მასწავლებლის ეთიკის კოდექსის სამუშაო ვერსია. კოდექსში იქნება რამდენიმე პუნქტი, რომელიც გარკვეულ ფოკუს-ჯგუფთან ურთიერთობას მიეძღვნება. მაგალითად, ერთ-ერთი პუნქტი შეეხება მასწავლებლის ზოგად კომპეტენციას, სხვა – მშობელთან და კოლეგებთან ურთიერთობას. გაწერილი იქნება ის ნორმები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა დაცვის არცერთ დოკუმენტს და ითვალისწინებს როგორც მასწავლებლის, ასევე მოსწავლისა და მშობლის ინტერესებს. მასწავლებლების პირველი რეაქცია ამ დოკუმენტი-სადმი (სანამ მას გაეცნობოდნენ) სხვადასხვაგვარი იყო: მას ზოგი დადებითად, ზოგიც ინტერესით და ზოგიც – უარყოფითად შეხვდა.

თეა წიკლაური: მასწავლებლის პროფესიული ქცევის ნორმები მასწავლებელსა და დირექტორს

თამარ ტალიაშვილი

შორის დადებულ ხელშეკრულებაში ისედაც არის ასახული. მასწავლებლის ეთიკის კოდექსს ჯერ არ ვიცნობ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ის საჭირო ნორმებს მოიცავს. ვფიქრობ, ძირითადად, ისეთ ნორმებთან გვექნება საქმე, რომლებსაც მასწავლებელი კოდექსის გარეშეც უნდა იცავდეს. ჩემთვის, როგორც ნაკლებად გამოცდილი პედაგოგისთვის, კოდექსის არსებობა ძალიან მიშვნელოვანია. ის ერთგვარი სახელმძღვანელოა მასწავლებლის პროფესიული ცხოვრების გზაზე.

ლალი ბერიშვილი: შესაძლოა, რომელიღაც დოკუმენტში წერია, რომ მასწავლებელმა უნდა დაიცვას ეთიკის ნორმები, მაგრამ არსად წერია, რეალურად რა იგულისხმება ამ ნორმებში. არსებობს ეთიკის დაუწერილი ნორმებიც – მაგალითად, ის, რომ ბავშვს არ უნდა შეეხო. თუმცა ბევრი მასწავლებელი თავს უფლებას აძლევს, ეს დაუშვას. მოთხოვნები, კოდექსის სახით, აუცილებლად უნდა არსებობდეს.

თამარ ტალიაშვილი: პედაგოგიური ეთიკის კოდექსი მასწავლებლის ქცევის მარეგულირებელი დოკუმენტია. თუმცა იმ მასწავლებლის ქცევას, რომელიც არ ფლობს პროფესიულ უნარებსა და ცოდნას, ვერანაირი დოკუმენტი ვერ დაარეგულირებს. უცხოეთის საკანონმდებლო სივრცეში ეთიკის კოდექსი ალბათ მართლაც უზრუნველყოფს იმას, რომ არ მოხდეს გადაცდომა. საქართველოში კი, მაგალითად, ვერ დამკვიდრდა საგაკვეთილო დისკუსიის მეთოდი: ამ დროს ირღვევა ყოველგვარი ეთიკური ნორმა როგორც მოსწავლის, ისე მასწავლებლის მხრიდან. ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, ასევე, მოსწავლეებს შორისაც თანამშრომლობის სოციალური ჩვევა არ არსებობს. დისკუსიაში, ღირებულებების დაცვის ნაცვლად, ყველას მხოლოდ საკუთარი თავის წარმოჩენა სურს. თუ სკოლებში თანამშრომლობის პრინციპი არ იმუშავებს, რომლის ამოსავალი წერტილიც დღევანდელი საგანმანათლებლო რეფორმაა, კოდექსის „გაცოცხლება“ გართულდება. ასევე, ვფიქრობ, მასწავლებელთა დიდი ნაწილი ახალ კოდექსს უარყოფითად შეხვდება, რადგან მას დამატებით მაკონტროლებელ რგოლად აღიქვამს.

ნატო ინგოროყვა: არ არის გამორიცხული, რომ მასწავლებელს გაუჩნდეს კითხვა: ჯერ სერტიფიცირება მომთხოვეს, ახლა ეთიკის ნორმებს მიმზადებენ და გამოდის, რომ

ქეთევან მეხუზლა

მხოლოდ მოვალეობები მაქვს, ჩემს უფლებებს ვინ დაიცავს?

ქეთი მეხუზლა: ცნება „უფლება“ თავისთავად გულისხმობს სახელმწიფოს საპასუხო ვალდებულებას, დაიცვას და ხელი შეუწყოს მოქალაქეს უფლებებით სარგებლობაში, უფლებების რეალიზებაში.

თამარ ტალიაშვილი: თუ მასწავლებელმა სასერტიფიკაციო გამოცდა ჩააბარა და სტანდარტებს დაეუფლა, მისთვის ეთიკის კოდექსი მხოლოდ დახმარება იქნება. ეს დოკუმენტი განსაკუთრებით წაადგება პედაგო-

ნინო ელგაჯიძე

გისა და მშობლის ურთიერთობის დარეგულირებას. მაგალითად, სკოლაში ხშირია აკადემიურ შეფასებაზე მიბმული კონფლიქტები. იმის გამო, რომ მშობელი სკოლაში არ ან ვერ დადის, მასწავლებელი დროულად ვერ აწვდის მას ინფორმაციას ბავშვის აკადემიური მოსწრების შესახებ, რის გამოც კონფლიქტური სიტუაცია იქმნება ხოლმე. მასწავლებელს დაცვა სწორედ აქ სჭირდება.

ლალი ბერიშვილი: ნებისმიერ ახალ დოკუმენტს მასწავლებელი სიფრთხილით ხვდება და ეს

ნანა გაგნიძე

სავსებით ბუნებრივია. მას, თავისი კომპეტენტურობიდან გამომდინარე, აქვს ამბიცია, სხვას ასწავლოს. ის მჭედელია თავის საკლასო გარემოში. ნორმებში მისი მოქცევა რთული არ იქნება, თუ ის გაიაზრებს, რომ მასწავლებლის ეთიკის კოდექსი დაარეგულირებს ურთიერთობებს – მასწავლებელსა და მასწავლებელს, მასწავლებელსა და მოსწავლეს, მასწავლებელსა და დირექტორს, მასწავლებელსა და მშობელს შორის.

ნინო ელბაქიძე: საქართველოში მშობლების ჩართულობა სასწავლო პროცესში ძალიან დაბალია. კოდექსის მიხედვით, მასწავლებელი ვალდებულია, სასწავლო წლის და ყოველი ტრიმესტრის დასაწყისში მშობელს მისცეს ინფორმაცია სასწავლო გეგმებისა და მის მიერ არჩეული მეთოდების შესახებ. ვფიქრობთ, ეს მდგომარეობის გამოსწორების მცდელობა იქნება. ეს ინფორმაცია კი მშობელს დროულად უნდა მიაწოდოს მასწავლებელმა. მშობლისთვის არ უნდა იყოს აღმოჩენა ის, რომ მის შვილს ტრიმესტრის ბოლოს დაბალი ნიშნები აქვს. რაც შეეხება ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, ისინი მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტშია ასახული. მასწავლებლის ეთიკის კოდექსში კი განსაზღვრულია ის დამოკიდებულებები, რომლებსაც მასწავლებელი თავისი საქმიანობის მიმართ უნდა ავლენდეს. მასწავლებლის სტანდარტი და ეთიკის კოდექსი ორი სხვადასხვა დოკუმენტია, რომელიც ერთმანეთს ავსებს.

ვახუშტი მენაბდე: დისკუსიის დროს გამოიკვეთა სამი არგუმენტი, რითაც მასწავლებელს შეუძლია კოდექსი „დაიწუნოს“. პირველი: რა საჭიროა კოდექსი, განა ისედაც ეთიკური არ ვარ? მეორე: ამ კოდექ-სით მე მხოლოდ

> **ეთიკის კოდექსი პედაგოგის დამხმარე ინსტრუმენტს წარმოადგენს – მისი მიზანია, ხელი შეუწყოს მასწავლებელს ეთიკური ქმედებების განხორციელებაში, მოსწავლისთვის ტოლერანტობის, დემოკრატიული აზროვნებისა და ადამიანის უფლებებათა დაცვის მაგალითის მიცემაში.**

მოვალეობები მაქვს და უფლებები არ გამაჩნია? და მესამე: კოდექსში კლასიკური გაგებით არაეთიკური საკითხები კი არ არის შესული, არამედ ქცევის წესები.

მასწავლებელი თავისი საქმიანობით საჯარო ფუნქციას ახორციელებს. ის თვითონ წარმოადგენს სახელმწიფოს. ადამიანის უფლებების ყველაზე გავრცელებული ხედვის მიხედვით კი, სახელმწიფო არ შეიძლება იყოს ადამიანის უფლებების სუბიექტი, მას არ შეიძლება გააჩნდეს უფლებები. მას მხოლოდ აკისრია მოვალეობა, რომ ეს უფლებები არ დაარღვიოს. ამდენად, პედაგოგს მოსწავლესთან ურთიერთობაში მხოლოდ მოვალეობები აკისრია, დირექციასთან მიმართებაში კი უფლებები აქვს. რას ვაკეთებთ მაშინ, როცა მშობელი ლახავს მასწავლებლის უფლებას? ამ შემთხვევაში საკითხს განვიხილავთ არა როგორც მასწავლებლის უფლების დარღვევას, არამედ როგორც კონკრეტული ადამიანის მიერ თავისი უფლებებით ბოროტად სარგებლობას.

ნინო ელბაქიძე: ჩვენთვის მნიშვნელოვანია, თუ როგორი ენით იქნება დაწერილი მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი, ასევე, იქნება თუ არა შემხვედრი დოკუმენტი, რომელიც მოსწავლის მოვალეობებს განსაზღვრავს. თუ ასეთი დოკუმენტი არ შეიქმნა, მას-წავლებელს, შესაძლოა, პროტესტი გაუჩნდეს. აუცილებელია, გვქონდეს მოსწავლის ქცევის დამარეგულირებელი კოდექსიც, რაზეც ახლა ინტენსიურად ვმუშაობთ.

ნანა გიგნაძე: შესაძლოა, მასწავლებელს დიდი გამოცდილება ჰქონდეს და კოდექსის ჩარჩოები მისთვის მიუღებელი აღმოჩნდეს, ახალგაზრდა მასწავლებელმა კი ის მისაღებად მიიჩნიოს. ვთვლი, რომ თუ პედაგოგი მოწესრიგებულია და აქვს ცოდნა, მას კოდექსი ხელს არ შეუშლის. როგორი კარგი დირექტორიც არ უნდა ჰყავდეს სკოლას, ბავშვებთან ურთიერთობა მასწავლებელს უწევს და ყველაფერი მის კომპეტენტურობაზეა დამოკიდებული.

თამარ ტალიაშვილი: როგორი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს მასწავლებელს ჰიპერაქტიურ ბავშვებთან? ეთიკურ კოდექსში

ესეც უნდა იყოს გათვალისწინებული. კოდექსი ერთგვარი ლაკმუსია, რომლითაც მასწავლებელი თავს იმოწმებს. მას, ვისაც პროფესიული განვითარება სურს, კოდექსი ნამდვილად დაეხმარება.

ლალი ბერიშვილი: ძალიან კარგია, რომ სერტიფიცირების შემდეგ მასწავლებლის პროფესია ადვილად მოსარგები აღარ იქნება. ჩემი აზრით, სახელმწიფო მიზანმიმართულად დგამს ნაბიჯებს, რათა მასწავლებლის პროფესია გახდეს დაფასებული, მაღალანაზღაურებადი. გარკვეული აქტების შექმნით ჩვენ ვქმნით სტანდარტს, თუ როგორი

უნდა იყოს მასწავლებელი. პროფესიული ეთიკის კოდექსი კი იქნება ერთ-ერთი დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც შეფასდება ის.

ქეთი მეხუზლა: ეთიკის კოდექსის მიღების პარალელურად, რეკომენდაციების სახით, ისიც უნდა განისაზღვროს, თუ როგორ უნდა მივაწოდოთ მასწავლებელებს ამ კოდექსის არსი.

ნინო ელბაქიძე: ვგეგმავთ ეთიკის კოდექსის განვიხილვას მასწავლებლებთან, განათლების ექსპერტებთან და ფსიქოლოგებთან. მათი რეკომენდაციებისა და შენიშვნების გათვალისწინებით, იმედია, ეს დოკუმენტი მალევე დამტკიცდება. მასზე მუშაობა ჩვენთვის ძალიან საპასუხისმგებლო საქმე იყო. წინ ისევ დიდი სამუშაო გველის მასწავლებელთა ტრენინგების სახით. ვიმედოვნებ, რომ მასწავლებლები ეთიკის კოდექსს გაგებით მოეკიდებიან და ეფექტურად გამოიყენებენ პრაქტიკაში.

ვახუშტი მენაბდე: რა არის საჭირო იმისათვის, რომ მასწავლებლის პროფესიული ქცევის კოდექსი რეალურად ამოქმედდეს? დღევანდელ მსოფლიოში არსებობს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ხედვა. ის ეხება მასწავლებელსაც, ჟურნალისტსაც, იურისტსაც – ყველას, ვინც თავისი საქმიანობა ადამიანის უფლებებს უნდა დააფუძნოს. ეთიკის კოდექსის ყველაზე კარგი ხელშეწყობა ის იქნება, თუ შემუშავდება ტრენინგის გარკვეული მოდული და ქცევის კოდექსთან ერთად მასწავლებლები მიიღებენ ინფორმაციას ადამიანის უფლებებზე. მინდა დავამატო, რომ ასევე კარგი იქნება, თუ მოსწავლეთა ქცევის კოდექსზე

ვახუშტი მენაბდე

მუშაობისას, მასში მოსწავლეებიც ჩაერთვებიან.

გია მამულაშვილი: ეთიკის კოდექსთან დაკავშირებით ვგეგმავთ მასწავლებლებისთვის სემინარების ჩატარებას. კოდექსში არის პუნქტები, რომლებზე მსჯელობაც ძალიან საინტერესოა. ჩვენ ვეუბნებით მასწავლებელს, რომ ის ვალდებულია, დაიცვას მოსწავლის უფლებები, მაგრამ რას ვგულისხმობთ დაცვაში, ეს მასწავლებლის ყურადღების მიღმა რჩება ხოლმე. სწორედ ამაზე უნდა გაკეთდეს აქცენტი ტრენინგის დროს. მასწავლებლებს ექნებათ ინფორმაცია მოსწავლის ქცევის კოდექსზეც. იმისათვის, რომ საგანმანათლებლო ცხოვრება უფრო სრულყოფილი იყოს, მასწავლებლის პროფესიული ქცევის კოდექსთან ერთად, მნიშვნელოვანია მოსწავლის და დირექტორის კოდექსის არსებობაც.

მანდატური და სკოლა

„უსაფრთხო სკოლის კონცეფციის“ ფარგლებში, მანდატურის ინსტიტუტის დანერგვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია. დედაქალაქის შვიდ საპილოტე სკოლაში (I ექსპერიმენტული, მე-11, 23-ე, 24-ე, 51-ე, 52-ე, 117-ე) მანდატურების მუშაობას საზოგადოების დიდი ნაწილი დადებითად აფასებს. სტატისტიკა კი ცხადყოფს, რომ აპრილის შუა რიცხვებიდან სკოლებში თვალშისაცემად გაიზარდა მოსწავლეთა დასწრება და დისციპლინის დონე. ამავე დროს, საგრძნობლად შემცირდა ძალადობის ფაქტები როგორც მასწავლებლების, ისე მოსწავლეების მხრიდან. ჟურნალი „მასწავლებელი“ დაინტერესდა, თუ რამდენად წარმატებულად მიმდინარეობს სკოლის სივრცეში მანდატურების ინტეგრაცია და როგორი დამოკიდებულება აქვთ მათ მიმართ პედაგოგებს, დირექტორებს, მშობლებსა და ბავშვებს.

ირმა კახურაშვილი

> მანდატურის მთავარი ფუნქცია სკოლაში კონფლიქტის პრევენცია და წესრიგის უზრუნველყოფაა.

ნაძალადევის რაიონის მე-11 საჯარო სკოლას, სადაც 1200 მოსწავლე სწავლობს, დილით ვეწვიეთ. მანდატურებს – სოფო საბულუას, ონისე ოყრეშიძეს და კობა იობაშვილს საგანგებოდ გამოყოფილ ოთახში შევხვდით. პროფესიით იურისტმა ახალგაზრდებმა პოლიციის აკადემიაში ჯერ ტესტირება და სამკვირიანი სასწავლო კურსი გაიარეს, შემდეგ კი გამოცდები ჩააბარეს. ამ ყველაფრის მერე მათ თავად შეარჩიეს აღნიშნული სკოლა. ისიც გავარკვიეთ, რომ მანდატურები მხოლოდ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ექვემდებარებიან, რაც მათ კონფლიქტის ობიექტურად შეფასების საშუალებას აძლევს. დაფიქსირებულ დარღვევებს ისინი ოქმში აღნიშნავენ.

შინაგანაწესის მიხედვით, მანდატურებს სადამსჯელო სანქციების გატარება არ შეუძლიათ. სწორედ ეს განასხვავებთ მათ პოლიციის თანამშრომლებისგან. მანდატურის დამხმარე იარაღი ფანარი, რაცია, დეტექტორი და ის ცოდნაა, რომელიც მან მოსამზადებელ პერიოდში მიიღო. მისი მთავარი ფუნქცია სკოლაში კონფლიქტის პრევენცია და წესრიგის უზრუნველყოფაა. ასევე, სიტუაციიდან გამომდინარე, მას შეუძლია საქმის კურსში ჩააყენოს კლასის დამრიგებელი თუ დირექტორი და შესაბამისი რეაგირებაც მოითხოვოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მანდატური ოქმს ადგენს და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართავს. თუმცა პრაქტიკამ აჩვენა, რომ მსგავსი სიტუაციები ძალიან იშვიათია. კონფლიქტი, უმთავრესად, სკოლის კედლებშივე გვარდება. მდგომარეობის დაძაბვის შემთხვევაში კი, მანდატური ვალდებულია, პატრულს გამოუძახოს.

მე-11 სკოლის მანდატურები ეთანხმებიან იმ მოსაზრებას, რომ მათი როლი ძალიან მნიშვნელოვანია „უსაფრთხო სკოლის კონცეფციის“ განხორციელებისას. მაკონტროლებლები მათაც ჰყავთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გენერალური ინსპექციის სახით. ის მანდატურების მხრიდან ნებისმიერ დარღვევაზე მოახდენს რეაგირებას.

სოფო საბულუა, *მანდატური:* „სკოლაში ყოველდღიურად, სასწავლო პროცესის დაწყებამდე მოვდივართ. ვაწარმოებთ დაგვიანებულთა აღრიცხვას. მაგალითად, დღეს 17 მოსწავლემ დაიგვიანა. სკოლაში ბოლო ბავშვის წასვლამდე ვართ. შესვენების დროს დერეფნებში დავდივართ, გაკვეთილების განმავლობაში კი სხვადასხვა სართულზე

ვმოძრაობთ და ვაკვირდებით, რამდენად მშვიდად მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. ყურადღებას ვაქცევთ იმ ბავშვებსაც, ვისაც მასწავლებელი გაკვეთილიდან ითხოვს, ვარკვევთ ამის მიზეზებს. მიხარია, რომ მოსწავლეებს ჩვენი კი არ ეშინიათ, არამედ ერიდებათ. მაგალითად, თუ ფანჯრის რაფაზე სხედან (ეს, რა თქმა უნდა, არ შეიძლება), თქმაც არ გვჭირდება – ჩვენი გამოჩენა საკმარისია. მე უფრო გოგოებთან მაქვს ურთიერთობა. ჯერჯერობით შენიშვნა მხოლოდ გაკვეთილზე მობილურით სარგებლობის გამო მიმიცია“.

მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც მანდატურებს საკმაოდ ხშირად სთხოვენ დახმარებას. ჩვენ თვალწინ მანდატური ერთ-ერთ გოგონას, რომელსაც ფეხი სტკიოდა, სამედიცინო პუნქტამდე მისვლაში დაეხმარა. რამდენიმე დღის წინ კი მათ თხოვნით მიმართა ამავე სკოლის მეთრთმეტეკლასელმა მარიამ თეთრაძემ, რომელსაც მობილური ტელეფონი ტრანსპორტში დარჩა. მანდატურები პატრულს დაუკავშირდნენ და მოზარდს ტელეფონი ერთ საათში დაუბრუნეს. ერთ დღეს, გაკვეთილების შემდეგ, უფროსკლასელებმა სხვა სკოლელებთან ჩხუბი მოინდომეს. მანდატურებმა ჩხუბი აღკვეთეს, თუმცა გაგვიმხილეს: საჩხუბრად იმდენი მოზარდი იყო შეკრებილი, რომ არა დროული ჩარევა, დიდი უსიამოვნება მოხდებოდაო.

ონისე ოყრეშიძე: „ფიზიკური მომზადება პოლიციის აკადემიაში გავიარეთ. შესწავლილი გვაქვს ხელჩართული ბრძოლის ილეთები, რომლებიც იარაღის ან დანის ართმევაში, მოჩხუბართა გაშველებაში დაგვეხმარება. საბედნიეროდ, ამ ილეთების გამოყენება არ დაგვჭირვებია. უფროსკლასელებთან ჩვენი ურთიერთობა შედგა. არც რთულ ბავშვებთან მიდგომა გაგვჭირვებია. ძალიან ეფექტურია მათთან გასაუბრება. მოზარდს ცელქობას ვერ აუკრძალავ, მაგრამ მისი საქციელი სხვისთვის შეურაცხმყოფელი არ უნდა იყოს“.

კობა იობაშვილი: „პოლიციის აკადემიაში შევისწავლეთ ეფექტური კომუნიკაცია, სამოქალაქო თავდაცვა და სხვა საგნები, მაგრამ ყველაზე მეტად ბავშვთა ფსიქოლოგიის ცოდნა გამოგვადგა. ჩვენი მოვალეობაა, დავიცვათ როგორც მოსწავლეების, ისე მასწავლებლების უფლებები. მანდატურების სკოლაში შეყვანით ბავშვები დისციპლინას, წესრიგს მიეჩვევიან. ამის შედეგს წლების შემდეგ ვნახავთ, როცა მომავალი თაობა გაიზრდება“.

ახალი სასწავლო წლიდან ერთი ქალით და ორი მამაკაცით დაკომპლექტებული მანდატურების ჯგუფები დედაქალაქის ყველა საჯარო სკოლაში იმუშავებენ. შემდეგ ეტაპზე ისინი საქართველოს დიდი ქალაქების სკოლებშიც შევლენ. კერძო სკოლების შემთხვევაში კი მანდატურების საკითხს დირექცია გადაწყვეტს.

ირმა გაჩეჩილაძე, *მე-11 სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე:* „მანდატურები ჩვენს უსაფრთხოებას იცავენ. ამიტომ მათი შემოსვლა არანაირ პროტესტთან არ იყო დაკავშირებული. მშობლები, ბავშვები და მასწავლებლები თავს უფრო დაცულად გრძნობენ. რაც სკოლაში მანდატურები შემოვიდნენ, გაკვეთილებზე იკლო ხმაურმა, ბავშვები დილაობით აღარ იგვიანებენ და „შატალოზე“ არ დადიან. მანდატურებს ბიჭებიც პატივისცემით ეპყრობიან“.

51-ე საჯარო სკოლის ადმინისტრაცია იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ სკოლებში მანდატურების შემოსვლამ მართლაც მნიშვნელოვნად გაზარდა დისციპლინის დონე. ისინი მკაცრად აკონტროლებენ წესრიგს, რაც გაკვეთილების ხარისხსა და, ზოგადად, სკოლის ცხოვრებაზე პოზიტიურად აისახება.

დავით ლაგვილავა, *51-ე საჯარო სკოლის დირექტორი:* „ჩვენი სკოლის მთავარი პრობლემა მასობრივი დაგვიანებები და მოზარდების მიერ თამბაქოს მოხმარება იყო. ადრე ამას დირექციის ხუთი წევრი ვებრძოდით, მანდატურების შემოსვლის შემდეგ კი საპირფარეშოებში სიგარეტის მოხმარება პრაქტიკულად აღმოიფხვრა... ადრე სკოლაში 200-მდე ბავშვი აგვიანებდა, დღეს კი მხოლოდ 15 მოსწავლემ დაიგვიანა. ეს ყველაფერი მანდატურებს უკავშირდება. ჩვენი სკოლისთვის პროექტი წარმატებული გამოდგა. მანდატურები კარგად მომზადებულები არიან და პრობლემების დასაძლევად მათთან ერთად ბრძოლა ძალიან მნიშვნელოვანია“.

მანდატურები, პირველ რიგში, მოსწავლეების უსაფრთხოებაზე ზრუნავენ და ცდილობენ, სამართლიანად მოაგვარონ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის არსებული კონფლიქტი. როდესაც 51-ე სკოლის ერთ-ერთმა პედაგოგმა მოსწავლე გაკვეთილიდან გააძევა და უმეთვალყურეოდ დატოვა, მან მანდატურის შენიშვნა დაიმსახურა.

ლიანა ქოროღლიშვილი, *IX კლასის დამრიგებელი:* „ჩემს კლასში 29 მოსწავლეა და მანდატურებთან ყველას ნორმალური, მეგობრული ურთიერთობა აქვს. თავდაპირველად ბავშვები მათ როგორც პოლიციელებს, ისე უყურებდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში ასეთი დამოკიდებულება კეთილგანწყობაში გადაიზარდა და აგრესიაც გაქრა. ბავშვები გავესაუბრეთ და დავადგინეთ, რომ ისინი მანდატურებში მრჩევლებს ხედავენ“.

მანდატურის თანამდებობასთან დაკავშირებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ყოველდღიურად, არაერთი მსურველი მიმართავს. ბუნებრივია, შესარჩევი კონკურსი საკმაოდ მკაცრი იქნება. სამინისტროს იმის გარანტია უნდა ჰქონდეს, რომ ბავშვებთან გაწონასწორებული ფსიქიკის მქონე, განათლებული და სანდო ადამიანები იმუშავებენ. ამავე დროს სამინისტრო მანდატურების უსაფრთხოებაზეც ზრუნავს და მათ საკმაოდ კარგი ხელფასის გარდა, სამედიცინო დაზღვევითაც უზრუნველყოფს.

კითხვის ფილოსოფიისა და პედაგოგიკის ოთხი ეპოქა

კითხვისა და წერის სწავლების მეთოდების მართებულობასთან დაკავშირებით, დებატები ყოველთვის არსებობდა. განხილვის საკითხად დღესაც, ძირითადად, რჩება ის, თუ რა უნდა ისწავლებოდეს წიგნიერების პროგრამის ფარგლებში და რომელი მეთოდები თუ მიდგომებია მართებული.

იან თურგილი

მოამზადა: ნათია ნაცვლიშვილმა

ბოლო პერიოდში „ახალი მეთოდოლოგიის“ აქტუალურ ფორმას „სიტყვების მნიშვნელობის დამახსოვრებით” კითხვა წარმოადგენდა. მასწავლებლები, აკადემიური წრის წარმომადგენლები და გამომცემლები „სიტყვების სრულად დამახსოვრების“ მეთოდით სწავლების პოპულარიზაციას ეწეოდნენ. 1990-იანი წლების შუა პერიოდში კი, სხვადასხვა მიზეზის გამო, „სიტყვების სრულად დამახსოვრების“ მეთოდმა პოპულარობა დაკარგა და კრიტიკის სამიზნე გახდა.

ნუთუ მართლა უარყოფითი შედეგის მომტანი იყო საზოგადოებისთვის „სიტყვის სრულად დამახსოვრების“ მეთოდი? ამ შეკითხვამ მრავალწლიანი გამოცდილების ანალიზი მოითხოვა. აღნიშნული ანალიზის შედეგებით, შესაძლებელია იმის ჩვენება, რომ კითხვის სწავლა „სიტყვების სრულად დამახსოვრების“ მეთოდით წიგნიერების სფეროში არსებული პრობლემების დასაბამს სულაც არ წარმოადგენს. სინამდვილეში, სწორედ ეს მეთოდი იყო დადებითი ცვლილებების მომტანი და წერა-კითხვის ცოდნის ამაღლების საფუძველი ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში. წიგნიერების ფილოსოფიისა და პედაგოგიკის ისტორიის მიმოხილვა, ვფიქრობ,

რომ ნათლად გვაჩვენებს, საიდან მოვდივართ, სად მივდივართ და რატომ არის წიგნიერების დონე მუდმივი მღელვარების საგანი.

ჩემ მიერ შემოთავაზებულ მოდელში კითხვის განვითარების ოთხ ეპოქას გამოვყოფ:

1. გაშიფვრის (დეკოდირების) ეპოქა;
2. მნიშვნელობის მინიჭების ეპოქა;
3. კითხვისა და წერის დაკავშირების ეპოქა;
4. სოციალური მიზნებისთვის კითხვის ეპოქა.

გაშიფვრის (დეკოდირების) ეპოქა

ეს პერიოდი, დაახლოებით, 1950-იანი წლებიდან ადრეულ 70-იან წლებამდე გრძელდებოდა. ამ მიდგომის პრინციპებით ზოგნი ჯერ კიდევ ხელმძღვანელობენ და ბევრს მათი დაბრუნებაც დაუსახავს მიზნად.

ადრეულ ეტაპზე კითხვის სწავლებაში ყველაზე დიდი ყურადღება ეთმობოდა ისეთი უნარ-ჩვევების განვითარებას, როგორიცაა მიმართულება, ვიზუალური და აკუსტიკური გარჩევა, ბგერისა და აღმნიშვნელი სიმბოლოს ურთიერთკავშირი (ფონემა) და სიტყვის ამოცნობა. ჩვენი აღქმით, მთავარი იყო სიტყვის გაშიფვრა ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „გრაფოფონემური“ სისტე-მის გამოყენება. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ თუ ბავშვებს ნაწერის/ნაბეჭდის გარჩევას ვასწავლიდით, მნიშვნელობის აღქმა (მაშინ ამ ტერმინს ვიყენებდით) ავტომატურად გარანტირებული იყო. სიტყვების დამარცვლა, კალიგრაფია და წერილობითი კომპოზიციების შედგენა საკმაოდ განსხვავებულ კატეგორიებად აღიქმებოდა. კითხვა რამდენიმე გაკვეთილად იყოფოდა: ფონემები, ბარათებით ვარჯიში, მნიშვნელობის აღქმა, დამატებითი საკითხავი და ა.შ. ალბათ ბევრი ჩვენგანი ამოიცნობს ამ ხანის მახასიათებლებს, რადგან ჩვენ ამ პერიოდში ან გვასწავლიდნენ, ან ვასწავლიდით. კითხვის ამ მეთოდით სწავლება იმ პერიოდის სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოებებს შეესაბამებოდა. ეთიკური და მორალური პრინციპების გათვალისწინებით, თანამედროვე ხანაში კითხვას ამგვარი მეთოდებით ვეღარ ვასწავლით, ისევე როგორც, კბილის ექიმი ვეღარ იმუშავებს 60-იანი წლების მეთოდებით.

მნიშვნელობის მინიჭების ეპოქა

კითხვის უნარ-ჩვევის სწავლებამ დროთა განმავლობაში ცვლილებები განიცადა. დაინერგა სწავლების ახალი, სიტყვის მნიშვნელობის მიხედვით სწავლის მეთოდი. ამ მეთოდის მთავარი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ მკითხველი ბეჭდვით მასალას ყოველთვის გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს და ამ გზით იმახსოვრებს ინფორმაციას. მას შემდეგ, რაც დამტკიცდა, რომ კითხვა გაცილებით უფრო მეტს გულისხმობს, ვიდრე ტექსტის გაშიფვრა, საუბრობდნენ „თვალის მიღმა“ კითხვაზე. ყველა დახვეწილი მკითხველი იყენებს სამ ძირითად ქვესისტემას, ან მინიშნებების სისტემებს, იმისათვის, რომ ტექსტის მნიშვნელობა აღიქვას. ესენია ***სემანტიკური***, ***სინტაქსური*** და ***გრაფოფონული*** სისტემები. მართალია, ეს ცნებები ამჟამადაც აბსოლუტურად მისაღებია, მაგრამ იმ დროისთვის აღნიშნული პარადიგმის შემოტანა დიდ ცვლილებას წარმოადგენდა მასწავლებლებისთვის, განსაკუთრებით კი იმ მასწავლებლებისთვის, რომელთაც საუკუნის პირველ ნახევარში ჰქონდათ მიღებული განათლება. ამ მოდელის თანახმად, ბავშვი მეორე კლასის შემდეგ კიდევ დიდხანს აგრძელებდა კითხვის შესწავლას. ამდენად, კითხვის სწავლებისთვის ასაკობრივი ზღვარი დაწყებით კლასებს სცდებოდა.

გრაფოფონემური სისტემა ჯერ კიდევ არ კარგავდა მნიშვნელობას, თუმცა სწავლების პროცესში ძირითადი აქცენტი „მნიშვნელობაზე“ კეთდებოდა. მკითხველს უნდა გამოეცნო უცნობი სიტყვების მნიშვნელობა გრაფოფონემური სისტემის (ნაცვლად თითოეული ბგერის სათითაოდ ამოკითხვისა) და სინტაქსური ცოდნის (ან გრამატიკის შეგრძნების) დახმარებით. სიტყვის წაკითხვა ან ხელახლა ამოკითხვა მხოლოდ მნიშვნელობის დასადასტურებლად იყო საჭირო; წინასწარი ვარაუდების წარმოსადგენად მკითხველები იყენებდნენ ილუსტრაციებს.

მნიშვნელობის გააზრება კითხვის საბოლოო შედეგს კი აღარ წარმოადგენდა, არამედ დასაწყისიდანვე კითხვის პროცესის განუყოფელი ნაწილი იყო.

სკოლებში გამოჩნდა საკლასო ბიბლიოთეკები მაღალი ხარისხის საბავშვო ლიტერატურით და ბავშვებს ურჩევდნენ, რაც შეიძლება მეტი წიგნი წაეკითხათ.

შეცდომების ანალიზი, მიმდინარე ჩანაწერები, მონათხრობი, ტექსტში გამოტოვებული ადგილების შევსება, არაფორმალური კითხვა მოსწავლეების კითხვის უნარ-ჩვევის შეფასებისთვის და მათი საჭიროებების დადგენისთვის სასარგებლო ინსტრუმენტები გახდა.

კითხვისა და წერის დაკავშირების ეპოქა

ეს პერიოდი განათლების სისტემაში დიდი ოპტიმიზმით ხასიათდებოდა. სწორედ ამ დროს დაინერგა კომპიუტერული ტექნოლოგიები. თუმცა, ეს პერიოდი ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებითაც გამოირჩეოდა.

რესურსებისა და დიდი რაოდენობის საკითხავი მასალის ფონზე, ყურადღება გადავიტანეთ წერაზე. დავიწყეთ წერის სწავლება პატარა ბავშვებისთვის.

ჩვენ მკვლევარებად ვიქეცით ჩვენსავე კლასებში, ვაკვირდებოდით ხუთი და ექვსი წლის ბავშვების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებსა და მათი სწავლის სტილს. ასევე, გავიაზრეთ კითხვას, წერასა და მართლწერას შორის არსებული კავშირები. ცხადი გახდა, რომ თუ გვსურდა ბავშვებს დაეწერათ, ისინი წიგნების სამყაროში უნდა ყოფილიყვნენ ჩაფლულნი.

ამ პერიოდის მთავარი აღმოჩენა ის იყო, რომ თურმე ბავშვების წიგნიერების დონის განვითარება გაცილებით უფრო ადრე იწყება, ვიდრე ისინი სკოლაში მოვლენ. საკითხავ მასალასთან ბავშვებს შეხება აქვთ უკვე 2 ან 3 წლიდან.

მივხვდით, რომ საჭირო იყო ბავშვებისთვის გაგვეცნო საკითხავი მასალის მეტი მრავალსახეობა, მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა. კითხვა, წერა და მართლწერა იმდენად მჭირდო კავშირში აღმოჩნდა ერთმანეთთან, რომ ისინი გავაერთიანეთ და დავნერგეთ სიტყვა „წიგნიერება“.

კითხვის პროცესის თვისობრივი მხარე დროთა განმავლობაში შეიცვალა და ახლა კითხვის პროცესი უფრო კომპლექსურ ფენომენად აღიქმება, ვიდრე ძველად. წერისა და კითხვის დაკავშირების ეპოქაში, სამუშაო ადგილების უმრავლესობა წერისა და კითხვის უფრო მაღალ უნარ-ჩვევას მოითხოვდა (გაცილებით უფრო მეტს, ვიდრე გაშიფვრის ეპოქაში იყო შესაძლებელი).

სოციალური მიზნებისთვის კითხვის ეპოქა

ბოლო ეპოქა, რომელიც ყველაზე დიდი ინტენსივობითა და მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, 1990-იან წლებში დაიწყო. ეს პოსტმოდერნისტული პერიოდის დასაწყისი იყო *(Elkind, 1995)*.

სასკოლო განათლების მთავარი მიზანი იყო წიგნიერების მაღალი დონის უზრუნველყოფა ყველა მოსწავლისთვის, რათა მათ შემდეგ დასაქმების უკეთესი შესაძლებლობები ჰქონოდათ.

სიტყვა *წიგნიერებამ* ახალი მნიშვნელობა შეიძინა. ეს არის კითხვისა და წერილობითი ინფორმაციის გამოყენების უნარი, ასევე, სწორად წერა სხვადასხვა კონტექსტში. წიგნიერება ცოდნისა და ანალიზის განვითარებისთვის, პირადი ზრდისა და საზოგადოებაში ეფექტურად ფუნქციონირებისთვის აუცილებელი საჭიროებაა. წიგნიერება, ასევე, გულისხმობს ციფრებისა და ძირითადი მათემატიკური ნიშნების თუ სიმბოლოების ცოდნასა და ტექსტში გააზრებას. წიგნიერება საუბრის, მოსმენისა და კრიტიკული აზროვნების კითხვასა და წერასთან ინტეგრირებას მოიცავს; მიზანმიმართული, მოქნილი და დინამიკური ფენომენია, რომელიც ადამიანის ცხოვრების მანძილზე აგრძელებს განვითარებას.

ამ პერიოდისთვის დამახასიათებელია ინფორმაციული აფეთქება, რაც დიდი მოცულობის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას გულისხმობს.

21-ე საუკუნეში კითხვა გაცილებით უფრო კომპლექსურ უნარ-ჩვევებს მოიცავს, ვიდრე წარსულში. დღეს მკითხველისგან მოველით ტექსტის წაკითხვას არა მხოლოდ სიამოვნებისა და ინფორმაციის მისაღებად, არამედ ტექსტის გარშემო შეკითხვების დასმას, მწერლის პოზიციის ანალიზს და „კრიტიკული“ მკითხველის როლის მორგებას.

ეს ის ეპოქაა, როცა პოლიტიკოსებმა და კანონშემოქმედებმა წიგნიერების სფეროს კონტროლი თავიანთ ხელში აიღეს. პოლიტიკოსები შეთანხმდნენ, რომ წიგნიერების ხელშეწყობა ადრეული ასაკიდან უნდა დაიწყოს და წიგნიერების მხარდაჭერა გადაწყვიტეს. მხარდაჭერის ერთი ასპექტი გულისხმობს კითხვის სწავლებისთვის ბავშვის ასაკობრივი ზღვარისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების დაკანონებას.

მასწავლებლები დარწმუნებულები უნდა იყვნენ, რომ ისინი მხოლოდ შემსრულებლები არ არიან; ჩვენ მოაზროვნეები და მკვლევარები ვართ საკლასო ოთახსა და სკოლის სივრცეში. მასწავლებლებს ნამდვილად შეუძლიათ გავლენა იქონიონ მოსწავლეების წიგნიერების დონეზე. წიგნიერებას შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ცოდნისა და ეკონომიკური თუ სოციალური კაპიტალის სხვადასხვა თემს, ჯგუფსა და ინდივიდს შორის თანაბრად გადანაწილების საქმეში.

მეხუთე ეპოქა?

დღეს კი უკვე მეხუთე ეპოქაში გადავედით; ეს „მრავალმხრივი წიგნიერების“ ეპოქაა. მნიშვნელობის გააზრებას ახლა არა მხოლოდ ბეჭდვითი ტექსტის წაკითხვა სჭირდება, არამედ ფერის, ხმის, მოძრაობისა და ვიზუალური რეპრეზენტაციების აღქმა. თუკი რამდენიმე წუთს მაინც გაატარებთ ინტერნეტთან ინფორმაციის ძიებაში, მიხვდებით, რაც იგულისხმება ამაში. რა უნდა ვასწავლოთ ბავშვებს იმისათვის, რომ თანამედროვე ტექსტების პროფესიონალურ დონეზე კითხვა შეძლონ და მნიშვნელობის გამოსახატად მრავალფეროვანი სემიოტიკური სისტემები გამოიყენონ? ყველა ეს შეკითხვა თანამედროვე კვლევებისთვის პრიორიტეტული საკითხებია.

დღეს ციფრულ მსოფლიოში ვცხოვრობთ და როგორც არასდროს, ისე ვართ დამოკიდებული წიგნიერებაზე.

კლასი

პრაქტიკული დანართი მასწავლებლებისათვის

ტესტის ნიმუშები ქართულ ენაში

ტესტი მოგვაწოდა გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა

(2) 16. მოკლედ ჩამოაყალიბეთ, რა მოსაზრებები არსებობს ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაციასთან დაკავშირებით.

_____

_____

_____

(3) 17. რას უწოდებენ სიტყვათა წყვილს: გაცნობიერებული – გათვითცნობიერებული?
რომელი მათგანი უნდა გამოვიყენოთ მოცემულ წინადადებაში: მას კარგად ჰქონდა . . . ,
თუ რა პასუხისმგებლობა დაეკისრა.
პასუხი დაასაბუთეთ.

_____

_____

(2) 18. გაასწორეთ სტილისტური ხარვეზი: მან საფუძველი დაუდო ქართულ ფილოსოფიურ სკოლას.
განმარტეთ, რამ გამოიწვია ეს ხარვეზი.

_____

_____

_____

(2) 19. მოსწავლემ დაფაზე დაწერა შემდეგი კომპოზიტები: მისვლა-მოსვლა, კნაწა-კნუწი, ქუჩა-ქუ-ჩა.
გაასწორეთ შეცდომა და განუმარტეთ მას, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

_____

_____

(3) 20. მოსწავლემ ზმნის სათავისო ქცევის მაგალითად მოიყვანა **მიშენებს**.
მიუთითეთ, რა შეცდომა დაუშვა მან და გააანალიზეთ, რა განაპირობებს ამგვარ შეცდომას.
განმარტეთ სათავისო ქცევის რაობა.

_____

_____

_____

(2) 21. მოსწავლემ დაწერა: ერთ-ერთ ჩვენთაგანს კონკურსში უნდა მიეღო მონაწილეობა.
გაასწორეთ შეცდომა და განუმარტეთ მას, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

_____

_____

(2) 22. მოსწავლემ შეადგინა წინადადება: გადაეცი დედას, კვირის ბოლოს ჩამოვალ-მეთქი.
მიუთითეთ, რა შეცდომა დაუშვა მან და განუმარტეთ, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

---

(2) 23. მოსწავლემ დაწერა: მაია და ნინო ჩემი ნათესავებია.
გაასწორეთ შეცდომა და განუმარტეთ მას, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

---

(5) 24. თქვენი მიზანია, განვლილი მასალიდან გაახსენოთ მოსწავლეებს ის საკითხები, რომლებიც დაეხმარება მათ შერწყმული წინადადების არსის უკეთ გააზრებაში.

(2) I. ჩამოთვალეთ ეს საკითხები;

(3) II. აღწერეთ ერთ-ერთი სასწავლო ქმედება, რომელიც დაგეხმარებათ ამ მიზნის მიღწევაში და დაასაბუთეთ მისი ეფექტიანობა.

---

(7) 25. წაიკითხეთ ნაწყვეტი მიხეილ ჯავახიშვილის კრიტიკული წერილიდან „ისევ ქართული ენის შესახებ“.

(2) I. იმსჯელეთ, რომელი საკითხის სწავლებისას გამოიყენებთ ამ ტექსტს.

(2) II. იმსჯელეთ, რომელი უნარი შეგიძლიათ გამოუმუშაოთ მოსწავლეს ამ ტექსტის საშუალებით.

(3) III. აღწერეთ ორი სასწავლო ქმედება, რომლებიც დაგეხმარებათ თითოეული მიზნის მიღწევაში და დაასაბუთეთ მათი ეფექტიანობა.

ჭირი დაუმალავი სჯობიაო. ეს ჭირიც ჩვენი ძველი ნაცნობია, თითქმის ნაჩვევი და გაშინაურებული. ქართული ენის ამღვრევისა და დამახინჯების შესახებ მოგახსენებთ. ყველას ბავშვობიდანვე გვახსოვს ამ საგანზე ჩივილი და ზრუნვა, მაგრამ ჩვენი დასნეულებული ქართული ენა ფეხზე წამოდგომისა და დაწმენდის მაგიერ უარესად დაავადდა და ატალახდა.

გვახსოვს „დროების“, „ივერიის“, „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ ქართული, ახლა კი, „ქართული სიტყვის“ ერთი წერილის ავტორისა არ იყოს, ნაწერზე ადვილად გამოიცნობთ დამწერის დაბადების კუთხეს. ცოტაოდენი ცოდნა ენის კანონებისა სავალდებულოდ აღარავის მიაჩნია.

---

(10) 26. გაასწორეთ ნამუშევარი ქვემოთ მოცემული სქემის მიხედვით და დაწერეთ კომენტარი.

I. დაუსაბუთეთ მოსწავლეს თქვენი შეფასება: I კრიტერიუმით შეფასების კომენტირებისას მოიხმეთ სათანადო მაგალითები თხზულებიდან; II და III კრიტერიუმებით შეფასების კომენტირებისას კი ამოიწერეთ ყოველი შეცდომა და ხარვეზი, მიეცით თითოეულ მათგანს სათანადო კვალიფიკაცია.

II. ჩამოაყალიბეთ სათანადო რჩევები, რომელთა გათვალისწინებაც დაეხმარება მოსწავლეს ანალოგიური დავალების უკეთ შესრულებაში.

შეფასების სქემა

№	კრიტერიუმები	კრიტერიუმების განმარტება	ქულები
I.	მსჯელობის დასაბუთება (არგუმენტირება და ციტირება)	ა) მსჯელობა მკაფიოა, არგუმენტირებულია, არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით; ბ) მსჯელობა ნაწილობრივ მკაფიოა, ნაწილობრივ არგუმენტირებულია, არ არის გამყარებული ტექსტური მასალით ან დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა; გ) ტექსტი არაადეკვატურადაა გაგებული, მსჯელობა არადამაჯერებელია, ტექსტური მასალაც არაადეკვატურად არის მოხმობილი.	2 1 0
II.	ლექსიკა და სტილი	ა) აზრი ზუსტად და მკაფიოდ არის გამოხატული, ნაწერი სტილისტურად გამართულია; ბ) აზრი ზუსტად არის გამოხატული, მაგრამ ლექსიკა მწირია ან გვხვდება სტილისტური ხარვეზები; გ) აზრი ძირითადად გასაგებია, მაგრამ სტილისტურად გაუმართავია, გვხვდება არაადეკვატური ლექსიკა.	2 1 0
III.	ორთოგრაფია-მორფოლოგია, სინტაქსი და პუნქტუაცია	ა) არ არის ამ ტიპის სამზე მეტი შეცდომა; ბ) არ არის ამ ტიპის ექვსზე მეტი შეცდომა; გ) ამ ტიპის შეცდომა ექვსზე მეტია.	2 1 0

მოსწავლემ გააანალიზა მწყემსი ქალისა და განდეგილის დიალოგის ფრაგმენტები ილია ჭავჭავაძის პოემიდან „განდეგილი“.

– „მოშორდი და აქ სულ მარტოკა ხარ?“
– „ეგეთი არის, სჩანს, ნება ღვთისა...“
– „როგორ თუ ღვთისა? ღმერთს რაში უნდა
ამ ყინულებში ყოფნა კაცისა?
ვფიქრობდი: ნეტა მაშ რისთვის მორთო
ესე ლამაზად წუთისოფელი?
განა მისთვის, რომ ადამიანმა
შეაჩვენოს და აიღოს ხელი?
ან შენ როგორ სძლებ უწუთისოფლოდ!
მერე იცი კი, რა-რიგ ტკბილია!
აქ სიკვდილია, იქ კი სიცოცხლე,
აქ ჭირია და იქ კი – ლხინია.
ნუთუ თვისტომი, ტოლი და სწორი
ყველა გულიდამ ამოგიღია?
ნუთუ ნაღველი, დარდი და ჯავრი
თან არავისი წამოგიღია,
არ გაგონდება არც მამა, დედა,
ან ძმა, ანუ და, ან სახლი, კარი?
ნუთუ მის-დღეში არა გყოლია
მოკეთე, გულის შემატკივარი?
როგორ მოშორდი?..“ –„რა გითხრა, შვილო?
ყველაზე უფრო სული ტკბილია,
იგი ტყვე არის წუთის-სოფლისა
და ეგ ყოველი მის ბორკილია“.
– „მაშ ვინც ქვეყნად ვართ, ყველა წავწყდებით, ვეღარ დავიხსნით ვერაფრით სულსა?“
– „ხსნა ყველგან არის... ხოლო გზა ხსნისა ესეთი მერგო მე... უბედურსა...“

შეაფასეთ ნაწყვეტი მოსწავლის თხზულებიდან, რომელიც უპასუხებს მითითებას: *თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბეთ მწყემსი ქალის პოზიცია.*

ქალი, ვინც განსაცდელის სახით გამოუგზავნა უფალმა განდეგილ ბერს, ვერ ხვდება თუ რატომ უნდა მოწყდეს ადამიანი ამქვეყნიურ ცხოვრებას და რატომ უნდა გაატაროს თავის სიცოცხლე მარტოობაში. იგი მიიჩნევს, რომ ეს წუთისოფელი უფალმა ადამიანებისათვის შექმნა და მისცა მათ, რადგან დამტკბარიყვნენ ამქვეყნიური ცხოვრებით. ილია ჭავჭავაძის აზრით, უძრავად ყოფნა არავის არგებს და ამ ნაწარმოების დედა აზრიც სწორედ ეს არის. იმიტომაა მწყემსი ქალის პოზიცია ასე მკვეთრად გამოკვეთილი, რომ ის ეთანხმება ილიას მოსაზრებას ამქვეყნიურ ცხოვრებაზე.

შეფასებები

16. არსებობს მოსაზრება, რომ ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ძირითადი ეტაპებია: ძველი (V-XI სს.) და ახალი ქართული ენა (XII ს. – დღემდე) ---------- 1ქ.
მეორე თვალსაზრისით: ძველი (V–XI სს.), საშუალო (XII-XVIII სს.) და ახალი ქართული ენა (XIX ს. – დღემდე).---------- 1ქ.
17. პარონიმებს ----------1ქ.
გაცნობიერებული ----------1ქ.
გაცნობიერებული აქვს ნიშნავს გააზრებული აქვს რაიმე, გათვითცნობიერებული ნიშნავს გარკვეული არის რაიმეში. ----------1ქ.
18. მან საფუძველი ჩაუყარა ქართულ ფილოსოფიურ სკოლას. ---------- 1ქ.
ეს ხარვეზი გამოიწვია სხვადასხვა გამოთქმის (საფუძველი ჩაუყარა და სათავე დაუდო) აღრევამ (კონტამინაცია). კერძოდ, ზმნა დაუდო აღებულია გამოთქმიდან – სათავე დაუდო. ---------- 1ქ.
19. კნაწაკნუწი ----------1ქ.
ფუძეგაორკეცებული კომპოზიტი, რომლის ერთ-ერთ ფუძეში შეცვლილია ხმოვანი ან თანხმოვანი, უდეფისოდ იწერება. ----------1ქ.
20. მიშენებს – სასხვისო ქცევის ფორმაა. --------- 1ქ.
ამ შეცდომას განაპირობებს ის, რომ -ი სათავისო ქცევის ნიშანიც არის და სასხვისო ქცევისაც. -ი სასხვისო ქვევის ნიშანია მაშინ, როდესაც ირიბ ობიექტად პირველი ან მეორე პირია. --------- 1ქ.
სათავისო ქცევა ზმნის ის ფორმაა, რომელიც გამოხატავს, რომ პირდაპირი ობიექტი სუბიექტისაა ან სუბიექტისათვისაა დანიშნული. ---------- 1ქ.
21. ჩვენგანს ---------- 1ქ.
ჩვენ I პირის ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის ფორმაა, მას -თ(ა) მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი არ სჭირდება. ---------- 1ქ.
22. ჩამოვალ-თქო ---------- 1ქ.
-მეთქი ნაწილაკი არასწორადაა გამოყენებული. თუ პირველი პირი ავალებს მეორე პირს გადასცეს თავისი ნათქვამი მესამე პირს, ასეთ შემთხვევაში საჭიროა -თქო ნაწილაკის გამოყენება. -1ქ.
23. ნათესავები არიან ----------1ქ.
როცა შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი სულიერი საგნის აღმნიშვნელი არსებითი სახელია და დგას მრავლობით რიცხვში, იგი დამხმარე ზმნას მრავლობით რიცხვში ითანხმებს. ---------- 1ქ.
24. I. ა) თუ ჩამოთვლილია ორი საკითხი მაინც (წინადადების ტიპები აგებულების მიხედვით, წინადადების მთავარი წევრები, წინადადების მეორეხარისხოვანი წევრები, მარტივი წინადადების რაობა, წინადადების ერთგვაროვანი წევრები...). ----2ქ.
ბ) თუ დასახელებულია მხოლოდ ერთი საკითხი.-- 1ქ.
II. ა) თუ აღწერილია ქმედება და მისი ეფექტიანობის დასაბუთება არგუმენტირებულია. ----------3ქ.
ბ) თუ აღწერილია ქმედება, მაგრამ დასაბუთება არგუმენტირებული არ არის. ----------2ქ.
გ) თუ ქმედება მხოლოდ აღწერილია. -------1ქ.
დ) თუ ქმედება მხოლოდ დასახელებულია. --- 0ქ.
25. I. ა) თუ ადეკვატურად არის გამოყოფილი საკითხი და დასაბუთებულია. ---------- 2ქ.
ბ) თუ ადეკვატურად არის გამოყოფილი საკითხი, მაგრამ დასაბუთებული არ არის. ----------1ქ.
გ) თუ ადეკვატურად არ არის გამოყოფილი საკითხი ---------- 0ქ.
II. ა) თუ მსჯელობა კარგად არის დასაბუთებული. – 2ქ.
ბ) თუ მსჯელობა ნაწილობრივ არის დასაბუთებული. ----------1ქ.
გ) თუ მსჯელობა დასაბუთებული არ არის. --0ქ.
III. ა) თუ აღწერილია ქმედება და მისი ეფექტიანობის დასაბუთება არგუმენტირებულია. ----------3ქ.
ბ) თუ აღწერილია ქმედება, მაგრამ დასაბუთება არგუმენტირებული არ არის. ----------2ქ.
გ) თუ ქმედება მხოლოდ აღწერილია. -------1ქ.
დ) თუ ქმედება მხოლოდ დასახელებულია. -- 0ქ.
26. I. 1. (I კრიტერიუმის მიხედვით)
ა) თუ მასწავლებელმა სწორად შეაფასა თხზულება პირველი კრიტერიუმის მიხედვით და არგუმენტირებული კომენტარი დაურთო მაგალითების მოხმობით ---------- 2ქ.
ბ) თუ მასწავლებელმა სწორად შეაფასა თხზულება პირველი კრიტერიუმის მიხედვით და არგუმენტირებული კომენტარი დაურთო, მაგრამ მაგალითები არ მოიხმო ----------1ქ.
გ) თუ გადმოწერილია მხოლოდ კრიტერიუმის მითითებები ----------0ქ.
2. (II და III კრიტერიუმების მიხედვით)
ა) თუ მასწავლებელმა სწორად შეაფასა თხზულება II და III კრიტერიუმების მიხედვით -------- 1ქ.
ბ) თუ მასწავლებელმა სწორად შეაფასა თხზულება მხოლოდ II ან III კრიტერიუმის მიხედვით ----0ქ.
3. I. შეცდომების აღმოჩენა:
ა) თუ მასწავლებელს გამორჩა ერთი ენობრივი შეცდომა ან ხარვეზი ---------- 2ქ.
ბ) თუ მასწავლებელს გამორჩა ორი ენობრივი შეცდომა ან ხარვეზი, ანდა არასწორად ამოიწერა ერთი ---------- 1ქ.
გ) თუ მასწავლებელს გამორჩა სამი ენობრივი შეცდომა ან ხარვეზი, ანდა არასწორად ამოიწერა ორი ---------- 0ქ.
II. შეცდომების კვალიფიკაცია:
ა) თუ ხუთი ენობრივი შეცდომისა და ხარვეზის კვალიფიკაცია სწორია ---------- 3ქ.
ბ) თუ ოთხი შეცდომისა ან ხარვეზის კვალიფიკაცია სწორია ---------- 2ქ.
გ) თუ სამი შეცდომისა ან ხარვეზის კვალიფიკაცია სწორია ---------- 1ქ.
დ) თუ მხოლოდ ორი შეცდომისა ან ხარვეზის კვალიფიკაცია არის სწორია ---------- 0ქ.
II. ა) თუ კომენტარის ეს ნაწილი მეთოდურად სწორია და მსჯელობა არგუმენტირებულია -------- 2ქ.
ბ) თუ კომენტარის ეს ნაწილი მეთოდურად სწორია, მაგრამ მსჯელობა ნაწილობრივ არის არგუმენტირებული ---------- 1ქ.
გ) თუ კომენტარის ეს ნაწილი მეთოდურად გაუმართავია და მსჯელობა არ არის არგუმენტირებული ---------- 0ქ.

ფიზიკის გაკვეთილი ინტელექტუალური განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის

ჟანა კვაჭაძე

ხშირად სვამენ შეკითხვას: უნდა გამოიყენებოდეს თუ არა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების განათლებისთვის განსხვავებული (სპეციალური) სასწავლო გეგმა და ადაპტირებული (გამარტივებული) სახელმძღვანელოები.

საქართველოში, განათლების რეფორმის განხორციელებამდე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა განათლება სკოლა-ინტერნატებში სწორედ ასეთი სპეციალური სასწავლო გეგმისა და ადაპტირებული სახელმძღვანელოების საფუძველზე ხდებოდა. ზოგიერთ ქვეყანაში ეს დღემდე ასე ხდება.

ამჟამად ყველა მოსწავლის, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების განათლება ეროვნულ სასწავლო გეგმას ეფუძნება. ისინი, თანატოლების მსგავსად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გრიფირებული სახელმძღვანელოებით სწავლობენ. ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების და სახელმძღვანელოების მორგება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის კი არც თუ ისე ადვილი აღმოჩნდა. ამ ამოცანის დაძლევა მასწავლებლებს განსაკუთრებით მაღალ კლასებში უჭირთ, სადაც რთულდება პროგრამა და შემოდის ისეთი საგნები, როგორიც არის ფიზიკა, ქიმია, გეომეტრია და ა.შ.

არსებობს რამდენიმე მიზეზი, თუ რატომ უნდა ხდებოდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა განათლება ეროვნული სასწავლო გეგმის, და არა განსხვავებული, სპეციალური სასწავლო გეგმის მიხედვით. პირველ რიგში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეები სარგებლობენ იმავე საგანმანათლებლო და სხვა უფლებებით, რაც ნებისმიერ სხვა მოსწავლეს აქვს. ის მიზნები, რომლებსაც განათლების სისტემა ისახავს და რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმაშია ასახული, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებზეც თანაბრად ვრცელდება. გარდა ამისა, იმდენად განსხვავებული და მრავალფეროვანია ამ უკანასკნელთა უნარები და შესაძლებლობები, რომ შეუძლებელია მათთვის ერთიანი კურიკულუმი არსებობდეს. მაგალითად, ორი მოსწავლიდან შეიძლება ერთი ათი ლარის ფარგლებში ფულით მანიპულირებას სწავლობდეს, რათა ეს უნარი ცხოვრებაში გამოიყენოს, მეორე კი კლასის პროგრამას მიჰყვებოდეს და მხოლოდ დავალებების გამარტივება ან ჩვეულებრივზე ორჯერ მეტი დრო სჭირდებოდეს. ცხადია, ამ ორ მოსწავლეს საერთო სასწავლო მიზნები ვერ ექნება, გარდა იმ მიზნებისა, რომლებიც, ზოგადად, ყველა მოსწავლისთვის არსებობს. თუ მოზარდის შესაძლებლობები მნიშვნელოვნად განსხვავდება მისი თანატოლების შესაძლებლობებისგან და შეუძლებელი ხდება ეროვნული სასწავლო მიზნების მიღწევა სწავლების არსებული მეთოდების გამოყენებით, ამ შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ერთადერთი სწორი გამოსავალია.

იმისათვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებს და მათ მასწავლებლებს სწავლა/სწავლების პროცესი გავუადვილოთ, ჟურნალ „მასწავლებლის“ საშუალებით, პერიოდულად შემოგთავაზებთ კონკრეტულ მაგალითებს. ისინი დაგეხმარებათ იმის განსაზღვრაში, თუ როგორ უნდა მოარგოთ გაკვეთილი სხვადასხვა საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებს. გაკვეთილებს გრიფირებული სახელმძღვანელოებიდან შევარჩევთ და ვეცდებით, ყველა საგანი და ყველა საფეხური მეტ-ნაკლებად მოვიცვათ. ვფიქრობთ, გაკვეთილის ნიმუ-



სურ. 23

შები საინტერესო იქნება ნებისმიერი საგნის მასწავლებლისთვის, რადგან ამ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანია ადაპტირების პრინციპი, ვიდრე მასალის შინაარსი.

ფიზიკა, VIII კლასი:

ფიზიკის VIII კლასის სახელმძღვანელოში რამდენიმე გაკვეთილი ეძღვნება „მექანიკის ოქროს წესს“. „ნებისმიერი მარტივი მექანიზმის გამოყენებისას. რამდენჯერაც ვიგებთ ძალას, იმდენჯერ ვაგებთ მანძილს“ (გედენიძე; ლაზარაშვილი; 2007 გვ. 19). ძნელად თუ ვიპოვით ინტელექტუალური განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეს, რომელსაც „მექანიკის ოქროს წესს“ ასე ჩამოვუყალიბებთ და ის ყველაფერს გაიგებს. ალბათ ნებისმიერ მოსწავლეს გაუჭირდება ამის გაგება, თუ მას არ ავუხნით, რას გულისხმობს წესი. ამ წესის გაგება მოზარდებს ბევრად გაუადვილდებათ, თუ 23-ე და 24-ე სურათებს დახედავენ. ის, მარტივი ენით, ასე შეგვიძლია გადმოვცეთ: რაც უფრო გრძელ ბერკეტს გამოვიყენებთ მანქანის ასაწევად (ვაგებთ მანძილს), მით უფრო გაგვიადვილდება მანქანაზე ზემოქმედება (ვიგებთ ძალას). ნებისმიერი შესაძლებლობების მქონე მოსწავლე ჩასწვდება ამ კანონზომიერებას, თუ მისთვის გასაგებ ენაზე ავუხსნით. ამასთან, გახსოვდეთ: თუ სხვა ბავშვების შემთხვევაში წიგნში მოცემული სურათები თუ განმარტება საკმარისია იმისთვის, რომ მათ გაიგონ, რაში მდგომარეობს პრინციპი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს ეს ყველაფერი უნდა ვაჩვენოთ. ამისთვის უნდა გვქონდეს მძიმე საგანი, საყრდენი და სხვადასხვა სიგრძის (გრძელი და მოკლე) ბერკეტი, რომელიც შეიძლება იყოს ლითონის ან სხვა მტკიცე მასალის ჯოხი, ფიცარი ან მსგავსი ნივთი, რითაც მძიმე საგანს ავწევთ. მოსწავლეს ჯერ ვკითხოთ, რომელი ბერკეტის გამოყენებით გაუადვილდება ყველაზე მძიმე საგნის აწევა და შემდეგ ვთხოვოთ, ცდით გადაამოწმოს თავისი ვარაუდი.



სურ. 24

„მექანიკის ოქროს წესი“ ხსნის, თუ რატომ უნდა იყოს კარის სახელური ანჯამებიდან შორს. ბავშვებს ვკითხოთ: როდის უფრო ადვილად გაიხსნება კარი, როცა სახელური ანჯამებთან ახლოსაა მიჭედებული, თუ როცა მოშორებითაა? შემდეგ მათ ვთხოვოთ, გადაამოწმონ ვარაუდი. თუ საკლასო პირობებში შეუძლებელია კარის სახელურების სხვადასხვა ადგილას მიმაგრება, უბრალოდ, მიაწექით კარს სხვადასხვა ადგილას (ანჯამებთან ახლოს და ანჯამებისგან მოშორებით). შემდეგ დასვით შეკითხვები: რა შემთხვევაში დაგჭირდათ მეტი ძალის გამოყენება? რა შემთხვევაში იყო კარის გახსნა უფრო ადვილი? ამ ტიპის სავარჯიშოში თავისუფლად შეგიძლიათ ჩართოთ ნებისმიერი მოსწავლე. გახსოვდეთ: თუ მოსწავლეს არ შეუძლია მოვლენის დამოუკიდებლად და ამომწურავად აღწერა, მას, რაც შეიძლება, მეტი შეკითხვა უნდა დაუსვათ. ეს დაეხმარება მოზარდს მოვლენის გაანალიზებასა და გააზრებაში.

მოსწავლე, რომელიც ნებისმიერ საგანს ეუფლება, უნდა ფიქრობდეს, რომ ეს საგანი სახელმძღვანელოში მოცემული გაურკვეველი ტექსტი, ფორმულები და ამოცანები კი არ არის, არამედ ის ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. თუ სხვა მოსწავლეებს მოეთხოვებათ, რომ გააზრებულად იცოდნენ „მექანიკის ოქროს წესი“ და შეეძლოთ მისი ზეპირად ან წერილობით ჩამოყალიბება და დასაბუთება, ინტელექტუალური განვითარების დარღვევის მქონე მოზარდის შემთხვევაში მიღწეულ შედეგად ჩაითვლება, თუ ის გამოიცნობს, როგორი ბერკეტის გამოყენებით გაუადვილდება მძიმე საგნებზე ზემოქმედება, ან სად უნდა მიაჭედოს კარს სახელური. ამგვარი სახის სავარჯიშოები და დავალებები ხელს შეუწყობს მოსწავლის შემეცნებით განვითარებას მაშინაც კი, თუ ის ვერასდროს დაიმახსოვრებს და განმარტავს სიტყვებს: „ბერკეტი“, „სხეულზე მოქმედი ძალები“, „მექანიკის ოქროს წესი“.

ეროვნული შეფასება ქართულ ენასა და ლიტერატურაში

ირინა სამსონია

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა, საქართველოს მასშტაბით, ეროვნული შეფასება განახორციელა ქართულ ენასა ლიტერატურაში, კერძოდ, კითხვის მიმართულებაში – იმ მოსწავლეებთან, რომლებმაც საბაზო საფეხურზე სწავლა დაასრულეს.

ეროვნული შეფასება არის კვლევა, რომელიც სახელმწიფო დონეზე ხორციელდება. მისი მიზანია, შეაფასოს, თუ რა დონეზე არის მიღწეული მის მიერ სასწავლო პროცესისთვის დადგენილი მოთხოვნები, ასევე გამოავლინოს ის ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს არსებულ შედეგებზე და ანალიზის საფუძველზე შეიმუშაოს რეკომენდაციები. ეროვნული შეფასების საშუალებით, ვიღებთ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენად წარმატებულია სწავლა-სწავლების პროცესი ქვეყანაში. გარდა ამისა, ის არის ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც ხდება საგნობრივი პროგრამების, სახელმძღვანელოების და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სწავლების პროცესის დახვეწა და სრულყოფა.

განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის საშუალება ეროვნული სასწავლო გეგმაა. თითოეული საგნის, მათ შორის, ქართული ენისა და ლიტერატურის, პროგრამა სწორედ ამ მიზნების განხორციელებას უწყობს ხელს. მოგეხსენებათ, ეს პროგრამა სამი ნაწილისგან შედგება: 1. შესავალი, რომელშიც წარმოდგენილია საგნის სწავლების კონცეფცია, მიზნები და ამოცანები; 2. სტანდარტი, რომელშიც საგნის სწავლების მიზნები კონკრეტული შედეგების სახით არის მოცემული (ეს არის პროცედურული ცოდნა, რომლის ფლობაც მოეთხოვება მოსწავლეს თითოეული კლასის თუ საფეხურის დასრულების შემდეგ) და 3. პროგრამის შინაარსი, ანუ დეკლარაციული ცოდნა, რომელიც სჭირდება მოსწავლეს ამ შედეგების მისაღწევად. ამგვარ კომპეტენციებზე დაფუძნებულ სასწავლო პროგრამებს სხვადასხვა ქვეყანაში „შინაარსობრივ სტანდარტს“ უწოდებენ. მათი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ სტანდარტზე დაფუძნებული ტესტის საშუალებით.

ამ ტიპის კვლევის მიზანი იმის ჩვენება კი არ არის, ვინ ვისზე უკეთესია, ან ვინ ვის ჩამორჩება რომელიმე საგანში, როგორც ეს სასელექციო შეფასებისას ხდება ხოლმე, არამედ მოსწავლეების ცოდნისა და უნარების დიაგნოსტირება. კვლევამ უნდა მონიშნოს მოსწავლეთა ჯგუფები მიღწევის დონეების მიხედვით და ზუსტად უნდა აღწეროს, რას აკეთებს თითოეული მათგანი, როგორ მიემართება მათი ცოდნა და კომპეტენციები ეროვნულ სასწავლო გეგმას. ამასთანავე, მან

კვლევამ უნდა მონიშნოს მოსწავლეთა ჯგუფები მიღწევის დონეების მიხედვით და ზუსტად უნდა აღწეროს, რას აკეთებს თითოეული მათგანი, როგორ მიემართება მათი ცოდნა და კომპეტენციები ეროვნულ სასწავლო გეგმას. ამასთანავე, მან უნდა გამოიკვლიოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ფაქტორები და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შეიმუშაოს რეკომენდაციები.



უნდა გამოიკვლიოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ფაქტორები და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შეიმუშაოს რეკომენდაციები.

ეროვნული შეფასება ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას, ეს უკანასკნელი კი – განათლების ეროვნულ მიზნებს. თითოეული სასკოლო საგნის პროგრამა სწორედ განათლების ეროვნული მიზნების შესრულებას უწყობს ხელს. ქართულ ენასა და ლიტერატურასთან დაკავშირებით, შეფასებისთვის შევარჩიეთ შემდეგი ორი პუნქტი:

1. ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება;
2. ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება, ანალიზი.

საკვლევი ობიექტის შემოწმების მიზნით, მასალად შევარჩიეთ სხვადასხვა ტიპის ტექსტები, მათ შორის, მხატვრული თხზულებები (პროზა და პოეზია) და არამხატვრული ტექსტები (საინფორმაციო, შემეცნებითი, სამეცნიერო-პოპულარული). ინსტრუმენტი, რომელმაც საგნობრივი ცოდნისა და უნარების შეფასების საშუალება მოგვცა, ამ ტექსტებზე შექმნილი ტესტური დავალებები იყო.

მიზნად დავისახეთ, შეგვესწავლა, თუ რა დონეზე ფლობენ მეცხრეკლასელი მოსწავლეები ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ კომპეტენციებს კითხვის მიმართულებაში, როგორ ახერხებენ ისინი წაკითხული ტექსტის აღქმა-გაგებას, გააზრებასა და ინტერპრეტირებას, რამდენად ფლობენ წარმატებულ მკითხველად ჩამოყალიბებისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს და სტრატეგიებს. ამ ყველაფრის გასაგებად, საბაზო საფეხურზე, კითხვის მიმართულებაში მისაღწევი შედეგები ოთხ სფეროდ დავყავით. ეს სფეროები კი, თავის მხრივ, რამდენიმე კომპონენტად დაიშალა, რომლებიც ქვესფეროების სახით ჩამოვაყალიბეთ. ამან სხვადასხვა დონეზე კითხვისთვის აუცილებელი კოგნიტური და ოპერაციული უნარების შეფასების საშუალება მოგვცა.

შეფასების ჩარჩოს შექმნისას, ვიხელმძღვანელეთ აღიარებული პრინციპით, რომ კითხვის პროცესი, კოგნიტური თვალსაზრისით, ორ ძირითად დონეს მოიცავს: გაგება-გააზრებასა და ინტერპრეტაციას.

გავითვალისწინეთ ისიც, რომ ყველა საგაზროვნო ოპერაცია, რომელიც მოსწავლეს წაკითხულის გაგება-გააზრებისთვის, გაანალიზებისა და ინტერპრეტირებისთვის სჭირდება, მიმართულია არა მხოლოდ ტექსტის შინაარსის აღქმისკენ, არამედ მისი ენობრივ-გამოსახველობითი და ფორმალური მხარეებისკენაც.

რაც შეეხება ტექსტის ინტერპეტაციასა და ანალიზს, ჩვენი მიზანი იყო, შეგვემოწმებინა მოსწავლეების რეფლექსიისა და შეფასების უნარები, რაც გულისხმობს ტექსტში მოცემული იდეების, მოსაზრებების, შეხედულებების, მხატვრულ ტექსტებში პერსონაჟთა საქციელის, აგრეთვე, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების გაანალიზებისა და შეფასების, მოსწავლისგან საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის უნარების გამოვლენას.

საბოლოოდ, ყველა კომპეტენცია, რომლის ფლობაც მეცხრეკლასელს მოეთხოვება ქართულ ენასა და ლიტერატურაში კითხვის მიმართულების დასაძლევად, ამგვარად აღიწერა:

კითხვის მიმართულების დაყოფა სფეროებად და ქვესფეროებად

1. **შინაარსის გაგება:**

ა) სათაურის, ცალკეული ეპიზოდის, ტექსტის მთლიანი შინაარსის გაგება, მის საფუძველზე პირდაპირი და არაპირდაპირი დასკვნების გამოტანა;

ბ) ტექსტში, მის ცალკეულ ეპიზოდში ექსპლიციტურად/ იმპლიციტურად მოცემული ინფორმაციის გაგება;

გ) ტექსტში მოვლენათა თანამიმდევრობის გაგება, ინფორმაციის დახარისხება, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ამოცნობა, ტექსტის რეზიუმირება.

2. **ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების, ფორმის, სტრუქტურის გაგება:**

ა) ლექსიკური ერთეულის, ფრაზის, მყარი შესიტყვების, ფრაზეოლოგიზმის გაგება, სიტყვის, ფრაზის მნიშვნელობის გაგება კონტექსტის მიხედვით; ლექსიკონის, სქოლიოს, შენიშვნის, კომენტარის გაგება; ავტორის, პერსონაჟთა ენის, დიალექტური მეტყველების, ჟარგონის გაგება;

ბ) ენობრივ-გამომხატველობითი საშუალებების გაგება-გააზრება;

გ) ტექსტის ტიპის, კონკრეტული ტიპისთვის დამახასიათებელი ენობრივი კონსტრუქციების ამოცნობა და გაგება.

3. **შინაარსის ინტერპრეტაცია / ანალიზი:**

ა) ეპიზოდის, მთლიანი ტექსტის ანალიზი, მთავარი სათქმელის, დედააზრის ამოცნობა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ახსნა; ტექსტზე, ეპიზოდზე დაყრდნობით, არაპირდაპირი დასკვნების გამოტანა; პერსონაჟის საქციელის ანალიზი; ტექსტში გამოთქმული თვალსაზრისების, აღწერილი ამბების ანალიზი და შეფასება სხვადასხვა პოზიციიდან (ავტორი/სხვა პერსონაჟი/ მკითხველი).

4. **ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების, ფორმის, სტრუქტურის ინტერპრეტაცია/ანალიზი:**

ა) ენობრივ-გამომხატველობითი საშუალებების ფუნქციის გააზრება-გაანალიზება, მათი ადეკვატურობის შეფასება.

კვლევისას ჩვენი მიზანი იყო, ერთი მხრივ, სრულად მოგვეცვა ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი მიმართულება, მეორე მხრივ კი, მოსწავლის ინტელექტუალური მზაობისა და მიღწევის კრიტერიუმებით, კითხვის მიმართულება ისე დაგვეყო, რომ მოსწავლეების მიღწევების მიხედვით ერთგვაროვანი დონეების მონიშვნა შეგვძლებოდა. გვსურდა, ეროვნული სასწავლო გეგმის კითხვის მიმართულება ისე ამოგვეწურა, რომ მხოლოდ მაღალი მოსწრების მქონე მოსწავლეებისთვის კი არ ყოფილიყო ეს კითხვები გათვალისწინებული, არამედ საშუალო თუ დაბალი მოსწრების მქონე მოსწავლეებისთვისაც – ანუ სრულად მოგვეცვა სხვადასხვა მოსწრების მოსწავლეთა მთელი სპექტრი.

მიღებულ მონაცემებს ფსიქომეტრიული ანალიზი ჩაუტარდა, რამაც კვლევის ემპირიული შედეგები მოგვცა. მათ საფუძველზე მოხდა მიღწევის სტანდარტის დადგენა ექსპერტულ დონეზე, რის შედეგადაც გამოიყო მიღწევის ოთხი დონე და აღიწერა თითოეული მათგანი. ამ პროცედურაში მონაწილეობა მიიღეს მოწვეულმა საგნობრივმა ექსპერტებმა, მათ შორის, მასწავლებლებმა, აკადემიური წრეების წარმომადგენლებმა, სახელმძღვანელოს ავტორებმა, ფსიქოლოგებმა. ფსიქომეტრიული და ექსპერტული ანალიზის შეჯერების საფუძველზე მივიღეთ კვლევის შედეგები, ამგვარი პროცენტული განაწილებით:

მიღწევის მაღალი დონე – 16%

მიღწევის საშუალოზე მაღალი დონე – 28%

მიღწევის საშუალო დონე – 23%

მიღწევის დაბალი დონე – 33%

ის, რომ მოსწავლეთა 16% მაღალ დონეზე პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებს კითხვის მიმართულებაში, საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, ნამდვილად კარგი შედეგია. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ საკმაოდ დიდია იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც კითხვის მინიმალურ კომპეტენციებს ფლობენ. ამას განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდოს ყველა, ვინც პირდაპირ თუ ირიბად არის სასწავლო პროცესის მონაწილე, მათ შორის, საგანამანთლებლო პოლიტიკის გამტარებელი ორგანიზაციები, სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგები, სახელმძღვანელოს ავტორები, მშობლები.

ქართული ქვაკუთხედი – პროფესიონალიზმი თუ დიპლომი

საქართველოში შვილისთვის უმაღლესი სასწავლებლის დიპლომის მოპოვება ოჯახის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია. ჩვენში დიპლომი არა მარტო პროფესიონალიზმის დამადასტურებელი, არამედ თავის მოსაწონებელი დოკუმენტია. ეს კი, საბოლოოდ, იმით სრულდება, რომ უმაღლესდამთავრებული ადამიანი ხშირად ისეთი პროფესიით იწყებს მუშაობას, რომელიც მის დიპლომთან მიახლოებულიც არ არის. ასე ხდება იგი მშენებელი, გზის მშენებელი, დურგალი, კალატოზი, სანიტარულ-ტექნიკური სამუშაოების ოსტატი, კომპიუტერების, მობილურების, მაცივრების, ავტომობილების შემკეთებელი, მზარეული, მკერავი, ექთანი და ა.შ. არადა, ეს ის პროფესიებია, რომლებიც ნებისმიერ ქვეყანაში პროფესიონალიზმის მაღალ დონეს ითხოვს.

თამარ კაციტაძე

გარკვეული პროფესიების შემთხვევაში, პროფესიონალიზმის დეფიციტი გაჩნდა. გამოსავალი კი პროფესიული განათლების სისტემის აღდგენაში მოიძებნა, რასაც ბოლო დროს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აქტიურ ყურადღებას უთმობს.

დღეს მომრავლებული უმაღლესი სასწავლებლების ფონზე პროფესიული სასწავლებლების სისტემამ ფუნქცია დაკარგა. სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ გაისმის დღეს, საქართველოში პროფესიონალი მუშები აღარ არიანო. ამით დამქირავებლები უცხოეთიდან მუშახელის შემოყვანას ამართლებენ. ერთი სიტყვით, გარკვეული პროფესიების შემთხვევაში, პროფესიონალიზმის დეფიციტი გაჩნდა.

გამოსავალი კი პროფესიული განათლების სისტემის აღდგენაში მოიძებნა, რასაც ბოლო დროს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აქტიურ ყურადღებას უთმობს.

მთელი საქართველოს მასშტაბით, 41 საჯარო და 60 კერძო პროფესიულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაა, სადაც ათასობით სტუდენტი სწავლობს. პროფესიულ სწავლებას

ირჩევენ ცხრაკლასდამთავრებულები, საშუალო განათლების მქონე მოზარდები და ზოგჯერ უმაღლესდამთავრებულებიც.

პროფესიული განათლების მიზნებია: პროფესიული კარიერისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობა, ეკონომიკის უზრუნველყოფა შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი კვალიფიციური კადრებით, პროფესიული განათლების სისტემის მისადაგება სწრაფად და მუდმივად ცვალებად შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

როგორც პროფესიული სასწავლებლების პროფილიდან ირკვევა, დღეს ყველაზე მეტი მოთხოვნა შემდეგ პროფესიებზეა: ინფორმაციული ტექნოლოგიების ტექნიკოს-ოპერატორი, კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების სპეციალისტი, ელექტრო-ტექნიკოსი, ბუღალტერ-მოანგარიშე, ხის მხატრული დამუშავების ოსტატი, ჭრა-კერვის ოსტატი, ფეხსაცმლის მკერავი, ქალისა და მამაკაცის სტილისტი, მშენებელი, ზეინკალ-შემკეთებელი, ექთანი, მობილურების, მაცივრების, ავტომობილების შემკეთებელი და ა.შ.

49-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე, ტატა ისაკაძე აღნიშნავს, რომ სკოლა მოსწავლის პროფესიის შერჩევაში ნაკლებად ერევა.

„პროფესიის შერჩევის შესახებ მოსწავლეებს ვესაუბრებით და მიმართულებასაც ვაძლევთ, თუ რომელი სფეროა უფრო საინტერესო. ხშირად მოსწავლეებიც გვეკითხებიან აზრს, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, ისინი თავად ირჩევენ პროფესიას, ან მათზე ახლობელები ახდენენ გავლენას,“

– ამბობს ტატა ისაკაძე. ის თვლის, რომ დიპლომზე მთავარი პროფესიონალიზმია, დღევანდელი პროფესიული სასწავლებლები კი სწორედ ამ მიმართულებით მუშაობენ.

„არიან ბავშვები, რომლებსაც სწავლა ნაკლებად აინტერესებთ. ამიტომ მასწავლებელები ვურჩევთ მათაც და მშობლებსაც, რომ სჯობს, ასეთმა ბავშვებმა პროფესია შეიძინონ და ისინი გარკვეული მიმართულებით დაკავდენენ. თუმცა ხშირად მოსწავლეც და მისი მშობელიც, მოდის თუ პრესტიჟულობის გამო, არჩევანს მაინც უმაღლეს სასწავლებელზე აკეთებს,“ –

– განმარტავს ტატა ისაკაძე.

მისი თქმით, პროფესიული სასწავლებლების თაობაზე მოსწავლეებს ინფორმაცია აქვთ. 49-ე სკოლაში თავად ამ სასწავლებლების წარმომადგენლები მიდიან, ატარებენ პრეზენტაციებს, არიგებენ ბუკლეტებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ სკოლიდან პროფესიულ სასწავლებელში წასვლაზე არცერთი მოსწავლე არ ფიქრობს.

„მართალია, პროფესიის არჩევისას მოსწავლეებს რჩევებს ვაძლევთ, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ეს ძალიან აინტერესებთ. ისინი გადაწყვეტილებას მაინც საკუთარი სურვილით, მოდის, პრესტიჟის, მშობლების და ახლობლების გავლენით იღებენ. რა თქმა უნდა, მათ პროფესიულ სასწავლებლებზეც ვესაუბრებით, მაგრამ ამით ნაკლებად ინტერესდებიან. ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ინფორმაციის ნაკლებობა იყოს. ბოლო წლებში ეს სასწავლებლები საერთოდ ამოვარდა საგანმანათლებლო სისტემიდან და დღეს აქტუალური რომ გახდეს, მეტი ინფორმაციაა საჭირო,“ –

ასეთია მასწავლებელ ნატა გრატიაშვილის მოსაზრება.

კომაროვის სახელობის საჯარო სკოლის მასწავლებლის, ოთარ ღონღაძის ინფორმაციით, პროფესიული სასწავლებლების არსებობაზე მოსწავლეებს ძალიან მწირი ინფორმაცია აქვთ. მათ არ იციან, რა ცოდნას აძლევს პროფესიული სასწავლებლები, რას სთავაზობენ ისინი და ა.შ.

„მე, როგორც კლასის დამრიგებელი, ვესაუბრები ბავშვებს მომავალ პროფესიაზე, მაგრამ, საბოლოოდ, ისინი მაინც თვითონ იღებენ გადაწყვეტილებას. მასწავლებლებზე მეტად კი მათზე გავლენას მშობლები და ახლობლები ახდენენ“,

– გვიხსნის ოთარ ღონღაძე.

161-ე სკოლის მოსწავლე მარიამ ალელიშვილი ამბობს:

„ვფიქრობ, მასწავლებელი პროფესიის არჩევაში გზას უნდა გვიკვალავდეს, მაგრამ სკოლაში ამ მხრივ ყურადღება საერთოდ არ არის გამახვილებული. ისევ მშობლები გვეხმარებიან. ბავშვები იმ პროფესიას ირჩევენ, რომელიც მოდაშია. დიპლომი ადამიანის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტია და ამიტომ სურს ყველას მისი აღება. რაც შეეხება პროფესიულ სასწავლებლებს, ძალიან ზოგადად გამიგია მათ შესახებ. რა პროფესიებს ასწავლიან, ისიც არ ვიცი. ჩემ გარშემო არავინ აპირებს ამ სასწავლებლებში სწავლას.“

მე-12 კლასის მოსწავლის, გიორგი ბოჭორიშვილის თქმით კი, პროფესიულ სასწავლებლებში ის მოსწავლეები სწავლობენ, რომლებსაც სკოლაში გამოცდების ჩაბარება არ შეუძლიათ.

მეტიც, რამდენიმე მათგანს მაგისტრატურაც კი აქვს დამთავრებული. ჩვენი სასწავლებელი პროფესიონალ კადრებს ამზადებს, მისი დასრულების შემდეგ კი ახალგაზრდებს დასაქმებაშიც ვეხმარებით. კადრი, რომელსაც ჩვენ ვამზადებთ, ძალიან მოთხოვნადია დღევანდელ ბაზარზე. მენტალიტეტიდან გამომდინარე, აბიტურიენტები მიმტანის პროფესის ნაკლებად ირჩევენ.

საჯარო სკოლის მოსწავლეებისგან განსხვავებულად ხედავენ პროფესიული სასწავლებლების დანიშნულებას ამ სასწავლებლების სტუდენტები.

თორნიკე ბერიშვილი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტია. ამავე დროს ის თბილისის პროფესიულ სასწავლებელ „იკაროსში“ სასტუმრო საქმეს სწავლობს.

„სკოლა საერთოდ არ გვეხმარება პროფესიის არჩევაში. მოსწავლე ამ დროს ვერ ერკვევა, ზუსტად რა პროფესიისკენ არის მიდრეკილი. იგი მომავალს, ძირითადად, მოდის მიხედვით ირჩევს. ასე მოხდა ჩემს ცხოვრებაში: ავირჩიე ეკონომიკური ფაკულტეტი, მაგრამ მივხვდი, რომ უმაღლეს სასწავლებელში პრაქტიკულ ცოდნას ვერ ვიღებდი. ამიტომ გადავწყვიტე, კონკრეტულ პროფესიას დავუფლებოდი და პროფესიულ სასწავლებელ „იკაროსში“ ჩავაბარე. აქ უფრო მეტია პრაქტიკული ცოდნის მიღების შანსი, რადგან იმ საქმის პროფესიონალები მუშაობენ, რასაც გვასწავლიან. ასეთი სასწავლებლების არსებობა ქვეყნის განვითარებისთვის ძალიან საჭიროა. მოსაზრება, თითქოს პროფესიულ სასწავლებელში სწავლა ადვილია და აქ ამიტომ მოდიან, ტყუილია. „იკაროსში“ შეიძლება სტუდენტი პირველივე გამოცდაში ჩაიჭრას. სხვათა შორის, დღეს კოლეჯში სწავლა არაპრესტიჟულად აღარ ითვლება, ეს დამოკიდებულება თანდათან ინგრევა“,

– ამბობს თორნიკე ბერიშვილი.

სამი წელია, რაც თბილისის პროფესიული სასწავლებელი „იკაროსი“ არსებობს და მასში მოხვედრა არც ისე იოლია. გასულ წელს, მისაღები გამოცდების დროს, ერთ ადგილზე ექვსი აბიტურიენტი მოდიოდა. ამის მიზეზს „იკაროსის“ დირექტორის მოადგილე ხათუნა ბერაია სასწავლებლის პროფილით ხსნის. „იკაროსში“ სტუდენტები სასტუმრო, სარესტორნო და კულინარიულ საქმეს ეუფლებიან.

„მიუხედავად იმისა, რომ პროფესიულ სასწავლებლებში, ძირითადად, მე-9 კლასის კონტინგენტი შემოდის, ჩვენთან უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებიც სწავლობენ. არადა დღევანდელ ბაზარზე ეს პროფესია მეტად მოთხოვნადია. ჩვენი კურსდამთავრებულები უკვე მუშაობენ „რედისონში“, „შერატონში“, „ქორთიარდ-მარიოტში“ და ა.შ. ზოგს ორწლიანი კონტრაქტი აქვს დადებული ყატარში და 5-ვარსკვლავიან სასტუმროში მუშაობს“,

– გვიხსნის „იკაროსის“ დირექტორის მოადგილე ხათუნა ბერაია.

სახელმწიფო ბოლო დროს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პროფესიულ განათლებას. სახელმწიფო პროგრამის „პროფესიული განათლება დასაქმებისათვის“ ერთ-ერთი მიზანი პროფესიული განათლების სფეროში კერძო სექტორის როლის გაზრდაა, რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილებას ადეკვატურად მომზადებული კადრებით.

საგანმანათლებლო-ელექტრონული პორტალი

ელექტრონული პორტალების შექმნა ინტერნეტის სწრაფ განვითარებას მოჰყვა. ხშირად ასეთი პორტალები მრავალგვარი ინფორმაციის მისაწოდებლად გამოიყენება, ან ბლოკების ერთობლიობას წარმოადგენს, რომელთაგან თითოეული ერთგვარი კარიბჭეა – მათი საშუალებით სხვადასხვა რესურსი ხელმისაწვდომი ხდება. თანამედროვე პოპულარული პორტალები ადვილად იზიდავს მომხმარებელს და მათ განსხვავებულ მომსახურებას სთავაზობს. რა დანიშნულება აქვს სასკოლო საგანმანათლებლო პორტალს და რა მოლოდინი შეიძლება ჰქონდეს მასწავლებელს მისი გამოყენებისას?

მერაბ ლაბაძე

პირველი ვებ-პორტალები, გასული საუკუნის ბოლოს, ინტერნეტის სწრაფ განვითარებასთან ერთად გაჩნდა. მათ ძირითად მიზანს ინტერნეტში ნავიგაციის პირველწყაროდ ყოფნა წარმოადგენდა. ე.წ. ჰორიზონტალური პორტალები ყველანაირ ინფორმაციასა თუ გასართობს სთავაზობდნენ მომხმარებელს (მაგ.: *www.yahoo.com*), ხოლო ვერტიკალური პორტალები ერთ საკითხზე (მაგალითად, ახალ ამბებზე, სამთავრობო უწყებებზე ან კომერციულ სერვისზე) იყვნენ ფოკუსირებული. ორივე შემთხვევაში, მომხმარებელს პასიური როლი ჰქონდა მინიჭებული.

იმავე პერიოდში ტექნოლოგიურად განვითარებულ ქვეყნებში სამთავრობო და ადმინისტრაციული სერვისის ელექტრონულ სივრცეში გადატანა დაიწყო. ამ პროცესმა განათლების სისტემამდეც მიაღწია. ბუნებრივია, პირველი საგანმანათლებლო პორტალები მომხმარებელს მკითხველად აღიქვამდნენ. მას შეეძლო გასცნობოდა ახალ ამბებს ან სასწავლო პროგრამას, ჩამოეტვირთა სასწავლო მასალები კურიკულუმის საგნებში. მომხმარებლის თანამონაწილეობა, ძირითადად, ფორუმის ტიპის დისკუსიებით ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით დამყარებული კომუნიკაციით შემოიფარგლებოდა.

საგანმანათლებლო პორტალების მიზანია, ინტერნეტში განთავსებული საგანმანათლებლო ხასიათის ინფორმაციისა და სასწავლო რესურსების მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოს, მისი მოთხოვნებისა და მისწრაფებების შესაბამისად.

ახალი ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, სასწავლო რესურსების ფორმატი ტექსტის ჩარჩოებს გასცდა. გაჩნდა ელექტრონული სასწავლო ობიექტის ცნებაც. ასეთი ობიექტი შეიძლება იყოს აუდიო-ვიზუალური ან მულტიმედიური, (მაგ: სასწავლო პროგრამა, დიაგრამა, ნახატი, ვიდეო და ა.შ.). სასწავლო მასალების თავმოყრისა და კლასიფიკაციისათვის იქმნება სპეციალური საცავები. ამავე დროს, ახალი ვებ 2.0 კონცეფციის დამკვიდრებასთან ერთად, რომელიც აქტიურ მომხმარებელთა ქსელებზეა დაფუძნებული, საგანმანათლებლო პორტალის ფუნქციონალური შესაძლებლობებიც თანდათან იცვლება. მის მთავარ მომხმარებელს საგანმანათლებლო ტექნოლოგიებში გათვითცნობიერებული მასწავლებელი წარმოადგენს, რომელიც თავად ქმნის სასწავლო ელექტრონულ რესურსებს და აქტიურობს საკუთარ პროფესიულ ქსელში. მსგავსი მიდგომით შეიქმნა შოტ-

> **სასწავლო მასალების მთავარ კლასიფიკატორს ეროვნული სასწავლო გეგმა წარმოადგენს. ამდენად, პორტალზე განთავსებული თითოეული სასწავლო ობიექტი კურიკულუმის თემებთან და საკითხებთან მიმართებაშია დახარისხებული. ეს საშუალებას აძლევს მომხმარებელს, ადვილად მოძებნოს საჭირო მასალა საგნებისა და კონკრეტული სასწავლო ამოცანის მიხედვით.**

ლანდიის, ნიდერლანდების, ფინეთის, ავსტრიის, ირლანდიის, გერმანიის, უელსის სასკოლო პორტალები.

ინფორმაციულ ტექნოლოგიებში გაწაფული და მომთხოვნი ესტონელი მასწავლებლებისთვის შექმნილი სასკოლო პორტალის (*www.koolielu.ee*) მაგალითზე განვიხილოთ თანამედროვე საგანმანათლებლო პორტალის დამახასიათებელი თვისებები და ის სერვისები, რომელთა მიწოდებაც მის სიცოცხლისუნარიანობას უზრუნველყოფს.

პორტალის სრული მომსახურების მიღება მხოლოდ მასზე დარეგისტრირების შემდეგ შეიძლება. მისი ტექნიკური პლატფორმა ისეთი თანამედროვე სოციალური სოფტის გამოყენების საშუალებას იძლევა, როგორიცაა ელექტრონული პორტფოლიო, ნიშნულები (tag), სოციალური სანიშნეები, რეკომენდაციები, ვიჯეტები. მას ასევე აქვს სხვადასხვა ფუნქცია (მაგ.: კალენდარი, ჩასანიშნი ფურცელი, ამინდის პროგნოზი, ვალუტის კურსი, ახალი ამბები და სხვ.).

პორტალის სტრუქტურა და მახასიათებლები

პორტალი შედგება შემდეგი ძირითადი სექციებისაგან:

- ახალი ამბები – სხვადასხვა ინტერნეტ-წყაროდან მიღებული ინფორმაცია;
- განცხადებები და რეკლამა – ინფორმაცია სასწავლო კურსებსა და დასაქმების შესაძლებლობებზე;
- ხელსაწყოები – ბმულები ჩამოტვირთვად ან ინტერნეტში განთავსებულ საგანმანათლებლო რესურსებსა თუ პროგრამებზე;
- საგნები – კურიკულუმის შესაბამისად დაჯგუფებული სასწავლო ელექტრონული მასალები;
- დისკუსიები – ტრადიციული ვებ-ფორუმი;
- გაერთიანებები – აქ თითოეულ მომხმარებელს შეუძლია, შექმნას ვირტუალური გაერთიანება, რომელიც ავტომატურად იღებს სათანამშრომლო სივრცეს, ფორუმს და შესაბამის ხელსაწყოებს.

პორტალის მართვა

პორტალის შინაარსით დატვირთვაში მომხმარებელთა აქტიური თანამონაწილეობა ვებ 2.0 ტიპის ინოვაციას წარმოადგენს. მასწავლებლებს შეუძლიათ, თავად ატვირთონ სასწავლო მასალები და გამოაქვეყნონ ინფორმაცია. თუ ადრე ამგვარი მასალების განთავსებაზე მოდერატორები იყვნენ პასუხისმგებლები, ახლა ეს ფუნქცია ნებისმიერ დარეგისტრირებულ მომხმარებელზეა დელეგირებული. თუმცა მოდერატორებსა და ექსპერტებს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ: მათ ასატვირთი მასალის მიღება ან უარყოფა შეუძლიათ. ავტორების რაოდენობის ზრდა პორტალს ამდიდრებს და მრავალფეროვანს ხდის.

ელექტრონული მასალების საცავი

პორტალი სასწავლო ელექტრონული ობიექტების არსებულ საცავთანაა ინტეგრირებული. ამგვარი საცავის მაგალითს ქართველი მასწავლებლებისთვის ნაცნობი ლემილი (LeMill.net) წარმოადგენს. საცავში განთავსებული ინფორმაციის მახასიათებლები, ანუ მასალების მეტამონაცემები სტანდარტიზებული და სხვა მსგავს საცავებთან გაზიარებადია. ეს აფართოებს მათი გამოყენების არეალს და ზრდის პოტენციურ მომხმარებელთა რიცხვს, მათ შორის სხვა ქვეყნებიდან. პორტალზე განთავსებული სასწავლო რესურსების მოძიება შესაძლებელია ევროპული სასკოლო ქსელის ელექტრონული



რესურსების გაცვლითი პორტალის მეშვეობითაც: *http://breforschools.eun.org/*

კავშირი სასწავლო გეგმასთან

სასწავლო მასალების მთავარ კლასიფიკატორს ეროვნული სასწავლო გეგმა წარმოადგენს. ამდენად, პორტალზე განთავსებული თითოეული სასწავლო ობიექტი კურიკულუმის თემებთან და საკითხებთან მიმართებაშია დახარისხებული. ეს საშუალებას აძლევს მომხმარებელს, ადვილად მოძებნოს საჭირო მასალა საგნებისა და კონკრეტული სასწავლო ამოცანის მიხედვით. ასეთი კლასიფიკაცია განათლების სისტემის მესვეურთათვის ნათელს ხდის, თუ რომელი საგანი თუ თემა არის უზრუნველყოფილი შესაბამისი ელექტრონული სასწავლო მასალებით და რას სჭირდება მეტი ყურადღება.

ნიშნულები (ტეგები)

საცავში არსებული სასწავლო მასალების წარმოჩენის კიდევ ერთი ფორმაა ე.წ. ტეგების (ნიშნულების, იარლიყების) ღრუბელი. ერთფეროვან ცხრილში მოთავსების ნაცვლად, ელექტრონული რესურსის ნებისმიერი მახასიათებელი სიტყვა განიხილება, როგორც ნიშნული (tag) და ხდება მისი ასახვა საერთო

ვიზუალურ ტექსტურ ღრუბელში. რაც უფრო ხშირად გამოიყენება ესა თუ ის მახასიათებელი, მით უფრო დიდია მისი ტექსტის ზომა ღრუბელში. ამ ფორმას კარგად იცნობს ვებ 2.0-ში გაცნობიერებული მომხმარებელი.

სოციალური სანიშნეები (BOOKMARKS)

პორტალის დარეგისტრირებულ მომხმარებელს შეუძლია სანიშნეების გაკეთება სასურველ და მისთვის საინტერესო სასწავლო მასალებზე. იმას, რაც ერთხელ იპოვეთ და ჩაინიშნეთ, ხელმეორედ ადვილად გამოიყენებთ (ზუსტად ისე, როგორც ვებ-ბრაუზერში სანიშნის სახით იმახსოვრებთ სასურველ ვებ-გვერდს). მასწავლებლის სანიშნეების კოლექციის ნახვა მის კოლეგებსაც შეუძლიათ. სასწავლო მასალის პოპულარობის ხარისხი კი იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ რამდენ კოლექციაში მოხვდება იგი.

რეკომენდაციები

დარეგისტრირებულ მომხმარებლებს მასალების ირგვლივ საკუთარი კომენტარებისა და რეკომენდაციების განთავსება შეუძლიათ. ასევე, შესაძლებელია დისკუსიის დაწყებაც. ასეთი ხარისხობრივი მახასიათებლები სასწავლო მასალების კლასიფიკაციის კიდევ ერთ საშუალებას იძლევა. მაგალითად, მასალა შეიძლება დახასიათდეს, როგორც საკლასო ან კლასგარეშე აქტივობა. ზოგ სასწავლო პორტალზე მასალისათვის „ვარსკვლავური“ რეიტინგის მინიჭებაა შესაძლებელი.

პერსონიზებული სივრცე (დესკტოპი)

ეს სექცია ყველაზე მეტად პასუხობს ვებ 2.0 მახასიათებლებს. მომხმარებლის პერსონალური სივრცის, ანუ პირადი დესკტოპის გამდიდრება ვიჯეტების ტექნოლოგიითაა შესაძლებელი, ანუ მცირე ფანჯრის ტიპის გრაფიკული ბლოკი, რომელშიც თავს იყრის გარკვეული ტექსტობრივი თუ ვიზუალური ინფორმაცია. პორტალის თითოეულ განყოფილებას აქვს საკუთარი ვიჯეტი, ანუ ექსპორტირებადი მინი-ბლოკი. მომხმარებელი თავად წყვეტს, რა სახის ფუნქციები სჭირდება მას და ამის მიხედვით ათავსებს პორტალის სასურველ ელემენტებს ვიჯეტების სახით პირად სივრცეში. ეს პორტალის სხვადასხვა განყოფილების მყისიერ წვდომას უზრუნველყოფს (iGoogle სერვისების მსგავსად). მასწავლებელს აღარ სჭირდება პორტალზე ნავიგაცია საინტერესო მასალების მოსაძებნად. მისთვის მნიშვნელოვანი საკითხები პირდაპირ ხვდება დესკტოპის ვიჯეტებში, იქნება ეს ახალი ამბები, ახლად ატვირთული სასწავლო მასალები რომელიმე საგანში, კომენტარები, ბლოგები თუ დისკუსიები. ზოგიერთი ვიჯეტი მომხმარებელს აკავშირებს გარე საიტებთანაც, მაგალითად, ფეისბუქთან, ფოტოების ვებ-კოლექცია ფლიკრთან (Flickr) და სხვ.

მომხმარებლის პროფილი

ყველა დარეგისტრირებულ მომხმარებელს აქვს საჯარო პროფილის გვერდი, რომელიც პორტფოლიოს თვისებებსაც ითავსებს. აქ ირჩევთ მეგობრებს, ათავსებთ ბლოგს და სანიშნეების კოლექციებს. აქვე შეიძლება შერჩეული ვიჯეტების ნაწილის განთავსებაც. მომხმარებელი თავად წყვეტს, რა ინფორმაცია განათავსოს საჯარო პროფილში და ვის მისცეს მისი ნახვის უფლება: ყველას, რეგისტრირებულ მომხმარებლებს თუ მეგობრების ან კოლეგების ჯგუფს. პერსონალური გვერდის შექმნა სოციალურ ქსელებში საკუთარი გვერდის შექმნას წააგავს.

საზოგადოებები, ჯგუფები

ეს განყოფილება საშუალებას აძლევს მომხმარებელს, შექმნას ვირტუალური სამუშაო ჯგუფები, ან მოძებნოს მასწავლებლები, რომლებსაც მსგავსი ინტერესები აქვთ. ის მხოლოდ პორტალზე განთავსებული მასალების გამოყენების სიხშირეს კი არ ზრდის, არამედ ხელს უწყობს ასეთი მასალების ერთობლივად შექმნას. ამ ვირტუალურ გარემოში ტარდება მასწავლებელთა ტრენინგ-კურსების ჩატარებაც, შესაბამისად, მასწავლებელთა გაერთიანება სასწავლო ჯგუფად გადაიქცევა. ზოგიერთი სასკოლო პორტალი სხვა მომსახურებასაც სთავაზობს მომხმარებელს, მაგალითად, სასწავლო ვებ-გვერდის ან გაკვეთილის გეგმის შექმნას, ვებ-ტესტების გავლას, ვიდეო გაკვეთილების ნახვას და სხვ. პორტალი ზოგჯერ მოიცავს რესურსებს მშობლებისათვის, მოსწავლეებისათვის, სკოლების ადმინისტრაციისა და ისტ მენეჯერებისათვის.

ქართველი მასწავლებლისთვის საგანმანათლებლო პორტალის კონცეფცია ალბათ სიახლე აღმოჩნდება. თუმცა ის ფაქტი, რომ ლემილის პორტალზე ქართული რესურსები უცხოენოვან რესურსებზე უხვად არის წარმოდგენილი, ამ მიმართულებით სერვისების განვითარების შესაძლებლობაზე მიუთითებს. სოციალური ქსელების ქართველ მომხმარებელთა რიცხვი იზრდება და თანამედროვე ტექნოლოგიებიც სულ უფრო ხელმისაწვდომი ხდება მასწავლებლებისთვის. ამ ფაქტორების ერთობლიობა კი საქართველოში საგანმანათლებლო პორტალის დანერგვის და გამოყენების პერსპექტივას უფრო და უფრო რეალურს ხდის.



ჟურნალ „მასწავლებლის“ სტუმარია მუსიკოსი ნინო ქათამაძე

ჩემი პროფესიის არჩევანი მათი დამსახურებაა

ნატო ინგოროყვა

მე რომ მკითხოთ, მასწავლებლის პროფესია ყველაზე მაღალანაზღაურებადი უნდა იყოს, მაგრამ ჯერ ჩვენს ქვეყანას ამის საშუალება არ აქვს. მასწავლებელიც მოთმინებით ელოდება. თუმცა იმედი მაქვს, რომ ეს სურათი მალე შეიცვლება.

სკოლა და ნინო ქათამაძე – რა გახსოვთ იმ დროიდან? როგორი მოსწავლე იყავით?

სკოლა ჩემი ცხოვრების ის პერიოდია, საიდანაც გამოსვლა არ მინდა. არ მინდა, მოვწყდე იმ შეგრძნებებს, რაც იქიდან გამომყვა. ჩემს პირველ მასწავლებელს ნელი ერქვა. მან მასწავლა ასოების გამოყვანა და არა მხოლოდ წერა: თითოეული ასოს მნიშვნელობას მიხსნიდა. მახსოვს: თადარიგს ვიჭერდი, ყველა მეზობელს ვაფრთხილებდი, რომ პირველი სექტემბრისთვის ყვავილები არავისთვის მიეცათ. მე უნდა დამეკრიფა და ყველაზე ლამაზი თაიგული მიმეტანა ჩემი მასწავლებლებისთვის.

სკოლა სახლიდან შორს იყო. მახსოვს ის გზა და ყველა ადამიანი, ვინც ამ გზაზე მხვდებოდა. მახსოვს ის უჯრებიანი რვეული, სადაც წითელი კალმით ასოებს გვიწერდნენ და ჩვენ ამ ასოების გამოყვანას ვბედავდით.

განსაკუთრებულად მახსოვს მუსიკის მასწავლებელი. არ მავიწყდება ძალიან საინტერესო შრომის გაკვეთილები (ასე ერქვა ჩვენს დროს), სადაც ბევრი საჭირო უნარი შევიძინეთ.

დაუმორჩილებელი და ცელქი მოსწავლე ვიყავი. როგორც გითხარით, შორს ვცხოვრობდი სკოლიდან. დილის ძილი მიყვარდა და დაგვიანების გამო საყვედურების მოსმენა მიწევდა.

არ შემიძლია, არ აღვნიშნო ჩემი მასწავლებლების თანადგომა და ხელშეწყობა. ხშირად ვიღებდი მონაწილეობას კონცერტებსა და ოლიმპიადებში და ჩემი გამარჯვებები და წარმატებები ძალიან ახარებდათ. თუმცა ეს ჩემს ნიშნებზე არ აისახებოდა. თუ გაკვეთილი არ ვიცოდი, ორიანებსაც მიწერდნენ. ნიშნებს ძალიან განვიცდიდი. თუმცა თუ კარგი კონცერტი მქონდა ჩატარებული – ნაკლებად. სიხარული გადაფარავდა.

მახსოვს, ერთხელ ჩვენი ქართულის მასწავლებლის ნაცვლად, სხვა მასწავლებელი შემოვიდა. ფატი ერქვა. გარეთ ისეთი ჭექა-ქუხილი იყო, ისე ჩამობნელდა, რომ ბავშვები შიშისგან მობუზულები ვისხედით. ფატი მასწავლებელმა გაკვეთილზე ისეთი ატმოსფერო შექმნა, გადაგვავიწყდა, გარეთ რა ხდებოდა და ზარი რომ დაირეკა, არცერთი არ გავნძრეულვართ, განაბულები ვუსმენდით.

სკოლას უკავშირდება ბევრი რამ, რაც ჩემს ცხოვრებაში პირველი იყო და, ბუნებრივია, ეს არასდროს დამავიწყდება.

რას ფიქრობს ხელოვანი და მუსიკოსი ნინო ქათამაძე: უნდა ისწავლებოდეს თუ არა სკოლაში ხელოვნება და თუ უნდა ისწავლებოდეს, როგორ? როგორი უნდა იყოს პირველი შეხება ხელოვნების დარგებთან და ვინ უნდა ასწავლიდეს მათ?

ვფიქრობ, ხელოვნება უნდა ისწავლებოდეს. მუსიკას მუსიკის მასწავლებელი უნდა ასწავლიდეს, ხატვას – ხატვის მასწავლებელი. ხელოვნების დარგები მოსწავლეებს უნდა გააცნო და შეაყვარო, მათთან მისასვლელი გზები უნდა დაანახო. მათზე ისე უნდა მოუყვე, რომ თავისთავად მოუნდეთ მათთან ზიარება. თუ რომელიმე მოსწავლეს განსაკუთრებული უნარი აღმოაჩნდება ამ მხრივ, ბუნებრივია, ყველამ ხელი უნდა შეუწყოს. ნიჭიერებას განსაკუთრებული მოვლა სჭირდება.

თქვენ თუ გიფიქრიათ მასწავლებლობაზე? მომღერალსაც სჭირდება ოსტატობა იმისათვის, რომ მსმენელის ყურადღება თავისკენ მიმართოს. მეტიც, მომღერალი მოსმენას ასწავლის მსმენელს. თქვენ იოლად გამოგდით მსმენელის ყურადღების მიპყრობა. მე, როგორც მსმენელი, ვგრძნობ, ამას როგორ ახერხებთ, მაგრამ, ჯობს, თავად გაუმხილოთ საიდუმლო მასწავლებელს. რა არის საჭირო იმისთვის, რომ მოგისმინონ?

მასწავლებელი? – არ ვიცი, ზოგჯერ მგონია, რომ ვიქნებოდი, ზოგჯერ – არა. რთულია. მთავარი არჩეული საქმის სიყვარულია. მაგრამ მხოლოდ ეს არ კმარა. მასწავლებლობა მხოლოდ პროფესიის სიყვარული არ არის. ეს თავგანწირვამდე სიყვარულია, რომელსაც პროფესიონალიზმამდე მიჰყავხარ. არაფერს ვამბობ პასუხისმგებლობაზე, როცა მოზარდის სულს იბარებ გამოსაზრდელად.

ჩემთვის სცენაა სიყვარულის განაწილების ადგილი. მე თითოეული მსმენელისთვის ვიხარჯები და ვმღერი. ვერასდროს ვიმღერებ მთელი დარბაზისთვის ისე, თუ არ ვიგრძენი, რომ მისმენენ.

ათი წელია, „სულიკოს“ ვმღერი. ყოველ ჯერზე ვცდილობ, სხვადასხვა ინტერპრეტაციით ვიმღერო. ძნელია, მაგრამ მიღწევადი.

მესმის მასწავლებლის, რომელიც წლებია, ერთსა და იმავე თემას ხსნის. შეიძლება ეს მოსაბეზრებელიც გახდეს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყოველ ჯერზე მას სხვადასხვა ჯგუფს ვუხსნით. ამიტომ ისე უნდა მივაწოდოთ, როგორც პირველად.

თქვენ დედა ხართ და, ბუნებრივია, ფიქრობთ: როგორი განათლება უნდა მიიღოს თქვენმა შვილმა? როგორ სკოლაში გინდათ, ისწავლოს მან? როგორია თქვენთვის თანამედროვე სკოლა, სადაც სიამოვნებდით მიიყვანდით შვილს?

ჩემთვის სკოლა, კარგ და დაცულ გარემოსთან ერთად, უპირველესად, მასწავლებელია. მასწავლებელი სკოლის ზღურბლთან უნდა ტოვებდეს პირად პრობლემებს. არ მინდა, ჩემი შვილი დამსჯელ მასწავლებლებთან იზრდებოდეს. ურთიერთობები ურთიერთპატივისცემაზე უნდა იყოს აგებული და მოსწავლე პიროვნებად უნდა გრძნობდეს თავს. მას უნდა შევუქმნათ ისეთი გარემო, სადაც საკუთარი უნარების გამოვლენას შეძლებს და ცოდნას შეიძენს.

მინდა, ჩემმა შვილმა ცოდნა მიიღოს და გარე სამყაროსადმი ადეკვატურ ადამიანად გაიზარდოს. მე სიამოვნებით დავესწრები მის გაკვეთილებს. ბუნებრივია, მოსწავლე-მასწავლებელს შორის იქნება გაუგებრობებიც და იქნება გაწყრომაც, მაგრამ ეს ყველაფერი ზღვარს გადასული არ უნდა იყოს. ჩვენ ვერ ვუშინაურდებოდით მასწავლებლებს, მაგრამ მათთან ვმეგობრობდით.

მასწავლებელს, ბუნებრივია, მხოლოდ მოვალეობები არ უნდა ჰქონდეს. მას მხარდაჭერა და დაფასება სჭირდება. მე რომ მკითხოთ, მასწავლებლის პროფესია ყველაზე მაღალანაზღაურებადი უნდა იყოს, მაგრამ ჯერ ჩვენს ქვეყანას ამის საშუალება არ აქვს. მასწავლებელიც მოთმინებით ელოდება. თუმცა იმედი მაქვს, რომ ეს სურათი მალე შეიცვლება.

სკოლა, მასწავლებელი, მოსწავლე და მშობელი პასუხისმგებლობას უნდა ინაწილებდნენ. თითოეულმა თავისი მოვალეობები და უფლებები უნდა იცოდეს.

ჟურნალ „მასწავლებელს“ იმ სკოლაშიც იღებენ, სადაც თქვენ სწავლობდით. რას დააბარებთ მას თქვენს მასწავლებლებთან და, ზოგადად, რას ეტყოდით მასწავლებლებს „მასწავლებლის“ მეშვეობით?

ჩემს სკოლაში ორი სექტორი იყო: ქართული და რუსული. სოფელში ბევრი ბერძენი ცხოვრობდა. მათთან ურთიერთობით ძალიან ბევრი რამ ვისწავლე. უპირველესი, რაც სკოლიდან გამომყვა და რაც ჩემმა მასწავლებლებმა მომცეს, თავისუფლება და ტოლერანტობა იყო. მინდა, მადლობა გადავუხადო თითოეულ მათგანს იმისთვის, რომ მომცა სიყვარული და მასწავლა თანადგომა. არ მახსენდება არცერთი ცუდი შეგრძნება, რაც მათგან გამომყვა. მახსოვს ყველა ძალისხმევა, რაც მათ ჩვენი ცოდნისთვის გაიღეს.

ალგებრის მასწავლებელი, ყოველ დღე, გაკვეთილის ჩასატარებლად ბათუმიდან ჩვენს სკოლამდე სამი საათის გზას გადიოდა. არ მახსოვს, ეს ოდესმე დაეყვედრებინოს.

ჩემი პროფესიის არჩევანი და ისიც, დღეს რომ მუსიკასთან ერთად ვცხოვრობ, მათი დამსახურებაა.

რევაზ აფხაზავა

წინანდლის საგანმანათლებლო ცენტრისა და სამუზეუმო პედაგოგიკის შესახებ

ამასწინათ ერთ-ერთი პუბლიკაციის ავტორი საზეიმოდ გვამცნობდა, სწავლა დასრულდა და ექსკურსიების სეზონი დაიწყოო. ეს საკმაოდ გავრცელებული სტერეოტიპული ხედვაა, რომლის მიხედვითაც სწავლაში საკლასო ოთახში ჯდომა, ხოლო ექსკურსიაში მასწავლებლის თანხლებით მოსწავლეებისა და მათი მშობლების ქალაქგარეთ გასეირნება მოიაზრება. რა თქმა უნდა, სასწავლო პროცესი ზარის დარეკვასთან ან არდადეგების დაწყებასთან ერთად არ მთავრდება. უფრო მეტიც, სასკოლო ექსკურსია არასაკლასო საგანმანათლებლო აქტივობაა და მისი გამოყენება, რიგ შემთხვევებში, გაცილებით უფრო ეფექტიანია, ვიდრე საკლასო ოთახში ჩატარებული გაკვეთილი. ასე რომ, სჯობს, ისინი ერთმანეთისაგან არ გავმიჯნოთ.

> **სამუზეუმო პედაგოგიკა (სამუზეუმო განათლება) ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულებაა ყველა განვითარებულ ქვეყანაში. ამ დარგის მნიშვნელობა და მუზეუმების როლი განათლებაში გაცილებით დიდია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს.**

სამწუხაროდ, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, მუზეუმების უმრავლესობა ვერ ახერხებდა ნორმალურად ფუნქციონირებას და, შესაბამისად, ვერც სათანადო სერვისს სთავაზობდა თავის სტუმრებს. მოსწავლეებსა და მასწავლებლებს ისღა დარჩენოდათ, მოვალეობის მოხდის მიზნით შეერბინათ ამა თუ იმ მუზეუმში და თან წამოღებული საგზლის მისართმევად საუკეთესო ადგილის ძებნაზე გადართულიყვნენ. რა თქმა უნდა, ქალაქგარეთ გატარებული დრო, სადილი ბუნებაში, ფეხბურთის თამაში და ა.შ. ექსკურსიის მნიშვნელოვანი ნაწილია, რაც მოზარდებში სოციალური უნარების განვითარებას უწყობს ხელს. თუმცა მხოლოდ ამით შემოფარგვლის შემთხვევაში, მისი საგანმანათლებლო დატვირთვა საგრძნობლად იკლებს. უპირველეს ყოვლისა, უნდა გვახსოვდეს, რომ ექსკურსია თეორიული ცოდნის პრაქტიკასთან შერწყმის და შემეცნების ძალდაუტანებელ პროცესად ქცევის კარგი შესაძლებლობაა. როგორც ცნობილია, მოსწავლეებისთვის განათლების მიცემის საუკეთესო ხერხი სწავლისადმი მოტივაციის გაჩენაა, ექსკურსია კი საუკეთესო მოტივატორია. ასე რომ, ვისწავლოთ ექსკურსიაზე!

ზემოთ ნახსენები პრობლემის დასაძლევად, ბოლო პერიოდში, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა და ახლა თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში არაერთი საინტერესო მუზეუმი ფუნქციონირებს. მათი მონახულება, შესაძლებელია, სახალისო საგანმანათლებლო აქტივობაში გადაიზარდოს. ამის საუკეთესო მაგალითია ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი. ჭავჭავაძეების რეზიდენცია, ავთენტურობის მაქსიმალური დაცვით, მთლიანად რესტავრირებულია. განადგურებას გადაურჩა არაერთი ექსპონატი. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ბაღში არსებულ უნიკალურ მცენარეებს. ამ ყველაფრის შედეგად კი მუზეუმმა შეუდარებელი ხიბლი შეიძინა. ვიზიტისას, მუდმივი ექსპოზიციის დათვალიერების გარდა, მნახველს საშუალება ეძლევა, იხილოს დროებითი ექსპოზიციებიც. ბოლო დროს მოეწყო დიმა და სანდრო ერისთავების, ლევან მეხუზლას, ელენე ახვლედიანის ნამუშევრების გამოფენები. 7 აპრილიდან 6 ივნისის ჩათვლით კი, პირველად ჩვენს ქვეყანაში, შესაძლებელია სალვადორ დალის სკულპტურებისა და ლითოგრაფიების ნახვა.

იმის გამო, რომ მუზეუმში ექსკურსიების ნაკადი არ წყდება, სახლ-მუზეუმის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, საგანმანათლებლო საქმიანობისთვის განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო. ამ ინიციატივამ შედეგი მალევე გამოიღო და 27 მარტს, განათლებისა და მეცნიერების სამინის-

ტროსთან ერთად, სახლ-მუზეუმის ბაზაზე დაარსდა წინანდლის საგანმანათლებლო ცენტრი, რომლის მიზანი სახლ-მუზეუმში საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარებაა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და წინანდლის საგანმანათლებლო ცენტრი თანხმდება, რომ ექსკურსია არ უნდა იყოს საგანმანათლებლო კონტექსტიდან ამოვარდნილი ღონისძიება. იგი კულტურის, ხელოვნების, ისტორიის, საბუნებისმეტყველო საგნებისა და სხვა სასწავლო დისციპლინების შესწავლის საუკეთესო ინსტრუმენტს წარმოადგენს, რომელიც სწავლისა და სწავლების პროცესის ძალდაუტანებელ, სახალისო და უშუალო ატმოსფეროში წარმართვის საშუალებას იძლევა.

აქვე უნდა ითქვას, რომ სამუზეუმო პედაგოგიკა (სამუზეუმო განათლება) ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულებაა ყველა განვითარებულ ქვეყანაში. ამ დარგის მნიშვნელობა და მუზეუმების როლი განათლებაში გაცილებით დიდია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. სამუზეუმო პედაგოგიკის მიზანია მუზეუმებისა და სკოლების მიერ საერთო საგანმანათლებლო ამოცანების დასახვა და მათი გადაჭრის გზების ძიება ამ ინსტიტუციების სისტემური თანამშრომლობის გზით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გერმანიისა და ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილება. ამ ქვეყნებმა, ფაქტობრივად, საფუძველი ჩაუყარეს სამუზეუმო პედაგოგიკის განვითარებას მთელ მსოფლიოში. მიუხედავად ამისა, წინანდლის საგანმანათლებლო ცენტრი რომელიმე ქვეყნის მოდელის ასლს არ წარმოადგენს. ის ცდილობს, შექმნას სკოლებისა და მუზეუმების თანამშრომლობის ისეთი სისტემა, რომელიც ყველაზე მეტად მოერგება ჩვენი ქვეყნის რეალობასა და მოთხოვნებს.

მნიშვნელოვანია, ექსკურსიისადმი სტერეოტიპული დამოკიდებულება შეიცვალოს. მასწავლებლებს ხშირად ჰგონიათ, რომ მუზეუმში ვიზიტისას ისინი პასიურ მდგომარეობაში უნდა იყვნენ, ექსკურსიამძღოლმა კი ნახევარი საათის განმავლობაში მოსწავლეებს ყველაფერი უნდა უამბოს იმ ეპოქისა თუ პიროვნების შესახებ, რომელსაც კონკრეტული ექსპოზიცია ეძღვნება. ეს შეუძლებელია! გამოდის, რომ ექსკურსიამძღოლმა, მონოლოგის ფორმით, დროის მცირე მონაკვეთში უზარმაზარი ცოდნა უნდა გადასცეს მოსწავლეებს და თან ისე, რომ ჯგუფის ასაკობრივი და სხვა თავისებურებები გაითვალისწინოს. მან ესეც რომ შეძლოს, საეჭვოა, მოსწავლემ ერთ მისვლაზე ამხელა ინფორმაცია მიიღოს და გაიაზროს. უმჯობესია, კლასი მომზადებული ეწვიოს მუზეუმს და აქცენტი ექსპოზიციის ხილვისგან გამოწვეულ ემოციაზე გამახვილდეს. ეს მოზარდების მეტ ინტერესს გამოიწვევს. ასევე, მცდარია წარმოდგენა იმის შესახებ, რომ მუზეუმში განხორციელებული საგანმანათლებლო აქტივობა აუცილებლად ექსპოზიციის თემას უნდა უკავშირდებოდეს. ექსკურსიის სწორად დაგეგმვის შემთხვევაში, მოსწავლეებს შეიძლება ისეთი აქტივობები შევთავაზოთ, რომლებიც სულ სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღებასა და შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარებაზე იქნება ორიენტირებული.

პედაგოგი ყოველმხრივ უნდა ეცადოს, რომ ექსკურსია მოსაწყენ გაკვეთილს არ დაემსგავსოს. მან მოსწავლეებს მეტი თავისუფალი დრო უნდა დაუტოვოს იმისათვის, რომ მათ გართობა და უცხო გარემოსთან დამოუკიდებლად კონტაქტი შეძლონ. მოსამზადებელ ეტაპთან ერთად, ექსკურსიას აუცილებლად უნდა ახლდეს შემაჯამებელი ეტაპიც: გამოფენა, პრეზენტაცია თუ, უბრალოდ, ემოციების გაზიარება. ეს ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ექსკურსიის დროს მიღებული ცოდნისა და შეძენილი უნარების განმტკიცებას.

წინანდლის საგანმანათლებლო ცენტრი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სახლ-მუზეუმის სისტემური თანამშრომლობის პირველი პრეცედენტია. ის, ამ ეტაპზე, ოთხ პროგრამას ახორციელებს: „ვისწავლოთ მუზეუმში“, „სკოლა და მუზეუმი“, „წინანდლის საგანმანათლებლო სალონი“ და „წინანდლის საგანმანათლებლო კვირეული“. გარდა ამისა, ცენტრი სთავაზობს სკოლებს საექსკურსიო-სასწავლო გეგმას, რომელიც მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ექსკურსიისა და საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებას გაუადვილებს. დეტალური ინფორმაცია ცენტრის საქმიანობისა და შეთავაზებების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.tsinandali.blogspot.com ცენტრის კარი ყოველთვის ღიაა იმ პედაგოგებისთვის, რომლებსაც სურთ, გამოცდილება გაუზიარონ კოლეგებს და ამით ხელი შეუწყონ მათი პროფესიონალიზმის ამაღლებას, სწავლების პროცესის განვითარებასა და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.

ევროპული კუთხეები ქართულ სკოლებში

თამარ შველიძე

საქართველოს სკოლებში ევროპული ღირებულებების, ნორმებისა და პრინციპების დამკვიდრების, აგრეთვე, ევროპის ისტორიის, ინსტიტუტებისა თუ პოლიტიკის შესახებ ცოდნის გავრცელების მიზნით, ევროპული კუთხეებია გახსნილი. ეს სრულად პასუხობს საქართველოს მთავრობის სტრატეგიულ მიზანს: მოხდეს საქართველოს ინტეგრაცია ევროპასთან. ამჟამად ევროპის კუთხეები თბილისის ოთხ სკოლაში ფუნქციონირებს.

ევროკომისიის პროექტის, „ევროპული კვლევების ინსტიტუტის“ კოორდინატორი ***ცირა ჩიკვაიძე*** გვიამბობს: 2006 წლის მაისიდან, 2009 წლის დეკემბრის ჩათვლით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხორციელდებოდა ევროკომისიის პროექტი „ევროპული კვლევების ინსტიტუტი“. მისი მიზანი ევროპისმცოდნეობაში სამაგისტრო პროგრამის დაარსება იყო. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ევროპისმცოდნეობაში პირველი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა გაიხსნა. წელს ინსტიტუტი მესამედ მიიღებს მაგისტრანტებს. ეს პროექტი, ამავე დროს, საქართველოში ევროპული ღირებულებებისა და ფასეულობების დამკვიდრების ხელშეწყობას ითვალისწინებდა. გაჩნდა იდეა, საშუალო სკოლებსა და სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში ევროპის კუთხეები დაგვეარსებინა. პირველი ევროპული კუთხე 2007 წელს, გორის უნივერსიტეტში გავხსენით, შემდეგ – გურჯაანის ბიბლიოთეკაში, მცხეთის სკოლასა და თბილისის 42-ე, 47-ე 51-ე და 89-ე საშუალო სკოლებში.

რა არის საჯარო სკოლებში ევროპული კუთხეების გახსნის მიზანი?

საგანმანათლებლო დაწესებულებებში ევროპის კუთხეების მოწყობა იმისთვის გადავწყვიტეთ, რომ სტუდენტებსა და მოსწავლეებს ევროპის, ევროკავშირის შესახებ მეტი წარმოდგენა ჰქონოდათ. აღნიშნულ კუთხეებში არის საინფორმაციო ბუკლეტები, ლიტერატურა, სხვადასხვა მასალა ევროკავშირის შესახებ. მათ გახსნას ესწრებოდნენ პროექტის ფარგლებში მოქმედი უცხოელი ექსპერტები, რომლებიც, როგორც წესი, საჯარო ლექციებს ატარებდნენ. გასულ წელს, 89-ე სკოლაში, ევროპის კუთხის გახსნას საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელი და ელჩი პერ ეკლუნდი დაესწრო. ამ პერიოდის განმავლობაში, თსუ-ს ევროპისმცოდნეობის პროგრამის მაგისტრანტები აწყობდნენ პრეზენტაციებს ევროკავშირის შესახებ, რომლებიც ვიქტორინით და ვიქტორინაში გამარჯვებული მოსწავლეების დასაჩუქრებით მთავრდებოდა. ევროპულ კუთხეებში ბროშურები, რუკები, პლაკატები თუ სხვა ლიტერატურა მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე. 42-ე საჯარო სკოლას ევროპის კუთხისთვის ცალკე ოთახი აქვს გამოყოფილი, გორის უნივერსიტეტს კი – ცალკე ფართი ბიბლიოთეკაში. მცხეთის სკოლას ევროკავშირის მიერ მოწოდებული ტექნიკური აღჭურვილობაც გადავეცით. მთავარი მიზანი სწორედ ევროპული ღირებულებების პროპაგანდაა. დღეს ქუჩაში ნებისმიერი მოქალაქე გეტყვით, რომ ევროპელია, მაგრამ ძალიან ცოტას ესმის, ნამდვილი ევროპელობა რომ გარკვეული პასუხისმგებლობა და ვალდებულე-

ბებია. როგორც ჩანს, საზოგადოებას განმარტება სჭირდება.

რამდენად წარმატებულად მუშაობს ეს კუთხეები სკოლებში?

– კუთხეების გააქტიურება თავად პედაგოგებსა და სკოლის დირექციაზეა დამოკიდებული. ჩვენ პირველი ნაბიჯი გადავდგით. უნდა აღინიშნოს, რომ ინტერესი მოსწავლეების მხრიდან აშკარად არის.

რა მნიშვნელობა აქვს სკოლებში მსგავსი კუთხეების არსებობას?

– ეს პასუხობს სწორედ იმ სტრატეგიულ გეგმას, რაც ჩვენი მთავრობის მიერ არის გაცხადებული. ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკური კურსია: ევროინტეგრაცია, დაახლოება ევროპულ გაერთიანებასთან, ევროკავშირთან. ევროკავშირის მხრიდან საქართველოსთან პარტნიორობის მზადყოფნის დემონსტრირებაა „აღმოსავლეთის პარტნიორობა“: „ევროკავშირი სერიოზულ მხარდაჭერას გაუწევს პარტნიორებს მათ მცდელობებში, დაუახლოვდნენ ევროკავშირს და ყველანაირად დაეხმარება მათ იმ რეფორმების გატარებაში, რომლებსაც ეს დაახლოება გულისხმობს, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში შექმნილი სპეციალური აღმოსავლეთის პარტნიორობის მექანიზმის მეშვეობით“. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რომ მოსწავლემ უფრო მეტი იცოდეს ევროპული ღირებულებების შესახებ. მას უნდა ესმოდეს, რა არის ევროპა და რა ღირებულებების მატარებელია იგი. განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, დიმიტრი შაშკინმა ბრძანა, რომ, ახალი სასწავლო გეგმის მიხედვით, სამომავლოდ, სკოლებში საგნების 40% არჩევითი იქნება. ვფიქრობ, ამ 40%-ის ფარგლებში, სასურველი იქნებოდა ევროკავშირის ისტორიის, ევროპული ინტეგრაციის ისტორიის კურსების შეტანა. მსოფლიო ისტორიის კურსში შესულია საკითხები ევროინტეგრაციის შესახებ, თუმცა ცალკე კურსის არსებობა მაინც გამართლებული იქნებოდა.

ევროპული კუთხე 42-ე საჯარო სკოლაშიც გაიხსნა. დავინტერესდით, თუ რა როლს ასრულებს სკოლის ცხოვრებაში ეს კუთხე, რამდენად დიდია მოსწავლეების აქტიურობა და სკოლის დირექტორს, ***ალუდა გოგლიჩიძეს*** გავესაუბრეთ:

– გვაქვს მოსწავლეთა პროგრამები, რომლებიც მიზნად ისახავს მათი ინტერესებისა და ინტელექტუალური პოტენციალის რეალიზებას, თავისუფალი დროის ეფექტურად მართვაში მათ დახმარებას. ვცდილობთ, მოსწავლისათვის სკოლა მრავალფეროვანი იყოს. მას უნდა ჰქონდეს არჩევანის თავისუფლება და უნდა შეეძლოს, საკუთარი ინტერესის სფეროში გამოიჩინოს თავი. ამისათვის ყალიბდება კლუბები, სადაც მოსწავლეები თავად გეგმავენ და ახორციელებენ ღონისძიებებს. მსგავსი კუთხეები საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ბავშვი ორგანიზებულობას, გუნდურ მუშაობას, ლიდერის არჩევას ეჩვევა. სამი თვეა, რაც მოსწავლეთა პროგრამების კოორდინატორი ავიყვანეთ, რომელიც ევროინტეგრაციის კლუბში აღნიშნულ პროგრამებს კურირებს. ამ კლუბის ამოცანა ისიც არის, რომ ბავშვებმა გამოიმუშავონ ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც მათ პროექტის სრულფასოვნად დაგეგმვაში დაეხმარებათ. კოორდინატორი, ტრიმესტრში ერთხელ, პროექტების შესახებ ტრენინგ-კურსს აცხადებს. მასში მოსწავლეები სურვილისამებრ ეწერებიან. უფრო და უფრო იზრდება მათი აქტიურობა და ჩართულობა მსგავს ღონისძიებებში.

რამდენად დიდია მათი ინტერესი ევროინტეგრაციის კლუბისადმი?

– ინტერესი მზარდია. ამ ეტაპზე ვგეგმავთ, თითოეულ სართულზე საინფორმაციო დაფები გავაკეთოთ, სადაც ევროინტეგრაციის კლუბის შესახებ ინფორმაცია განთავსდება. ვერც კი წარმოიდგენთ, მოსწავლეები რამდენად კარგად სტრუქტურირებულ პროექტებს წერენ, ბუნებრივია, თავიანთი ასაკისთვის შესაფერისს.

კიდევ რას აძლევს მოსწავლეს ევროპული კუთხე?

– ამ მოსწავლეებმა კარგად იციან ისტორია და, რაც მთავარია, ისინი უფრო და უფრო კარგად აცნობიერებენ ქვეყნის ღირებულებებს. ჩვენი ამოცანაა, ბავშვის დამოკიდებულების ჩამოყალიბებისას მისი პროვოცირება მოვახდინოთ. მაგალითად, მოსწავლეები სვამენ შეკითხვას: „რა არის საჭირო, რომ საქართველო ევროკავშირში გაწევრიანდეს?“ როცა მოსწავლეს პასუხის მოსმენა სურს, ეს უკვე შედეგია. ხვალ მან დამოუკიდებლად უნდა მოძებნოს პასუხი. ბავშვებს უნდა ვასწავლოთ, რომ მზა რეცეპტები არ არსებობს. მათი ინფორმირებულობა კი პირველი ნაბიჯია განათლებისა და სამოქალაქო პოზიციის ჩამოყალიბების გზაზე. ამიტომაც ვთვლი, რომ ევროპულ კუთხეს მრავალმხრივი მიზნები აქვს: ის მოსწავლეს ეხმარება, მოემზადოს დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, უფრო მეტად თვითორგანიზებული იყოს, მიეჩვიოს ჯგუფურ მუშაობას. მხოლოდ ცოდნა არ არის საკმარისი, სამოქალაქო პოზიციის ჩამოყალიბებაც არანაკლებ მნიშვნელოვანია.

წარმატებული სკოლა

თანამშრომლობის მაგალითი

ჟურნალი „მასწავლებელი“ სამტრედიის მე-11 საჯარო სკოლის სტუმარია

ჩვენს ქვეყანაში ბევრი სკოლა წარმატებით ახორციელებს საკუთარ მისიას, გამოირჩევა სწავლების მაღალი ხარისხით, მოსწავლეთა წარმატებებით, ინოვაციური საქმიანობით. სწორედ ასეთია სამტრედიის მე-11 საჯარო სკოლა. „ვერ გეტყვით, ვისი დამსახურებაა ჩვენი სკოლის წარმატებები და მიღწევები. ჩვენ გუნდური პრინციპით ვხელმძღვანელობთ და სკოლის ცხოვრებაში ყველას მოკრძალებული წვლილი შეგვაქვს“, – გვეუბნება სკოლის დირექტორი ლენა ხაჟალია.

ირაკლი კაკაბაძე

სამტრედია ერთ-ერთი მთავარი სარკინიგზო ცენტრი იყო ამიერკავკასიაში. მე-11 სკოლის ადგილზეც ამიერკავკასიის რკინიგზის სკოლა ფუნქციონირებდა. დღეს სკოლაში 870-მდე მოსწავლე სწავლობს, სასწავლო პროცესით მათ დაინტერესებას და წარმატებას კი 62 პედაგოგის ძალისხმევა განსაზღვრავს.

სკოლაში შესვლისთანავე იგრძნობთ, რომ თანამედროვე ტიპის სასწავლებელში მოხვდით: ყველა კუთხესა და ოთახს მზრუნველი ხელი ეტყობა, საგნობრივი კაბინეტები კარგად აღჭურვილი და გამართულია, სათანადოდ არის მოწყობილი სპორტული დარბაზი და მოედანი. ყველა საკლასო ოთახში შეგხვდებათ სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება. ერთი სიტყვით, აქ საუკეთესო გარემო და ყველა პირობაა ხარისხიანი განათლების მისაღებად.

„გვაქვს სკოლის სტრატეგიული გეგმა, რომლითაც ვხელმძღვანელობთ. ყველა ტრიმესტრის დასაწყისში მასწავლებლები სილაბუსსა და გაკვეთილის გეგმებს ამზადებენ, რომელებსაც საგნობრივი კათედრები განიხილავენ და ამტკიცებენ. ჩვენი აუცილებელი მოთხოვნაა, რომ გაკვეთილზე გამოყენებული უნდა იყოს თანამედროვე ტექნიკური საშუალებები. ასევე, გვაქვს ტრადიცია, რომელსაც სისტემატურად ვახორციელებთ: მასწავლებლები ამზადებენ მასალებს თანამედროვე

მეთოდებისა და სტრატეგიების, ახალი მეთოდური სახელმძღვანელოების შესახებ და შემდეგ, პრეზენტაციის სახით, კოლეგებს წარმოუდგენენ. ეს კიდევ ერთი საშუალებაა სერტიფიცირების გამოცდებისთვის მოსამზადებლად“, – გვიყვება სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე **ნათელა ქუთათელაძე**.

პედაგოგები ცდილობენ, რომ ბავშვებმა საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავლინონ და ისეთი უნარ-ჩვევები შეიძინონ, რომლებიც მომავალში საზოგადოებრივ საქმიანობას გაუადვილებთ. ამისთვის ბევრი წრე ფუნქციონირებს და რამდენიმე პროექტი ხორციელდება. სკოლას საკუთარი თოჯინების თეატრი და დებატების კლუბი აქვს. ბავშვები უფასოდ სწავლობენ კალათბურთს, ფეხბურთს და ფრენბურთს. ასევე, სკოლა თავისი ხარჯით უზრუნველყოფს გახანგრძლივებულ სწავლებას და ამგვარად ეხმარება იმ მშობლებს, რომლებსაც დროის დეფიციტი აქვთ.

მნიშვნელოვანი და საინტერესო პროექტია „პარასკევის სკოლა“, რომელსაც სკოლის ბიბლიოთეკარი **გულჩინა ქავთარია** ხელმძღვანელობს: „პედაგოგთა რეკომენდაციით, ყოველ პარასკევს ბიბლიოთეკაში ვმუშაობ იმ ბავშვებთან, რომლებიც აკადემიურად ჩამორჩენილები არიან, ან რომლებსაც, გაცდენის გამო, გამოტოვებული აქვთ ახალი მასალა. პროექტი წარმატებული აღმოჩნდა, რადგან მოსწავლეების აკადემიური მოსწრება გაიზარდა და მასწავლებლები ასეთი მეცადინეობის შედეგს ხედავენ. ბავშვებიც მონდომებულები არიან და აქტიურად თანამშრომლობენ. უხარიათ, რომ ვეხმარებით და მარტო არ უწევთ სირთულეებთან შეჭიდება“.

სამტრედიის მე-11 სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მე-15 საჯარო სკოლა-პანსიონთან, სადაც პრობლემური ქცევის მქონე ბავშვები სწავლობენ. პარტნიორ სკოლასთან ურთიერთობას **მადონა კერელეიშვილი** წარმართავს, რომელიც დიდი სიყვარულითა და რუდუნებით უდგება ამ საქმეს. მას კარგად ესმის, რამდენად აუცილებელია ამ მოზარდების ჩართვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და რა სიკეთეების მოტანა შეუძლია ამგვარ მეგობრობას: „მე-15 სკოლა ჩვენი პარტნიორი სკოლაა. მასთან თბილი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. რაც მთავარია, მოსწავლეები ნამდვილ მეგობრებად იქცნენ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ამ ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაცია პრობლემა აღარ იქნება. ხშირად ვაწყობთ ერთობლივ ღონისძიებებს, სადაც ისინი ტოლს არ უდებენ ჩვენს ბავშვებს აქტიურობასა და მონდომებაში. გრანტიც მოვიპოვეთ და მისი მეშვეობით უფრო დიდი მასშტაბი მივეცით ჩვენს საქმიანობას. მინდა, განსაკუთრებულად გამოვყო სპექტაკლი, რომელშიც ჩვენი და მე-15 სკოლის მოსწავლეები ერთად მონაწილეობდნენ. მათ ნამდვილი მსახიობებისგან ვერ გაარჩევდით“.

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა სკოლის ტურისტულ ჯგუფს ხელმძღვანელობს, რომელშიც უფროსკლასელები არიან გაერთიანებული. „მინდა, აღვნიშნო მოსწავლეთა დიდი ინტერესი ჩვენი ქვეყნის ისტორიული და კულტურული ძეგლების მიმართ. ისინი თავად ამზადებენ ექსკურსიებისა და ლაშქრობებისთვის საჭირო რუკებს. ჩვენი მიზანია, მათ კარგად იცოდნენ საკუთარი ქვეყანის ისტორია, გეოგრაფია და უფრთხილდებოდნენ ისტორიულ ძეგლებსა და გარემოს. მიხარია, რომ შორს არ ვართ ამ მიზნისგან. პარალელურად ვაწყობთ საგნობრივ კონფერენციებს. ბოლო კონფერენციაზე მოსწავლეებმა კვლევები წარმოადგინეს, რომლებიც საკუთარი სოფლებისა და საცხოვრებელი ადგილების ისტორიას შეეხებოდა“, – გვიყვება **ნანა მანჯგალაძე**, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის გამგე.

სკოლას დიდი გამოცდილება აქვს დაწყებითი განათლების სფეროშიც. რა თქმა უნდა, ამას მასწავლებელთა ის გუნდი განაპირობებს, რომელიც ამ საფეხურზე მუშაობს: „ჩვენი ამოცანაა, ცოდნასთან ერთად, მოსწავლეებს საზოგადოებაში მოქცევის, ერთმანეთის პატივისცემისა და გუნდური მუშაობის ელემენტარული უნარ-ჩვევები ჩამოვუყალიბოთ. ამ საქმეში ძალიან გვეხმარება ის, რომ სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი – ნინო ლორთქიფანიძე. მასთან ერთად ყოველდღიურად ვმუშაობთ მოსწავლეებთან. გვინდა, რომ ისინი უფრო გახსნილები, გულახდილები და მეგობრულები იყვნენ. თვე არ ჩაივლის, კლასის დამრიგებლებმა კლასგარეშე ღონისძიება არ ჩაატარონ“, – გვეუბნება კლასგარეშე მუშაობის კოორდინატორი **თინათინ მელქაძე.**

მათემატიკის მასწავლებელი **მურმან კაშია** არა მხოლოდ მოსწავლეთა საყვარელი მასწავლებელია, არამედ კოლეგებს შორისაც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. ის ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც სასერტიფიკაციო გამოცდებზე გასვლის სურვილი გამოთქვა. ამბობს, რომ გამბედაობას გამოცდილება და საკუთარი საქმის სიყვარული აძლევს. „ბატონი მურმანის მსგავს პროფესიონალებზე დგას მომავლის სკოლა. პირად ინიციატივებზეა დამოკიდებული სკოლის წარმატება. ძალიან უნდა გიყვარდეს შენი საქმე და უნდა გჯეროდეს, რომ უდიდეს მისიას ასრულებ. თუ წარმატებას ვაღწევთ, ეს ერთობლივი ძალებით და ერთობლივი მუშაობით ხდება. ჩვენი საიდუმლო გუნდურ მუშაობაშია“, – თავის შეხედულებებსა და გამოცდილებას **ლენა ხაჟალია** გვიზიარებს, რომელიც მართლაც გამორჩეული, საინტერესო და სანიმუშო სკოლის დირექტორია.

მერი გირკელიძე

რას წარმოადგენს გარდამავალი ასაკი

მოზარდობა ბავშვობასა და ზრდასრულობას შორის არსებული პერიოდია. ის 11-დან 18 წლამდე გრძელდება. ამ ასაკში ხდება სქესობრივი მომწიფება, რომელიც განაპირობებს როგორც მოზარდის ფიზიკურ ცვლილებებს, ასევე მისი ემოციებისა და ქცევის შეცვლას. იზრდება კიდურები, მატულობს სიმაღლე, იცვლება სხეულის ფორმები. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ მოზარდებს უჭირთ ქცევის კონტროლი, რაც თავად მათშიც დისკომფორტის განცდას იწვევს. ამ დროს უფროსების უკმაყოფილება კიდევ უფრო ამძაფრებს მათ დაძაბულ ემოციურ მდგომარეობას და ისინი ყველას მიმართ აგრესიულები ხდებიან.

> მოზარდი პირველად დგება იმ პრობლემების წინაშე, რომლებიც ახლა პირადად მისი გადასაწყვეტია. იგი აცნობიერებს, რომ მუდამ უფროსების მფარველობის ქვეშ ვერ იქნება.

გარდამავალი ასაკის მოზარდი ნახევრად ბავშვი და ნახევრად ზრდასრულია. რთული შუალედური მდგომარეობა, რომელიც მას უჭირავს სოციალურ ურთიერთობებში, მისი პიროვნების წინააღმდეგობრივ თავისებურებებს განაპირობებს. ამ დროს ვითარდება ნამდვილი, შეგნებული პიროვნება, როგორც თვითგანვითარებადი, თვითრეგულირებადი სუბიექტი. მოზარდი იწყებს ე.წ. „დამოუკიდებლობის მაქსიმალიზმის“ პოზიციის დაკავებას. ჩნდება მოწიფულობის განცდა, რაც ხელს უწყობს ცნობიერების განვითარებას.

ხასიათის სწრაფი ცვლა არა მხოლოდ ბიოლოგიური ფაქტორით, არამედ სოციალური გარემოს ზეგავლენითაც არის განპირობებული. მოზარდი პირველად დგება იმ პრობლემების წინაშე, რომლებიც ახლა პირადად მისი გადასაწყვეტია. იგი აცნობიერებს, რომ მუდამ უფროსების მფარველობის ქვეშ ვერ იქნება: მან დამოუკიდებლად უნდა იარსებოს, საკუთარი ადგილი დაიმკვიდროს. ამ პრობლემების გადასაჭრელად აუცილებელია, მოზარდმა გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება და პასუხისმგებლობის აღება იცოდეს. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია სხვების დამოკიდებულება მის მიმართ: ამ დროს ხომ ინტერესი საკუთარი პიროვნების მიმართ მეტად გაძლიერებულია.

ამ პერიოდში ბავშვი ინტელექტუალურადაც ვითარდება. კონკრეტული აზროვნება იცვლება განზოგადებული აზროვნებით, განვითარებას იწყებს დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნება. მოზარდი კრიტიკულად აფასებს სხვათა ნააზრევს, ცდილობს, ჰქონდეს საკუთარი შეხედულებები. ხშირად ამგვარი აზროვნება მომწიფების პროცესშია და ლოგიკურ საფუძველს მოკლებულია. კრიტიკულობა გამოწვეულია ასაკისთვის დამახასიათებელი სიჯიუტით, ნეგატივიზმით და უფროსებისადმი ბავშვური მორჩილებისაგან თავის დაღწევის მოთხოვნილებით.

ამ ასაკის ძირითადი მახასიათებლებია: ორიენტაცია აწმყოზე (მოზარდებს აინტერესებთ აქ და

ამჟამად მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, და არა დროში გადავადებული შედეგები), საკუთარი თავის წარმოჩენა და აფიშირება, თანატოლთა მიერ აღიარების მოთხოვნილება (აუცილებელია, ამ მოთხოვნილების პოზიტიური რეალიზაცია მოხდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვი ქუჩაში დაიწყებს თვითდამკვიდრებას).

მოზარდს უნდა ვასწავლოთ: თანამშრომლობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება, პასუხისმგებლობის აღება. ის საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურად უნდა ჩავრთოთ. უნდა ვეცადოთ, მისაბაძი ადამიანები მოვუძებნოთ და დადებითი იდეალების ფორმირება შევძლოთ, რათა თავიდან ავიცილოთ ნეგატიურ პიროვნებათა გავლენა.

თუ ბავშვებს პატარაობიდანვე დავაკისრებთ მათი უნარების შესაბამის მოვალეობებს, საკუთარი თავის მიმართ პატივისცემას განვუმტკიცებთ, ეს კი მომავალში წარმატებული პიროვნების ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. ნუ ვიქნებით ორიენტირებული შენიშვნებზე, ნუ მოვთხოვთ მათ იმაზე მეტს, რაც შეუძლიათ.

რამდენიმე რჩევა

როგორ გავაუმჯობესოთ ურთიერთობა მოზარდებთან?

ბავშვს სიყალბეს ვერ გამოვაპარებთ. ამიტომ ვეცადოთ, სამართლიანები ვიყოთ, ყველას თანასწორად მოვექცეთ.

ყურადღება მივაქციოთ მოსმენის უნარს და დავხვეწოთ აქტიური მოსმენის ხელოვნება. კარგი მსმენელი მოსაუბრეს სათქმელის გულღიად გამოხატვას უადვილებს. აქტიური მოსმენა ორი ადამიანის თანასწორი ურთიერთობის საწინდარია.

როცა მოზარდი საუბრობს, ყურადღებით მოვუსმინოთ. ნუ შევაწყვეტინებთ.

მნიშვნელოვანია, გამოვხატოთ, რომ გვესმის მოსაუბრის ემოციების. ეს მას საკუთარი გრძნობების გაცნობიერებაში დაეხმარება.

შევაფასოთ არა პიროვნება, არამედ მისი ქცევები! ვუთხრათ: „შენ არ მოიქეცი კარგად“ და არა: „შენ ცუდი ხარ!“

გამოვიყენოთ მეგობრული ჟესტები (ხელის ჩამორთმევა და ა.შ.).

მოვერიდოთ საყვედურის მიცემას თანატოლთა თანდასწრებით.

ყოველთვის ავუხსნათ პრობლემის არსი. ეს მას საკუთარი თავის რწმენას და თქვენს პატივისცემას განუმყარებს.

ჩვენი ტონი და მეტყველება შევუსაბამოთ მოზარდის ასაკს.

ნუ დავადანაშაულებთ და ნუ გავაკრიტიკებთ: ველაპარაკოთ მას ჩვენს განცდებზე, იმაზე, თუ რა ვიგრძენით მისი ამა თუ იმ საქციელის გამო.

მოზარდების ცინიზმი, აგრესია ხშირად თავდაცვის მექანიზმია. მათ მიღმა სერიოზული პრობლემები იმალება. ამიტომ ვეცადოთ, მოთმინება გამოვიჩინოთ.

დავინტერესდეთ მათი საქმიანობით, ვასწავლოთ დროის სწორად განაწილება, რეალისტური მიზნების დასახვა და შეძლებისდაგვარად დავეხმაროთ მათი განხორციელების გზების ძიებაში.

ხაზი გავუსვათ მათ პოზიტიურ თვისებებს, პოტენციალს.

ვეცადოთ, მოზარდისთვის მაგალითი ვიყოთ. ნუ მოვთხოვთ მას იმას, რასაც თავად არ ვაკეთებთ.

ვეცადოთ, ჩვენი მიდგომები იყოს შემოქმედებითი, და არა რუტინული.

ნინო ბოლქვაძე

ოჯახური პრობლემები
და მასწავლებელი

განქორწინება აქტუალური თემაა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. განქორწინებულთა რიცხვი ყოველწლიურად საგრძნობლად იზრდება. ასევე, იზრდება იმ ბავშვების რაოდენობაც, რომელებიც მშობლების ცალ-ცალკე ცხოვრებით დაზარალდნენ.

> მასწავლებლის სიფრთხილეზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ის მოსწავლის მრჩეველი შეიძლება გახდეს, თუ ამის სურვილს მოზარდი თავად გამოთქვამს. ასეთ დროს მისთვის ყველაზე მთავარი სწორედ მასწავლებლის მხარდაჭერაა.

მშობლების განქორწინება ნებისმიერი ასაკის ბავშვისთვის მძიმე ტრავმაა. კვლევების თანახმად, ბავშვი მხოლოდ მაშინ გადაიტანს მშობლების განქორწინებას შედარებით უმტკივნეულოდ, თუ მას ორივე მშობელთან სისტემატური კონტაქტი ექნება. ამ დროს მას აღარ უნდა სწავლა, გონებაგაფანტულია, აგრესიულია, საკუთარ თავში ჩაკეტილია. მსგავს სიტუაციაში მასწავლებელს შეუძლია, მრჩევლის როლი შეასრულოს მშობლისთვის, მოსწავლეს კი თანადგომა გაუწიოს.

როგორია ბავშვის ფსიქიკური მდგომარეობა მშობლების გაშორებისას? ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემისას, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ბავშვის ასაკი, რადგან ის სწორედ ასაკიდან გამომდინარე რეაგირებს პრობლემებსა და სირთულეებზე.

მშობლების შეცდომა ის არის, რომ ისინი შვილებს სათანადოდ არ უხსნიან გაშორების მიზეზებს და არც მომავალი ცხოვრების გეგმას აცნობენ. ბავშვებს, უმრავლეს შემთხვევაში, ორივე მშობელი უყვართ. კვლევები იმასაც ადასტურებს, რომ დანგრეული ოჯახების ბავშვების 82%-ს ისევ ისე უყვარს მშობლები და მათთან ინტენსიური კონტაქტი სურს. გამოკითხულ ბავშვთა 75%-ს უნდა, რომ მშობლები შერიგდნენ და ისევ ერთად იცხოვრონ.

არცთუ იშვიათად, მშობლები გაშორების მიზეზად იმას ასახელებენ, რომ მათ ერთმანეთი აღარ უყვართ და ხშირად ჩხუბობენ. ასეთი ახსნის შემდეგ შესაძლოა ბავშვს სიყვარულის რწმენა დაეკარგოს. ის იწყებს ფიქრს: „თუ დედაჩემის და მამაჩემის სიყვარული დასრულდა, ვინ იცის, იქნებ მათი ჩემდამი სიყვარულიც გაქრეს, ჩვენც ხომ ხშირად ვჩხუბობთ...“

ბავშვები შეიძლება ვერ ხვდებიან, ოჯახში რა ხდება და ამის თაობაზე აზრს ვერ გამოხატავენ, მაგრამ ისინი გრძნობენ, რომ ირგვლივ სიმშვიდე არ სუფევს. ამის გამო სხვაგვარად მოქცევას იწყებენ: ხშირად ტირიან, გამუდმებით დედასთან ყოფნის სურვილს გამოთქვამენ, ზოგიერთ შემთხვევაში, აგრესიულები ხდებიან. ამიტომ მშობლები ვალდებულები არიან, ბავშვს აუხსნან, თუ რა ხდება სინამდვილეში და მეტი ყურადღება დაუთმონ მათ.

გამოკვლევების შედეგებმა გვიჩვენა, რომ მშობლების განქორწინება ბავშვისთვის ფსიქიკური ტრამვაა. მას შესაძლოა მოჰყვეს: სწავლის მიმართ ინტერესის დაკარგვა, მასწავლებლებთან გართულებული

ურთიერთობები, საკუთარ თავში ჩაკეტვა, დეპრესია და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ისეთი ბავშვებიც არსებობენ, რომლებიც სულ სხვაგვარად რეაგირებენ მშობლების გაშორებზე. ისინი შესამჩნევ რეაქციას არ გამოხატავენ, მაგრამ ოჯახში ცვლილებას უდავოდ განიცდიან. თითქმის ყველა ბავშვი ასეთ სიტუაციაში თავს იდანაშაულებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მშობლების კამათს ისმენს. ამიტომ მშობელმა ბავშვს ხშირად უნდა გაუმეოროს, რომ ის განქორწინების მიზეზი არ არის.

გაშორებული მშობლების შედარებით უფროსი შვილების (11-12 წლის) განცდებს სირცხვილის გრძნობა ემატება. მათ საკუთარი ოჯახური მდგომარეობის თაობაზე თანატოლების აზრი აღელვებთ. გარდატეხის ასაკი (ამ ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნებიან საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები) რთული პერიოდია ბავშვის ცხოვრებაში. ამ დროს ყალიბდება მისი პიროვნება. ის იდენტობას ეძებს, საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრებას ცდილობს, პროტესტს გამოთქვამს, მშობლებს ხშირად ეკამათება და ა.შ. მოზარდი ხედავს და ესმის, თუ რა ხდება ოჯახში. ზოგიერთი მომხრეა კიდეც, რომ მისი მშობლები გაშორდნენ, რათა დაძაბულობა და გაუთავებელი ჩხუბი საბოლოოდ დასრულდეს. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც რთულად ეგუებიან მშობლის სახლიდან წასვლას.

როდესაც ბავშვის აკადემიური მოსწრება და საქციელი უარესდება, შესაძლოა, ამის მიზეზი მშობლებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტი იყოს. ასეთ სიტუაციაში მასწავლებლის სიფრთხილეზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ის მოსწავლის მრჩეველი შეიძლება გახდეს, თუ ამის სურვილს მოზარდი თავად გამოთქვამს. ასეთ დროს მისთვის ყველაზე მთავარი სწორედ მასწავლებლის მხარდაჭერაა.

სასკოლო ცხოვრებამ მოსწავლეზე დადებითი ემოციური გავლენა უნდა მოახდინოს. კეთილგანწყობილი და მზრუნველი გარემო მას ოჯახური სიძნელეების დაძლევაში დაეხმარება. თუმცა მასწავლებელი ზედმეტად არ უნდა ჩაერიოს ოჯახურ საკითხებში. მას შეუძლია, პედაგოგიური რჩევები მისცეს მშობელს, მასთან ითანამშრომლოს, რათა ისინი ერთობლივად დაეხმარონ ბავშვს რთული პერიოდის გადალახვაში. მოსწავლის ფსიქიკურ მდგომარეობას მასწავლებლის გულისხმიერი დამოკიდებულება ბევრად გააუმჯობესებს.



ბედნიერებაა, თუ ხვდები, რომ შენი ადგილი იპოვე

„სკოლაში რომ შემოვდივარ, ყველაფერს, რაც ჩემს ცხოვრებაში ხდება, ზღურბლთან ვტოვებ. ამას ყოველგვარი გაზვიადების გარეშე ვამბობ. მაგრამ, როცა აქედან გავდივარ, აქაური ყველაფერი თან მიმაქვს. ყველაზე მეტად იცით რა მეხმარება? – ძალიან გულწრფელი ვარ ბავშვებთან. ამას კარგად გრძნობენ და ალბათ ეს არის გადამწყვეტი ჩვენს ურთიერთობაში.“

მაია რაზმაძე

> მასწავლებლობა ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვან პროფესიად მიმაჩნდა. ბევრჯერ მიფიქრია, შევძლებდი თუ არა, სხვაგან მემუშავა, თუნდაც გაცილებით დიდი ანაზღაურების გამო. დარწმუნებული ვარ, საკუთარი თავის რეალიზებას სხვაგან ვერ მოვახდენდი.

თვითონ 181-ე სკოლაში სწავლობდა. ყველაზე თბილად კლასის დამრიგებელი – ლია ნიშნიანიძე ახსენდება. ცდილობს, ასეთივე მასწავლებელი იყოს თავისი მოსწავლეებისთვის. ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტურა დაამთავრა. რვა წელია, მე-10 საჯარო სკოლის პედაგოგია, თან ძალიან წარმატებული. მართლაც დიდი წარმატებაა, როცა მოსწავლეებსა და კოლეგებს ერთნაირად უყვარხარ.

ჟურნალი „მასწავლებელი“ მირანდა ლომოურის შესახებ გიამბობთ.

არჩევანი – პედაგოგი

– თავიდან ჟურნალისტობა ვცადე. ეს პროფესია ბავშვობიდან ძალიან მომწონდა.

ცოტა ხანს გაზეთში ვიმუშავე და მივხვდი, ჩემი საქმე არ იყო. ერთმა ამბავმაც მომცა ბიძგი, პედაგოგი გავმხდარიყავი. უნივერსიტეტის დამამთავრებელ კურსზე პრაქტიკები გვქონდა ვაკის ერთ-ერთ სკოლაში. ექვსი სტუდენტი ვიყავით მივლინებული. გაკვეთილებს ვატარებდით და ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელი და პედაგოგები გვაფასებდნენ. გაკვეთილის ჩატარება მომიწია კლასში, რომელშიც სკოლის ყველაზე „ძნელად აღსაზრდელი“

მოსწავლე სწავლობდა. კარგად მახსოვს, „ვეფხისტყაოსნიდან“ ტარიელის და ნესტან-დარეჯანის თათბირი უნდა ამეხსნა. ძალიან ვღელავდი. ცხადია, აქცენტს „ძნელად აღსაზრდელზე“ ვაკეთებდი. ჩემდა გასახარად, ყურადღებით მისმენდა. გაკვეთილი დადებითად შეფასდა ხელმძღვანელის და პედაგოგების მიერ. პრაქტიკების ბოლო დღეს კი ყველა ერთ ოთახში ვიყავით შეკრებილი საბოლოო შეფასების მოსასმენად, როცა კარი გაიღო, ოთახში იმ „ძნელად აღსაზრდელმა“ შემოიხედა, ხელი ჩემკენ გამოიწოდა და თქვა: სხვები არ ვიცი, მაგრამ ამას ხუთიანს ვუწერო. ეს შეფასება არასდროს დამავიწყდება.

მასწავლებლობა ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვან პროფესიად მიმაჩნდა. ბევრჯერ მიფიქრია, შევძლებდი თუ არა, სხვაგან მემუშავა, თუნდაც გაცილებით დიდი ანაზღაურების გამო. დარწმუნებული ვარ, საკუთარი თავის რეალიზებას სხვაგან ვერ მოვახდენდი. ბედნიერი ხარ, როცა ხვდები, რომ შენი ადგილი იპოვე. შეიძლება ხმამაღალი ნათქვამი გამომივიდეს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ჩემი არჩევანი შედგა.

სირთულეები

– ჩემი პროფესია ძალიან დიდ ენერგიას მოითხოვს. მე კი მაქსიმალისტი ვარ: საქმეს თუ ხელს მოვკიდებ, აუცილებლად კარგად უნდა გავაკეთო. როცა მასწავლებელი ხარ, უნდა შეგეძლოს ზოგჯერ მოსწავლის ტოლი გახდე და მისი თვალით შეხედო ბევრ რამეს. ჩემი აზრით, ეს აუცილებელია. პედაგოგობა რომ დავიწყე, ისე მოხდა, სულ მაღალ კლასებს ვასწავლიდი. ახლა, მე-11-სთან ერთად, მე-5 კლასსაც ვასწავლი. დაბალ კლასებში სასწავლო პროცესის წარმართვას თავისებური ხიბლი აქვს. მეხუთეკლასელებთან ილიასა და აკაკის ისე მიტანას თუ შეძლებ, რომ მათ მაღალ კლასებში უკვე კარგი საფუძველი ჰქონდეთ, ზუსტად და სწორად ხვდებოდნენ, ვისთან და რასთან აქვთ საქმე, ეს ნიშნავს, რომ სწავლის პროცესი წარმატებით შედგა. ეს რთული და საინტერესო გამოწვევაა.

დამრიგებლობა – რთული მისია თუ საინტერესო გამოწვევა

– როცა დამრიგებელი ხარ, კიდევ უფრო მეტად გრძნობ ბავშვების სიყვარულს. აქ კიდევ უფრო სხვა, განსაკუთრებული დამოკიდებულებაა. დატუქსვაც და მოფერებაც ზუსტად უნდა გაზომო, საამისო დრო შეარჩიო. ფსიქოლოგთან ერთად თითოეული ბავშვის ფსიქოლოგიურ პორტრეტს ვადგენ, რომ არაფერი გამომრჩეს მათთან ურთიერთობისას. მართალია, ძალიან მეგობრული ურთიერთობა მაქვს ჩემს მოსწავლეებთან, მაგრამ ზღვარი არასდროს იკარგება არც მათი და არც ჩემი მხრიდან. ისინი ყოველთვის ისე აღმიქვამენ, როგორც უფროსს, მათ მასწავლებელს. შეიძლება ზოგიერთმა გითხრათ, რომ მკაცრიც ვარ. ვცდილობ, ისეთი ვიყო, როგორიც კლასს თუ რომელიმე მოსწავლეს სჭირდება.

სიახლეთა კვალდაკვალ

– ყოველთვის ვცდილობ, ყველა სიახლეს თვალი მივადევნო. ინტერნეტში მუდმივად ვათვალიერებ ჩვენთვის მნიშვნელოვან საიტებს. ძალიან მომწონს ინტერაქტიური მიდგომები. პედაგოგიკა განვითარების პროცესია. ზუსტად ვიცი, რომ ბავშვები კითხვას ერთ გაკვეთილზე ვერ ისწავლიან. ვცდილობ, ამ პროცესს ფეხი ავუწყო და არაფერი გამომრჩეს. ინტერაქტიური მეთოდები კი იმის გამო მომწონს, რომ ისინი მოსწავლეზეა ორიენტირებული და მეხმარება მათი შესაძლებლობების გამოვლენაში. ამ დროს კარგად ჩანს ბავშვის კრიტიკული აზროვნების, შემეცნებითი უნარები, დამოუკიდებლობის ხარისხი.

ახალგაზრდა კათედრის გამგე

– სკოლაში, უკვე სამი წელია, კათედრები არსებობს. თავიდან საგნობრივი ჯგუფები იყო, რომლებიც შემდეგ კათედრებად გაერთიანდა. სულ ოთხი კათედრაა. თითოეულს თავისი სამოქმედო გეგმა აქვს. მათი მთავარი მიზანია, მასწავლებლის სასწავლო გეგმის და ნოვაციების შესახებ კოლეგებს ინფორმაცია ჰქონდეთ. მეორე წელია, რაც ჰუმანიტარული კათედრის ხელმძღვანელად ამირჩიეს. ჰუმანიტარული კათედრა ფილოლოგებს, ისტორიკოსებს, გეოგრაფებს, მუსიკის, ხელოვნების და ეკონომიკის პედაგოგებს გვაერთიანებს. ხშირად ვახდენთ მონიტორინგს: ერთმანეთს ვესწრებით გაკვეთილზე და როგორც კი საინტერესო სიახლეს აღმოვაჩენთ, პრაქტიკაში გამოყენებას ვგეგმავთ. შემდეგ ერთმანეთის შეფასებებს და შენიშვნებს ვისმენთ. ასე მუშაობს ჩვენი და დანარჩენი სამი კათედრა. კათედრებს შორის ჯანსაღი შეჯიბრი და კონკურენციაა. ეს ძალიან საინტერესოცაა და საქმისთვის სასარგებლოც.

ინკლუზიური სწავლება

– სანამ სკოლაში დავიწყებდი მუშაობას და გავიგებდი, რა არის ინკლუზია, არ ვიცოდი, როგორ უნდა მოვქცეულიყავი, როგორ უნდა გამომეხატა ჩემი დამოკიდებულება განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების მიმართ. სკოლაში მოსვლის მერე მივხვდი, რომ ისინი ჩვეულებრივი ბავშვები არიან არაჩვეულებრივი შინაგანი სამყაროთი.

სადამრიგებლო კლასში ორი ასეთი მოსწავლე მყავს: ირაკლი და მაია. ცხადია, მათ განსაკუთრებული მიდგომა სჭირდებათ. ინკლუზიური განათლების შესახებ განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებული სპეციალური ტრენინგები გავიარე. ამის შემდეგ ჩვენი სკოლის ფსიქოლოგთან და სამინისტროს მიერ ამ ბავშვებთან მოვლენილ ფსიქოლოგთან ერთად ვიმუშავე. მათ ვთხოვე, დეტალურად აეხსნათ ყველა ნიუანსი: რა უნდა გამეკეთებინა იმისთვის, რომ მაიას და ირაკლის ისე გაეგოთ გაკვეთილი, როგორც დანარჩენებს. ფსიქოლოგებმა ზუსტად ამიხსნეს, რა პრობლემა აქვს ერთსაც და მეორესაც. როცა ჯგუფურ მუშაობას ვგეგმავ, ორივესთვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ვადგენ. ზუსტად მაქვს განსაზღვრული, მოცემული მასალიდან რაზე უნდა გავამახვილო ყურადღება ამ მოსწავლეებთან.

ნამდვილად ასეა: ამ ბავშვების გვერდით ყოფნით დანარჩენები უფრო კარგები ხდებიან. მათ უკვე იციან, რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეთ ადამიანების მიმართ, როგორ დაეხმარონ, თანაუგრძნონ, იზრუნონ. ასე სწავლობენ ცხოვრებას. როცა ექსკურსიაზე მივდივართ, მთელი კლასი იწყებს ზრუნვას, რომ ყველა პირობა შექმნას ირაკლის და მაიას წამოსაყვანად. ეს ურთიერთობა განსაკუთრებით მახარებს.

დედამიწა
და მოსწავლეები

22 აპრილს დედამიწის დღისა და გარემოსდაცვითი მოძრაობის დაარსების მე-40 წლისთავი აღინიშნა. კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელმა, USAID-ის მხარდაჭერით, ბულაჩაურის მწვანე ცენტრში ექვსი რეგიონის 24 სკოლის მოსწავლეებს უმასპინძლა. ღონისძიების მიზანი ამ სფეროში მოზარდების ცოდნის ამაღლება, გარემოს დაცვის საკითხებზე ყურადღების გამახვილება და იმ საფრთხეების გააზრება იყო, რაც დღეს სამყაროს ემუქრება.

თამარ შველიძე

„კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია და ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება“ – ამ თემაზე სკოლის მოსწავლეებმა პოსტერები წარმოადგინეს. თითოეულ სკოლას თავის რეგიონში არსებულ პრობლემასა და მისი გადაჭრის გზებზე ჰქონდა ყურადღება გამახვილებული. ნაჩვენები იყო, თუ რა ზიანი მოუტანა დედამიწას ხე-ტყის გაჩანაგებამ, მდინარეების ადიდებამ, გვალვებმა, გარემოს დაბინძურებამ, გლობალურმა დათბობამ. აღნიშნული იყო ისიც, თუ რა კვალი დაამჩნია წაღვერის ტყეს რუსულმა აგრესიამ. ცნობილია, რომ ხანძრის შედეგად ფლორა და ფაუნა განადგურდა. ერთ-ერთმა მოსწავლემ დედამიწას დაბადების დღე სიმბოლურად – ხის დარგვით მიულოცა. კონკურსმა სამი გამარჯვებული სკოლა გამოავლინა, რომელიც სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ.

თამარ მთვარელიძე, *აღნიშნული პროექტის კოორდინატორი*: „ჩვენი პროექტი სკოლებში საგანმანათ-

ლებლო კამპანიას ითვალისწინებს. იგი საქართველოს სამ რეგიონში: კახეთში, აჭარასა და სამცხე-ჯავახეთში ხორციელდება. ეს ნამდვილი ზეიმია მოსწავლეებისთვის. პროექტის მიზანია გარემოს მოწყვლადობის შეფასება კლიმატის ცვლილების მიმართ და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, რაც სკოლებში საგანმანათლებლო კამპანიასაც გულისხმობს“.

მაკა ტოხიშვილი, *X კლასის მოსწავლე (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, ქვემო ქედის საჯარო სკოლა), პირველი ადგილის მფლობელი:* „გამოვსახე ჩემი საცხოვრებელი გარემო, რომელიც გლობალური დათბობის შედეგად შეიძლება სრულიად განადგურდეს. ჩვენთან ახლოსაა კავკასიონის მთები, მდინარე ალაზანი, გორები და სახნავ-სათესი მიწები, რომლებიც უწყლობის გამო ვერ ირწყვება. თუ არაფერს მოვიმოქმედებთ, კავკასიონზე თოვლი დადნება, წარმოიქმნება ნაპრალები, ჩამოვა გამდნარი თოვლი, მდინარის კალაპოტი დაპატარავდება და სახნავ-სათესი მიწები გამოუსადეგარი გახდება”.

დავით მარტინენკო, *XII კლასის მოსწავლე (ახალციხის მუნიციპალიტეტი, აწყურის საჯარო სკოლა), მეორე ადგილის მფლობელი:* „ნამუშევარი ასახავს იმ პრობლემებს, რომელიც ჩვენს სოფელს აქვს. 50 წლის წინ ჩრდილო-კავკასიიდან ჩამოტანილი ვერცხლისფერი ნაძვი ხმება და ვცდილობთ, გადავარჩინოთ. ასევე, წყლის ცხოველი – კავკასიური სალამანდრა გადაშენების პირასაა. ამ დღეებს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ვითარების გამოსწორება მთლიანად ჩვენს ხელთაა. ეს კარგად დავინახეთ იმ ლექციებიდან, რომლებიც სკოლებში ჩაგვიტარეს CENN-ის წარმომადგენლებმა“.

მანონ სურვანიძე, *XII კლასის მოსწავლე (ქედის მუნიციპალიტეტი, მელისის საჯარო სკოლა):* „საკუთარი ნახატებით წარმოვადგინე ის პრობლემები, რომლებიც ჩემს სოფელშია: მეწყერმა დააზიანა სავალი გზა, საფრთხე შეექმნა საცხოვრებელ სახლებს, გლობალური დათბობის შედეგად, ჩიტები ვერ გაფრინდნენ, შემოუტიეს ნათესებს და ხეხილი გაანადგურეს. შარჟით გამოვხატე ბიზნესმენი, რომელიც დედამიწას თავისი გამდიდრებისთვის იყენებს. ჩვენ უკვე ვზრუნავთ მომავალზე, დავრგეთ მომავლის ხეც“.

ჯონათან კონლი, *USAID-ის მისიის დირექტორი:* „დედამიწის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მოსწავლეების მონაწილეობა მნიშვნელოვანია. ისინი ცოდნას იღრმავებენ. ამ დღეს მეორმოცედ აღვნიშნავთ, რაც მოსწავლეების გათვითცნობიერებას ემსახურება. მათ ვასწავლით, თუ როგორ უნდა მოუარონ დედამიწას. პროგრამა მათ იმის გააზრებაშიც ეხმარება, თუ როგორ უნდა გამოიყენონ ის, რასაც დედამიწა აძლევს. მნიშვნელოვანია ამ კუთხით რეგიონების სკოლების მოსწავლეებთან მუშაობა, მათი განათლების დონის ამაღლება. მომავალი წელი ტყის დაცვას მიეძღვნება და საინტერესოა, რას გააკეთებს თითოეული მათგანი ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

20-მდე პრეზენტაცია ვნახე გლობალური დათბობის თემაზე. მიხარია, რომ მოსწავლეებმა გარემოს პრობლემების ცოდნა გამოამჟღავნეს. საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსულმა მოსწავლეებმა თავისი მხარის პრობლემები წარმოადგინეს. ეს პროექტი საშუალებას აძლევს მათ, პრობლემის გადაჭრის გზებზე იფიქრონ და საკუთარ მხარეს საფრთხის თავიდან აცილებაში დაეხმარონ. საყურადღებოა ისიც, რომ მოსწავლეებმა პრეზენტაციები თავისი ხელით გააკეთეს და ამით უფრო მეტი ისწავლეს, ვიდრე წიგნის წაკითხვით, ან გაკვეთილზე მოსმენით ისწავლიდნენ. ისინი თავად ჩაერთვნენ პროცესში, რაც უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია”.

მიხალ ნეკვასილი, *ევროკავშირის წარმომადგენელი საქართველოში:* არაფერი გამოვა, თუ თითოეულმა ადამიანმა არ გააცნობიერა, რა შეუძლია გააკეთოს გარემოს დაცვისთვის. ამიტომ ამ ღონისძიებაში მოსწავლეების მონაწილეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მომავალმა თაობამ უნდა იზრუნოს გარემოს გაუმჯობესებაზე. კლიმატის ცვლილება სერიოზული პრობლემაა, რასაც შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს, ამაზე პასუხისმგებლობა კი ადამიანებს გვეკისრება. ჩვენმა თაობამ ბრძოლა წააგო, ვერ გაიმარჯვა კლიმატთან ბრძოლაში, მაგრამ ამ თაობას არ აქვს უფლება, არ გაიმარჯვოს. უნდა დაიწყოს კამპანია გარემოს დაცვისთვის. მთავარი სიტყვა მოზარდებს ეთქმით. მხოლოდ ერთი დღე წელიწადში ვერ გახდის დედამიწას უკეთესს, ყოველი დღე დედამიწის დღედ უნდა ვაქციოთ. ჩვენი მიზანი მოსწავლეებში განათლების დონის ამაღლებაა, რათა მათ უკეთ განსაზღვრონ, თუ რა პრობლემის წინაშე ვართ და თავად დასახონ გადარჩენის გზები.

ერთი სკოლის ორი ისტორია

სწავლის პროცესი მოსაწყენ რუტინად რომ არ გადაიქცეს, მოსწავლეებს მუდამ სჭირდებათ ახალი სამყაროების გახსნა, სადაც ისინი თვითონ იქნებიან პროცესის წარმმართველები. სჭირდებათ თავისუფალი სივრცე ფანტაზიის გასავითარებლად და შემოქმედებითი პოტენციალის გამოსავლენად. და როცა სკოლა ერთიანი ორგანიზმია, ეს პროცესი საინტერესო თანამშრომლობად იქცევა ხოლმე მოსწავლესა და მასწავლებელს შორის. მიღებული შედეგი კი ხშირად სკოლის ფარგლებს სცილდება და საზოგადოების ყურადღებას იპყრობს. დღეს გვინდა თბილისის 120-ე სკოლის მოსწავლეებზე და მათ ინტერესებზე მოგიყვეთ:

ბელა ჩეკურიშვილი

„არჩევანი შენ“ – თეატრალური წარმოდგენა ასარჩევი მასალის თანხლებით

როცა სასკოლო თეატრალური დასი სპექტაკლზე მუშაობას იწყებს, როგორ ფიქრობთ, რა თემატიკას აიჩევენ მოზარდები? რისი თქმა სურთ სცენიდან?

„არჩევანი შენ“ – ასე ერქვა სპექტაკლს, რომელიც თბილისის 120-ე საჯარო სკოლის თეატრალურმა დასმა – „თეატრონმა“ აკაკი ხორავას მსახიობის სახლში წარმოადგინა.

მოზარდებმა მათთვის დამახასიათებელი უშუალობით გვითხრეს, რომ ძალიან აწუხებთ ოჯახური კონფლიქტები, მშობლების უყუ-

რადღებობა, ღირებულებათა სხვადასხვაობა. სტკივათ, როცა უფროსები უხეშად ერევიან მათ არჩევანში, არ ითვალისწინებენ მათ გრძნობებს. ისინი ფიქრობენ სიყვარულზე, ხვალინდელ დღეზე, პატიების უნარზე, ეძებენ ღმერთს ზეცაში და დედამიწაზე...

ყველა კონფლიქტის სათავე სიყვარულის ნაკლებობაა! – ასეთია მე-11-კლასელი დრამატურგის დასკვნა. ხათუნა რუხაძემ ამ პიესაზე მუშაობა წელიწადნახევრის წინ დაიწყო. მართალია, მან ანა მხეიძის მოთხრობა და ნოდარ დუმბაძის „მზიანი ღამისა“ და „კუკარაჩას“ პასაჟები გამოიყენა, მაგრამ პიესა მაინც საავტორო ნამუშევრად შეიძლება ჩაითვალოს. ხათუნა რუხაძემ საკმაოდ დამაჯერებლად დაგვიხატა თავისი თაობა.

მშობლების აყალმაყალით და უყურადღებობით დაღლილი გიორგი, პრობლემების დასავიწყებლად. ნარკოტიკს ეტანება. მშობლებს ვერ გაუგიათ, რა დააკლეს შვილს, რითია ის უკმაყოფილო, რატომ არის უმადური. დრამატურგის ასეთი სვლა ინფანტილურად არ მოგეჩვენებათ, თუ გაიხსენებთ, რომ ამ ასაკში ახალგაზრდებს ყველაზე მეტად სჭირდებათ თანადგომა. საინტერესო იყო მოსწავლეების მსჯელობა ნარკოტიკებზე, სიმართლესა და ილუზიაზე. მათ ბევრი რამ აინტერესებთ, უფროსებს კი გვთხოვენ, რომ პასუხების მოძებნაში დავეხმაროთ და მხოლოდ აკრძალვისა და მუქარის სიტყვებით არ ვცადოთ მათი შეჩერება.

„რა არის ეს პატარა „რაღაც“, რომელსაც ყველაფერი შეუძლია, ჩვენ კი მასთან უძლურები ვართ?“ – შეკითხვა დასვეს მოსწავლეებმა. ნარკოტიკის მისაღებად წასულ გიორგის მეგობრები ვერ შეაჩერებენ, ბოლოს კი ჩათვლიან, რომ ყველამ საკუთარი არჩევანი უნდა გააკეთოს. არჩევანის გაკეთება მოუწევთ მის მშობლებსაც, როცა გიორგი დაიღუპება. მათ შეუძლიათ ხელის ერთი მოსმით მისი მეგობრები – ქუჩის ბიჭები ციხეში გაგზავნონ, ან მათ ამ დაავადებასთან ბრძოლში დაეხმარონ.

„მხოლოდ ძლიერ და ჭკვიან ადამიანს შეუძლია სწორი არჩევანის გაკეთება!“ – გამოგვიცხადეს მოზარდებმა სცენიდან და დიალოგშიც ჩაგვრთეს: როგორ ნაწილდებიან ადამიანები ძლიერებად და სუსტებად, ჭკვიანებად და სულელებად? ვინ არიან ეს ადამიანები, საიდან მოდიან?

თუ დარბაზის რეაქციით ვისმჯელებთ (ბუნებრივია, მაყურებლების ძირითად ნაწილს მოზარდები შეადგენდნენ), უნდა ვიფიქროთ, რომ მოსწავლეებს ნამდვილად აწუხებთ ის პრობლემები, რაზეც თანატოლები სცენიდან ესაუბრებოდნენ.

„არ გინდა ილუზიური ბედნიერება, აირჩიე რთული გზა და არ შეუშინდე პრობლემებს!“ – აი, 120-ე სკოლის მოსწავლეების მთავარი გზავნილი. მათ იქვე, ბავშვური უშუალობით უფროსებსაც მოგვმართეს: „ჩავჭიდოთ ერთმანეთს ხელები, იქნებ გამოვიდეს რამე...“

ხათუნა რუხაძე, *პიესის ავტორი:* „გარშემო უამრავი პრობლემაა. ცხოვრებაში ბევრი რამ შეიძლება მოხდეს, მაგრამ არჩევანი მუდამ ჩვენზეა. რამდენიც უნდა ურჩიო ადამიანს, თუ თვითონ არ დარწმუნდა, ვერ გადაათქმევინებ. ამ სპექტაკლში ორივე მხარეს ვუტოვებთ არჩევანს – მშობლებსაც და შვილებსაც. ის, რასაც ნოდარ დუმბაძე ახალგაზრდებზე წერდა, ძალიან ახლოსაა ჩვენთან. ჩემს სიუჟეტს მისი რამდენიმე სცენა მოვარგე“.

120-ე სკოლის თეატრალური დასი „თეატრონი“ ორი წლის წინ შეიქმნა და გასულ წელს თბილისის მერიის მიერ ჩატარებულ სასკოლო თეატრალურ ფესტივალზეც გაიმარჯვა. „თეატრონს“ სკოლის დირექტორის მოადგილე მევლუდ ლაშაური ხელმძღვანელობს, რომელიც რეჟისორისა და სცენის მხატვრის მოვალობასაც ასრულებს.

მევლუდ ლაშაური: „როცა ამ ორი წლის წინ აფზახეთის თემაზე დავდგით სასკოლო სპექტაკლი, მოსწავლეთა დაინტერესება სასცენო ხელოვნებით იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ გადავწყვიტეთ, დასი ჩამოგვეყალიბებინა. მასში გაერთიანებული არიან მე-9-მე-12 კლასების მოსწავლეები. მათ რომელიმე

ქეთევან გილიხოძე, *120-ე სკოლის ორგანიზატორი*

სტუდიაში სამსახიობო ოსტატობა არ უსწავლიათ. ყოველ სცენას ერთად ვამუშავებთ. ვთხოვ, პესონაჟის ადგილას წარმოიდგინონ თავი. სხედან და ფიქრობენ: მე როგორ მოვიქცეოდი ასეთ დროს? ვკამათობთ და გადაწყვეტილებას ისე ვიღებთ“.

გავუფრთხილდეთ დედამიწას

„დღეს 22 აპრილია, ჩემი დღე. მე კი ამ დღეს ასეთი დასუსტებული ვხვდები. ადამიანები აღარ მიფრთხილდებიან, მხოლოდ დღევანდელ დღეს ვახსენდები“, – ჩიოდა 120-ე სკოლის მე-6-კლასელი გიორგი ლომიშვილი და თავის კონტინენტებს: ევრაზიას – ნიკა დათუნაშვილს, აფრიკას – ნატო ჭყონიას, სამხრეთ ამერიკას – თამთა ზარნაძეს, ჩრდილოეთ ამერიკას – არჩილ ბერიტაშვილს და ავსტრალიას – თაკო მინდიას იმ გლობალური პრობლემების შესახებ ესაუბრებოდა, რომლებიც საფრთხეს უქმნის და განადგურებით ემუქრება მის ეკოსისტემას.

ამ მინისპექტაკლის სცენარი მე-11 კლასელმა ხათუნა რუხაძემ დაწერა. სპექტაკლი იმ აქციის ნაწილი იყო, რომელიც, დედამიწის დღესთან დაკავშირებით, თბილისის 120-ე სკოლის მოსწავლეებმა მოაწყეს. მათ თავის მეგობრებს და ავჭალის მოსახლეობას გარემოს დაცვისკენ მოუწოდეს. მოსწავლეებმა, ამ დღის აღსანიშნავად, სკოლაში ნახატების გამოფენა მოაწყეს, სკოლის ეზო დაასუფთავეს და ხეები დარგეს.

120-ე სკოლის მოსწავლეებმა ამ თარიღის აღნიშვნა 3 წლის წინ დაიწყეს. მათ გეოგრაფიის კათედრასთან კლუბიც შექმნეს.

თეა გოგოლაძე, *გეოგრაფიის მასწავლებელი:* „აქცია სკოლის ფარგლებს გასცდა. ბავშვები ახალ-ახალ აქტივობებს იგონებენ. მათ სხვა სკოლებსაც გაუზიარეს თავიანთი გულისტკივილი და მოუწოდეს, ერთად იზრუნონ ჩვენი პლანეტის გადასარჩენად. ბოლო წლებში ძალიან გაიზარდა მოსწავლეთა მხრიდან გეოგრაფიით დაინტერესება. ისინი რაიონულ და საქალაქო ოლიმპიადებში მონაწილეობენ და გლობალურ პრობლემებზე მსჯელობენ. მათ კარგად ესმით საკუთარი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ახალი თაობის მენტალიტეტი ძალიან შეიცვალა. მათი მოთხოვნილება სუფთა გარემო და ეკოლოგიურად კომფორტული საცხოვრებელია. ამის მისაღწევად რომ თვითონაც უნდა იზრუნონ, კარგად ხვდებიან. მათთვის თითოული დღე სამყაროს შეცნობაა.

ღონისძიებებში მონაწილეობისას, ყველამ თავისი ხასიათი გამოაჩინა, თითოეული მათგანი ბოლომდე დაიხარჯა. მათი აქტივობა ამ აქციით არ მთავრდება: ყოველ შაბათს ვატარებთ დასუფთავების აქციას და ყოველ დღე ვახსენებთ ყველას, რომ დედამიწას დახმარება სჭირდება“.

თეა ასანიშვილი, *მე-10-კლასელი, გეოგრაფიული კლუბის თავმჯდომარე:* „გეოგრაფიული კლუბი 3 წლის წინ შევქმენით დედამიწის დღესთან დაკავშირებით. პირველ წელს მაისურებით და ტრანსპარანტებით გავედით ავჭალის დასახლებაში. ხალხს შეძახილებით ვაფრთხილებდით, მწვანე ლენტებს ვახვევდით და ვაძლევდით ჩვენ მიერ დამზადებულ ბუკლეტებს „გავუფრთხილდეთ დედამიწას“. ამ დღეს ყველა კლასს დავურიგეთ ხელთათმანები და პარკები, მოვნიშნეთ ტერიტორიები, სადაც დღის განმავლობაში მოსწავლეები კლასის დამრიგებლებთან ერთად მათთვის გამოყოფილ მონაკვეთებს ასუფთავებდნენ“.

წელს დედამიწის დღისადმი მიძღვნილ აქციაში 120-ე სკოლის მოსწავლეებმა გლდანი-ნაძალადევის მუნიციპალიტეტიც ჩართეს, რომელმაც სკოლას ნაძვის ნერგები გამოუგზავნა. უნდა აღინიშნოს, რომ გეოგრაფიული კლუბის მუშაობა მხოლოდ დედამიწის დღის აღნიშვნით არ შემოიფარგლება. კლუბის წევრები ქიმიის კათედრასთან ერთად ემზადებიან ინტეგრირებული კონფერენციის ჩასატარებლად, რომლის თემაც „დედამიწა და ქიმია“ იქნება. ასევე, ისინი ამზადებენ ინტელექტუალურ თამაშებს დაბალი კლასებისთვის. კლუბის წევრები ფიქრობენ, რომ პატარების გეოგრაფიით დასაინტერესებლად მსგავსი თამაშები ყველაზე ეფექტიანი იქნება.

შეიძინეთ ჟურნალი მასწავლებელი

თბილისსა და საქართველოს რეგიონებში

მოიკითხეთ **თქვენი ჟურნალი თბილისში, „მაცნე“-ს, „პლანეტა ფორტე“-სა და „ელვა-სერვისის“ საცალო ვაჭრობის ჯიხურებში! საქართველოს რეგიონებში კი სს „საქპრესას“ ჯიხურებში!**

გამოიწერეთ **ჟურნალი „მასწავალებელი“ თბილისსა და საქართველოს რეგიონებში!**

ჟურნალ „მასწავლებელზე“ ხელმოწერის გასაფორმებლად მიმართეთ „საქპრესას“ და მიიღეთ თქვენი „მასწავლებელი“ თქვენს მიერ მითითებულ მისამართზე ყოველ ორ თვეში ერთხელ!

ანგარიშსწორება შესაძლებელია როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარისშწორებით.
ხელმოწერა ექვსი თვით – 6 ლარი.

საქართველოს რეგიონებში ჟურნალ „მასწავლებლის“ გამოწერა შეგიძლიათ სს „საქპრესას“ ფილიალებში შემდეგ მისამართებზე:

ბათუმი	მემედ აბაშიძის №33 (ფოსტის შენობა) აჭარპრესა, 7 22 42;
ახალგორი	თავისუფლების მოედანი №8, 4 26 78;
ადიგენი	თამარ მეფის ქ. №12, 51 59 05; 877 97 90 20;
აბაშა	თავისუფლების მოედანი №56, 9 12 26; 877 97 90 13;
ამბროლაური	მ. კოსტავას ქ. №2, 2 15 16; 877 97 90 37;
ასპინძა	რუსთაველის ქ. №10, 9 10 26;
ახალქალაქი	მიქოიანის ქ. №15, 51 59 05; 877 97 90 20;
ახალციხე	დედაენის ქ. №3, 2 03 13; 877 97 90 16;
ახმეტა	ლესელიძის ქ. №3, 2 14 65; 877 97 90 17;
ბოლნისი	სულხან-საბა ორბელიანის ქ. №50, 2 21 50; 877 97 90 19;
ბორჯომი	რუსთაველის ქ. №103, 2 21 15; 877 97 90 28;
ბაღდათი	ვაჟა ფშაველას ქ. №2, 21 01; 877 97 90 18;
გორი	სტალინის გამზირი №15, 2 21 41; 877 97 90 22;
გარდაბანი	დავით აღმაშენებლის ქ. №74, 877 97 90 21;
გურჯაანი	თავისუფლების ქ. №7, 2 08 57; 877 97 90 64;
დმანისი	წმინდა ნინოს ქ. №46, 2 10 61;
დედოფლისწყარო	რუსთაველის ქ. №53, 2 29 76; 877 97 90 23;
დუშეთი	სტალინის ქ. №21, 2 16 02; 877 97 90 25;
ვანი	ჭავჭავაძის ქ. №43, 2 15 72; 877 97 90 26;
ზესტაფონი	დავით აღმაშენებლის ქ. №21, 5 28 53; 877 97 90 27;
ზუგდიდი	რუსთაველის ქ. №92, 2 29 11; 2 35 95; 877 97 90 03;
თელავი	მ. კოსტავას ქ. №10, 3 12 31; 877 97 90 02;
თერჯოლა	რუსთაველის ქ. №63, 2 11 12; 877 97 90 71;
თეთრიწყარო	თამარ დედოფლის ქ. №20, 2 29 98; 877 97 90 32;
თიანეთი	ლაშარის ქ. №5, 9 18 46; 877 97 90 33;
კასპი	სააკაძის ქ. №1, 2 27 28; 877 97 90 34;
ლაგოდეხი	26 მაისის ქ. №6, 2 23 20
ლანჩხუთი	ზაალ მდინარაძის ქ. №1, 877 97 90 36;
ლენტეხი	დაბა ლენტეხი, 51 59 05; 877 97 90 20;
მარტვილი	თავისუფლების ქ. №12, 2 12 26; 877 97 90 38;
მარნეული	რუსთაველის ქ. №43, 877 97 90 62;
მესტია	რუსთაველის ქ. №1, 877 97 90 68;
მცხეთა	დავით აღმაშენებლის ქ. №64, 2 09; 877 97 90 39;
ნინოწმინდა	კ. მარქსის ქ. №22
ონი	დავით აღმაშენებლის მოედანი №1, 877 97 90 41;
ოზურგეთი	გოგებაშვილის ქ. №2, 6 59 44; 877 97 90 42;
რუსთავი	მეგობრობის გამზირი №9, 12 01 55; 877 97 90 08;
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის ქ. №15, 4 36 92; 877 97 90 43;
სამტრედია	თამარ მეფის ქ. №2, 2 20 52; 877 97 90 44.
საჩხერე	თავისუფლების ქ. №5, 2 19 65; 877 97 90 69;
სიღნაღი	ცოტნე დადიანის ქ. №2, 899 23 19 28;
სენაკი	რუსთაველის ქ. № 253, 877 97 90 46;
ტყიბული	კ. გამსახურდიას ქ. №53, 2 35 30; 877 97 90 47;
ფოთი	წმინდა გიორგის ქ. №16, 2 28 48; 877 97 90 48;
ქუთაისი	დავით აღმაშენებლის გამზირი №24, 7 71 79; 877 97 90 06;
ქარელი	მგალობლიშვილის ქ. №5, 3 13 45; 899 76 69 81;
ყაზბეგი	დაბა ყაზბეგი, 5 20 12; 877 97 90 59;
ყვარელი	ილია ჭავჭავაძის ქ. №150, 877 97 90 51;
ჩოხატაური	მშვიდობის ქ. №5, 877 97 90 52;
ჩხოროწყუ	კოსტავას ქ. №5, 2 15 10; 877 97 90 66;
ცაგერი	რუსთაველის ქ. №12, 25 12; 877 97 90 53;
წყალტუბო	რუსთაველის ქ. №6, 2 23 45; 877 97 90 55;
წალკა	ლენინის ქ. 68
წალენჯიხა	თბილისის ქ. №2, 20 62; 877 97 90 54;
ხონი	გამარჯვების ქ. №2, 2 14 29; 877 97 90 58;
ხობი	ცოტნე დადიანის ქ. №86, 22 24; 877 97 90 11;
ხაშური	რუსთაველის ქ. №2, 4 20 98; 877 97 90 57;
ხარაგაული	სოლომონ მეფის ქ. №58, 2 12 88
ჭიათურა	ილია ჭავჭავაძის ქ. №4 5 30 41; 877 97 90 56

ხელმოწერის პირობებზე და თქვენთვის საინტერესო სხვა საკითხებზე დეტალური ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ზემოაღნიშნულ მისამართებზე, მითითებული ტელეფონების საშუალებით.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:

სს „საქპრესა“: ქ. თბილისი, დიდგორის ქ. №2›, ხელმოწერის სამსახური: 51-59-05 ან 51-60-04;
„ელვა-სერვისი“: ტელ: 38-26-73 ან 28-26-74.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი
თბილისი 0102, დიმიტრი უზნაძის 52, ტელ: (+995 32) 95 13 95 ფაქსი: (+995 32) 95 58 36 ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

პატარა ქალაქის პარკში იჯდა შუმანი და თავისი „კარნავალის“ მუსიკას უსტვენდა.

– მომისმინეთ, – უთხრა გვერდით მჯდომმა აღშფოთებულმა მეზობელმა, – ეს ხომ ჩვენი სათაყვანო რობერტ შუმანის „კარნავალის“ მელოდიაა. თუ თქვენ არ იცით როგორ ჟღერს ეს მელოდია სინამდვილეში, მაშინ ნურც უსტვენთ. თქვენი სტვენა ნერვებზე მოქმედებს.